პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 თებერვალი **სამშაბათი** 2014
№ 031 (14 252) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დინამო მარცვალაძე და იანსე წარადგინა

2

### დიდი ფეხბურთი ბრუნდება

# ჩემპიონთა ლიგა პლეი ოფებით განახლდება

## დღეს მანჩესტერსა და ლევერკუზენში...




8

## ოლიმპიადა ჩვენთვისაც იწყება

დღეს ნინო წიკლაური ისრიალებს



## გმირი



14

დარია დომრაჩევა

## მედლები სოჭი 2014

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 3 | 2 | 13 |
| 2. რუსეთი | 5 | 7 | 6 | 18 |
| 3. ჰოლანდია | 5 | 5 | 7 | 17 |
| 4. აშშ | 5 | 4 | 9 | 18 |
| 5. ნორვეგია | 5 | 3 | 7 | 15 |
| 6. შვეიცარია | 5 | 2 | 1 | 8 |
| 7. ბელარუსი | 5 | 0 | 1 | 6 |
| 8. კანადა | 4 | 7 | 4 | 15 |
| 9. პოლონეთი | 4 | 0 | 0 | 4 |
| 10. ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| 11. შვედეთი | 2 | 5 | 2 | 9 |
| 12. ავსტრია | 2 | 5 | 1 | 8 |
| 13. საფრანგეთი | 2 | 0 | 4 | 6 |
| 14. იაპონია | 1 | 3 | 2 | 6 |
| 15. ჩეხეთი | 1 | 3 | 1 | 5 |
| 16. სლოვენია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 17. კორეა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 18. ბრიტანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 19. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20. იტალია | 0 | 2 | 3 | 5 |
| 21. ავსტრალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 22. ფინეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 23. ლატვია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 24. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25. ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25. უკრაინა | 0 | 0 | 1 | 1 |

თენგიზ გაჩეჩილაძე
სოჭიდან




## ოლიმპიური დეკადის გადასახედიდან

სოჭში პარკი გამოცოცხლდა

10

● დინამო

# ოთარ მარცვალაძე: დინამოში მოსვლა ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია


ოთარ მარცვალაძე (მარცხნივ) და რომან ფიფია

სეზონის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრე „დინამოში“ კიდევ ორი ახალწვეული გამოჩნდა და როგორც უკვე დავაანონსეთ, გუშინ ცნობილი ქართველი ფორვარდის, 29 წლის **ოთარ მარცვალაძისა** და 27 წლის ჰოლანდიელი მარჯვენა მცველის **იენს იანსეს** წარდგენაც მოხდა.

მარცვალაძის საფეხბურთო კარიერის შესახებ გუშინაც ვწერდით და დღეს მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ეს ჩინებული დრიბლინგის მქონე ფეხბურთელი ამიერიდან „დინამოში“ 20-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს და ეს მაისურა მან „დინამოს“ პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** გადასცა. რაც შეეხება ჰოლანდიურ კლუბებსა („ტილბურგი“, „ბრედა“) და ესპანურ „კორდობაში“ ნათამაშებ იანსეს, მან 22-ნომრიანი მაისურა „დინამოს“ სპორტული მენეჯერისგან **ირაკლი ვაშაკიძისგან** მიიღო.

აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ მარცვალაძეც და იანსეც „დინამოში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხნენ და კონტრაქტიც ჯერჯერობით სეზონის ბოლომდე აქვთ გაფორმებული.

ახალწვეულთა წარდგენის მერე „დინამოს“ წარმომადგენლებმა მედიისათვის რამდენიმე კომენტარიც გააკეთეს.

**რომან ფიფია** („დინამოს“ პრეზიდენტი): *„იმედს დავიტოვებ, რომ ახალწვეულები გუნდს გააძლიერებენ და ამ ფეხბურთელების დამატებაც ჩვენს ქომაგებს გაუხარდებათ. ორივე მაღალი დონის ფეხბურთელია და დღესდღეობით ოპტიმალური შემადგენლობაც შეიკრიბა. ვფიქრობ, ამ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში „დინამომ“ საკმარისი ტრანსფერები განახორციელა. აი, რაც შეეხება ზაფხულს, შევხედავთ, გუნდი რა მდგომარეობაში იქნება და ტრანსფერებსაც კვლავაც განვახორციელებთ“.*

**ოთარ მარცვალაძე:** *„ძალიან დიდი დრო გამიცდა და საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებაც გადავწყვიტე. როდესაც „დინამოს“ შემოთავაზება მივიღე, მაშინვე დავთანხმდი და ვფიქრობ, რომ აქ თამაში ჩემი კარიერისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მართალია კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გავაფორმე, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება. რაც შეეხება ჩემს სანაკრებო პერსპექტივას, ეს უკვე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია“.*

**მალხაზ ჟვანია** („დინამოს“ მთავარი მწვრთნელი): *„სეზონის განახლებისათვის გუნდი მზად არის და ფეხბურთელებმაც ახალი სათამაშო სქემა 4-3-3 უკვე აითვისეს. რაც შეეხება მეკარე ომარ მიგინეიშვილს, ის ამჟამად „დინამო 2-თან“ ერთად იმყოფება თურქულ შეკრებაზე და ეტაპზე მისი პირველ გუნდში დაბრუნება არ იგეგმება“.*

■ ■ ■

ახალწვეულების წარდგენის შემდეგ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე „დინამოს“ ორი შემადგენლობის მატჩი გაიმართა: მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ** გუნდები პირობითად „თეთრებად“ და „ლურჯებად“ დაყო.

ტაიმები 35-წუთიანი იყო და იმის მიუხედავად, რომ „თეთრების“ შემადგენლობა ბევრად უფრო წააგავდა ოპტიმალურს (თუ არ ჩავთვლით **გიორგი ლორიასა** და **ირაკლი მოდებაძეს**, რომლებმაც ამ სპარინგში მონაწილეობა ტრავმების გამო ვერ მიიღეს), ეს ამხანაგური სპარინგი „ლურჯების“ გამარჯვებით დამთავრდა - 3:1.

„ლურჯებიდან“ „დუბლი“ შეასრულა **დარკო გლიშიჩმა** („დინამოს“ მაკედონიელმა ლეგიონერმა თურქულ შეკრებაზეც რამდენჯერმე გამოიჩინა თავი), ერთი გოლი კი **დორინ გოგამ** გაიტანა, აი, „თეთრებიდან“ ერთადერთი გოლის ავტორი დინამოელთა შორის ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი **დავით კვირკველია** გახლდათ.

პირველ ტაიმში „თეთრების“ შემადგენლობა ასეთი იყო: დაუშვილი - იანსე, ხიდეშელი, გველესიანი, კვირკველია - ცინცაძე, ძარია, პაპუნაშვილი - ჩისკო, ვუო, მერებაშვილი.

„ლურჯები“: ტყეშელაშვილი - მარაქველიძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი - გიორგიაშვილი, პაპავა, ჯანელიძე - გლიშიჩი, გოგა მესხი.

მეორე ტაიმი, „თეთრები“: ტყეშელაშვილი - იანსე, ხიდეშელი, გველესიანი, კვირკველია - გორგიაშვილი, პაპავა, ჯანელიძე - ჩისკო, გოგა, მერებაშვილი.

„ლურჯები“: შოვნაძე - მარაქველიძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი - ცინცაძე, ძარია, პაპუნაშვილი - გლიშიჩი, ვუო, დიასამიძე.

გიორგი ლორიასა და ირაკლი მოდებაძის გარდა სპარინგში მონაწილეობა არ მიუღიათ თურქულ შეკრებაზე ტრავმირებულ მცველებს, **დავით ხურცილავასა** და **ოთარ კაკაბაძეს**, აგრეთვე კიდევ ერთ ფეხბურთელს, „დინამოს“ ახალწვეულ ოთარ მარცვალაძეს, რომელიც ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

**გია ტუხაშვილი**

**დოსიე**

**ოთარ მარცვალაძე**
**დაიბადა:** 14.07.1984

| საკლუბო კარიერა | | |
|---|---|---|
| 2020-03 | ვიტ ჯორჯია | 7 |
| 2003-04 | ვიტ ჯორჯია | 32 (7) |
| 2004-05 | ვიტ ჯორჯია | 28 (12) |
| 2005-06 | ვიტ ჯორჯია | 14 (14) |
| 2006 - | დინამო კიევი | 6 |
| 2007-08 | ზაკარპატიე | 17 (1) |
| 2009 | ანჟი | 22 (13) |
| 2010-11 | ვოლგა | 46 (26) |
| 2011-12 | კრასნოდარი | 22 (3) |
| 2012-13 | სკა ენერგია | 6 (4) |
| 2013 | ალანია | 9 (3) |
| 2014 | დინამო თბილისი | |

| სანაკრებო კარიერა | |
|---|---|
| ახალგაზრდული ნაკრები | 7 (1) |
| ეროვნული ნაკრები | 21 (2) |

**დოსიე**

**იენს იანსე**
**დაიბადა:** 01.07.1986

| | | |
|---|---|---|
| 2005-06 | ტილბურგი | 9 |
| 2006-07 | ტილბურგი | 16 |
| 2007-08 | ტილბურგი | 32 |
| 2008-09 | ტილბურგი | 27 (1) |
| 2009-10 | ტილბურგი | 18 |
| 2010-11 | ბრედა | 18 |
| 2011-12 | ბრედა | 16 |
| 2012-13 | ბრედა | 24 |
| 2013-14 | კორდობა (ესპ) | 11 |
| 2014 | დინამო თბილისი | |


იენს იანსე (მარცხნივ) და ირაკლი ვაშაკიძე

● საკონტროლო მატჩი

## 6:0 ამკართან

პირველი ლიგის ბინადარი თბილისის „დინამო 2“ უკვე სამი დღეა თურქეთის ქალაქ ბელეკში ემზადება. გუშინ, ახალგაზრდა სპეციალისტის, 24 წლის **უჩა სოსიაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა - რუსეთის პრემიერლიგის წარმომადგენელ პერმის „ამკარის“ დუბლშემადგენლობას შეხვდა და 6:0 გაიმარჯვა.

„დინამო 2-მა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მიგინეიშვილი (55. ლ. ისიანი), ბაჩიაშვილი (55. თათხაშვილი), ლოჩოშვილი (67. ციცხვაია), ჯაფიაშვილი, გ.სამხარაძე (77. კაპანაძე), კვეკვესკირი, ფალავანდიშვილი (58. ქაჯაია), გ. დიასამიძე (52. გურეშიძე), მახარობლიძე (65. ვოლკოვი), ს. ლობჟანიძე (61. წილოსანი), ერისთავი (50. ზივზივაძე).**

დინამოელთაგან თავი გამოიჩინეს **ნიკა კვეკვესკირმა, გიორგი დიასამიძემ** და **ბუდუ ზივზივაძემ** - სამივემ დუბლი შეასრულა.

მომდევნო საკონტროლო მატჩს „დინამო 2“ 20 თებერვალს, დონეცკის „შახტარის“ დუბლშემადგენლობასთან გამართავს.

**გია ტუხაშვილი**

● უცნაური შემთხვევა


ბათუმელებმა დონეცკის ოლიმპიკი პრეზიდენტიანად დაამარცხეს
ფოტო: www.olimpik.com.ua

# ბათუმთან ...ოლიმპიკის პრეზიდენტს უთამაშია?!

კვირას, თურქულ შეკრებაზე ბათუმის „დინამო“ უკრაინის პირველი ლიგის ლიდერ დონეცკის „ოლიმპიკს“ შეხვდა და 2:0 მოუგო. ამაზე უკვე ვწერდით. მერე აღმოჩნდა, რომ თამაშისას უცნაური რამ მომხდარა - „ოლიმპიკმა“ მეორე ტაიმში შემადგენლობა სრულად შეცვალა და მოედანზე, არც მეტი, არც ნაკლები, „ოლიმპიკის“ პრეზიდენტი **ვლადისლავ გელზინიც** გამოჩნდა(?!). ამაზე თავად კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდიც წერს.

შეგახსენებთ, რომ რაღაც მსგავსი 6 თებერვალს, ასევე თურქულ შეკრებაზე, თბილისის „დინამოს“ შეემთხვა. საქართველოს ჩემპიონი უკრაინის პრემიერლიგის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ ოდესის „ჩერნომორეცს“ ხვდებოდა. 62-ე წუთზე, ოდესელებმა დაშავებული **თორნიკე ოქრიაშვილი** გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელით, **შტეპან მატვეევით** შეცვალეს. ეს უკანასკნელი მანამდე დონეცკის „მეტალურგისა“ და „ლვოვის“ დამრიგებელი იყო. ცხადია, დინამოელებმა 45 წლის ჭაღარათმიანი მამაკაცის მოედანზე გამოჩენა ძალიან გაუკვირდათ, შეურაცხყოფად მიიღეს და მოედანი დატოვეს - შეხვედრა ჩაიშალა.

ამჯერად, სხვაგვარი რამ მოხდა. საქმე ისაა, რომ დონეცკური კლუბის პრეზიდენტის გელზინის დოსიეში მეტად უცნაური რამ წერია - მოთამაშე-პრეზიდენტი! ის ერთადერთი კლუბის ხელმძღვანელია მსოფლიოში, რომელიც პარალელურად თამაშობს კიდეც.

40 წლის გელზინი „ოლიმპიკში“ 2003 წლიდან გამოდის, პირველ ლიგაში თამაშობს და ამპლუით თავდამსხმელია და გოლებიც გააქვს. გელზინმა უკრაინის პირველი ლიგის მიმდინარე გათამაშებაში გუნდის ფორმა 9-ჯერ მოირგო და 1 გოლიც გაიტანა. სულ კი 108 მატჩში მის ანგარიშზე 18 ზუსტი დარტყმაა. ის ბათუმელებთანაც აქტიურობდა და თავის გამოჩენა საჯარიმო დარტყმითაც სცადა, მაგრამ ბურთი „ცოცხალ კედელს“ ვერ გადააცილა.

..."ოლიმპიკში" ძირითად მეკარე **ზაურ მახარაძეს** არ უთამაშია. 20 წლის ქართველი უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი კოვალეცმა** წლეულს ის სანკტ-პეტერბურგში, „თანამეგობრობის თასზე“ წაიყვანა. მახარაძემ ყირგიზეთთან პირველი შეხვედრა (უკრაინელებმა 2:0 მოიგეს) შეუცვლელად ჩაატარა. ესტონეთსა (2:0) და ტაჯიკეთთან (4:1) კი კოვალეცმა მისი კონკურენტი დააყენა. მეოთხედფინალში, სადაც უკრაინამ ლიტვა 4:1 დაამარცხა, მახარაძე კვლავ სასტარტოში იყო, ხოლო ნახევარფინალსა (1:0 ბელარუსთან) და ფინალს (4:0 რუსეთთან) სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალს.

აქვე ვიტყვით, რომ „თანამეგობრობის თასის“ ფინალში ითამაშა ყოფილი დინამოელის, **ახრიკ ცვეიბას** ვაჟმა **სანდრო ცვეიბამ**. ის სანკტ-პეტერბურგის „რუსის“მოთამაშეა, იანვარში კი ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში“ ისინჯებოდა. რუსეთის ნაკრების განაცხადში იყო, მაგრამ ფინალში არ უთამაშია „კრასნოდარის“ შემტევ ნახევარმცველ **ნიკა ჩხაპელიას**.

**მერაბ მამულაშვილი**

● შეკრების შეჯამება. დილა

# რამაზ სოლოლაშვილი: ორი ფეხბურთელის დამატებაც გვინდოდა, მაგრამ ამის საშუალება აღარ გვაქვს


რამაზ სოლოლაშვილი

გუნდი, რომელმაც წინა ზაფხულს კინაღამ სენსაცია მოახდინა და ევროპა ლიგის პლეი ოფამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, ამ ზამთარს ლამის დაიშალა. გორის „დილა“ ჩემპიონატის დაწყებამდე ტრიუმფისთვის იყო შემართული. გიორგი დევადარიანის შეგირდებმა სეზონიც თითქოს რიხიანად დაიწყეს, მაგრამ ფითილი მალევე გამოელიათ და...

ეს ფითილი კი ფული იყო, რის უქონლობის გამოც „დილადან“ ჯერ მწვრთნელი წავიდა, რომელსაც სასურველი ფეხბურთელები არ მიაშველეს, შემდეგ კი გორი თავად ფეხბურთელებმაც დატოვეს.

მოკლედ, ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპის წინ „დილა“ ახლიდან დასაკომპლექტებელი გახდა. ამ რთული საქმის კეთება კლუბის ხელმძღვანელობამ რამაზ სოლოლაშვილს მიანდო, ვინც 90-იანი წლების ბოლოს და ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიიჩნეოდა და მშობლიური „დილას“ გარდა, თბილისის „დინამოს“, „ზუგდიდისა“ და ბათუმის „დინამოს“ ღირსებასაც იცავდა. „დილას“ ახალმა მწვრთნელმა ასევე ახალი ფეხბურთელები ჯერ გორში შეკრიბა და გვარიანად დატვირთა, მერე კი 12 დღით თურქეთში წაიყვანა, ხოლო იქიდან დაბრუნებულს, შეკრების შესაჯამებლად, ჩვენ დავუკავშირდით...

- ვფიქრობ, ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა, - გვითხრა სოლოლაშვილმა საუბრის დასაწყისშივე, - ფაქტობრივად, ახალი გუნდის შენება გვიწევს და ასეთი შეკრება აუცილებელი იყო. მართალია, თურქეთში ოთხივე სპარინგი წავაგეთ, მაგრამ ამ შეხვედრებში, შედეგზე მნიშვნელოვანი, ფეხბურთელების შეთამაშება იყო, რაც, მგონი, გამოგვივიდა კიდეც. ისე, საკონტროლო მატჩებიც შეგნებულად შედარებით ძლიერ გუნდებთან გავმართეთ, გვსურდა, ჩვენი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრების შეჯამება. მეტალურგი

# ვარლამ კილასონია: საბოლოოდ დავრწმუნდი, ვის რა შეუძლია



ვარლამ კილასონია

**გაურკვევლობა თუ უსიამოვნო პერსპექტივა უკან დარჩა: რუსთაველ გულშემატკივართა გასახარად, „მეტალურგი" სრულფასოვნად მომზადებული ხვდება მეორე ეტაპის დაწყებას. არადა, ზამთრის პაუზის დაწყებამდე „მეტალურგის" ამბიციურ მიზნებზე არც არავინ ლაპარაკობდა: კლუბის გაურკვეველი ფინანსური მდგომარეობის გამო გუნდიდან ხომ 15 ფეხბურთელი წავიდა!**

**აი, ასეთი, მართლაც არასახარბიელო „მემკვიდრეობა" დახვდა მშობლიური ქალაქის გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნულ ვარლამ კილასონიას, რომელიც ბავშვთა ფეხბურთში წარმატებული მუშაობის შემდეგ „მეტალურგში" ოთხწელიწადნახევრიანი პაუზის მერე დაბრუნდა. საბედნიეროდ, მერე გუნდის ფინანსური მდგომარეობაც მეტ-ნაკლებად გამოსწორდა, „მეტალურგში" 12 ახალი ფეხბურთელიც ჩაირიცხა და, რაც მთავარია, უცხოური შეკრების მოწყობაც მოხერხდა!**

**„მეტალურგი" რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა თურქეთიდან, სადაც ოთხი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა და მეორე ეტაპის დაწყებამდე ამჟამად რუსთავში ემზადება. თუმცა, ჩემპიონატის განახლებამდე „მეტალურგს" ერთობ სერიოზული მატჩი ელოდება: 22 თებერვალს თასის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში „დინამოს" უნდა უმასპინძლოს! რუსთაველთა გუნდის ძველ-ახალ მთავარ მწვრთნელს ვარლამ კილასონიას სწორედ მოახლოებული მატჩებისა და ახლახან დასრულებული თურქული შეკრების შესახებ ვთხოვეთ შთაბეჭდილების გაზიარება...**

- ძალიან ნაყოფიერი შეკრება გამოვიდა. რაც მთავარია, დაგეგმილი თუ ჩაფიქრებული, ყველაფერი შევასრულეთ. ამას გარდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ თურქეთში ყოფნის იმ 12 დღის განმავლობაში მართლაც იდეალური ამინდი დაემთხვა და ვარჯიშებისა თუ საკონტროლო მატჩების ჩატარებაც იდეალურ პირობებში გვიხდებოდა.

**- ფეხბურთში „დაუწერელი კანონივით" არის - ზამთრის თუ ზაფხულის მოსამზადებელ შეკრებებზე ფეხბურთელები ტრავმებს ხშირად იღებენ-ხოლმე...**

- სამწუხაროდ, ტრავმებს ვერც ჩვენ ავცდით: თურქულ შეკრებაზე სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს დობროვოლსკიმ, ტორონჯაძემ, სეფიაშვილმა, მიქაბერიძემ. მაღალი სიცხის გამო რამდენიმე ვარჯიში გაუცდა ჩვენს ახალწვეულს მერაბ გიგაურსაც.

**- ამ ფეხბურთელების ამჟამინდელი მდგომარეობა როგორია?**

- მეკარე კოკა სეფიაშვილი ორ კვირაში თუ დაიწყებს ვარჯიშს, მამუკა ტორონჯაძე კი - ერთ კვირაში. ბოლო საკონტროლო მატჩის დასაწყისში დაშავებული გიორგი მიქაბერიძე კი ორ-სამ დღეში შემოგვიერთდება. საბედნიეროდ, ყველა დანარჩენი ფეხბურთელი მწყობრშია და ნორმალურ ფიზიკურ კონდიციებში ხვდება სეზონის განახლებას.

**- თურქეთში ჩატარებულ სპარინგებზეც გკითხავთ: რამდენად კმაყოფილი ხართ იმ ოთხ საკონტროლო მატჩში „მეტალურგის" თამაშის ხარისხით?**

- ზოგიერთივით არ დავიწყებ იმის თქმას, რომ, არიქა, ყველა საკონტროლო მატჩი უმაღლეს დონეზე ვითამაშეთ-თქო; ისიც მინდა ვაღიარო, რომ რუსეთის „გაზოვიკთან" და მაკედონიურ „ტურნოვოსთან" მაღალი ხარისხის ფეხბურთი ვუჩვენეთ, მით უფრო, რომ ორივე მეტოქე ძლიერი და საკმაოდ ორგანიზებული გუნდი იყო; შედარებით სუსტი მეტოქეები გვყავდა თურქმენეთისა და რუმინული გუნდების სახით, თუმცა ამ შეხვედრებშიც უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ ჩემი შეგირდების ასპარეზობით.

**- თურქული შეკრებისას, საკონტროლო მატჩების მერე თქვენ მიერ გაკეთებულ კომენტარებში ხშირად უჩიოდით „მეტალურგის" მიერ შექმნილი საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალ ხარისხს.**

- სამწუხაროდ, მართლაც ასე იყო და, იმის მიუხედავად, რომ ასეთი ტიპის შეკრებებზე შედეგს მნიშვნელობა არა აქვს, მაინც საწყენი იყო იმავე თურქმენებთან მარცხი თუ „ტურნოვოსთან" ფრე! ორივე მატჩი ჩვენი დიდი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ თურქმენებთან შეხვედრის მიწურულს მეკარის ბავშვური შეცდომის გამო გავუშვით გოლები, თითქმის იგივე გამეორდა მაკედონიური გუნდის წინააღმდეგაც. თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემთვის მთავარი იყო ყველა ფეხბურთელი საქმეში მენახა და საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, თუ ვის რა შეუძლია.

**- სეზონის განახლებას „მეტალურგი" უამრავი ახალწვეულით ხვდება და, აქედან გამომდინარე, რამდენად აქტუალურია დღესდღეობით ფეხბურთელების ერთმანეთთან შეთამაშების პრობლემა?**

- ამ თურქული შეკრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედაც ფეხბურთელების ერთმანეთთან შეთამაშება იყო და ყოველივე ჯერჯერობით იდეალური თუ არ არის, ეს მხოლოდ დროის ამბავია. ანუ, იქიდან მოყოლებული, რაც შევიკრიბეთ, ფეხბურთელებს უფრო და უფრო უადვილდებათ ერთმანეთთან „საერთო ენის" გამონახვა.

**- გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია?**

- ორი-სამი ძლიერი ფეხბურთელის დამატებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის არც ფინანსები გვაქვს და, ასეც რომც არ იყოს, დღესდღეობით ძნელიც არის კვალიფიციური და დაუსაქმებელი ქართველი ფეხბურთელის მოძებნა.

**- ფინანსური მდგომარეობა ახსენეთ და ამ მხრივ გუნდში როგორ არის საქმე?**

- საბედნიეროდ, კვლავაც გვერდში გვიდგას ჩვენი მთავარი დამფინანსებელი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა; სწორედ ჩვენი მთავარი სპონსორის დახმარებით გადაწყდა კიდეც „მეტალურგის" თურქული შეკრებაზე გამგზავრება და ამისათვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. იგივე შემიძლია ვთქვა რუსთავის მერიასა თუ საკრებულოზეც - ქალაქის ხელმძღვანელობაც მაქსიმალურად ცდილობს „მეტალურგს" გვერდში დაუდგეს.

**- და ბოლოს, „მეტალურგის" მიზნებზეც...**

- ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა: ჩემპიონატის დარჩენილ ოთხ ტურში ყველა ლონე უნდა ვიხმაროთ, ზედა ექვსეულში რომ მოვხვდეთ; რაც შეეხება თასის გათამაშებას, აქაც ამბიციური მიზნები გვაქვს და ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ეტაპი გავიაროთ.

**გია ტუხაშვილი**

შეკრების შეჯამება. დილა

*მეორე გვერდიდან*

სუსტი მხარე კარგად დაგვენახა, რათა შემდეგ ამის გამოსწორებაზე გვემუშავა. ერთი თამაშიც რუსულ „გაზოვიკთან" გვქონდა დაგეგმილი და ვფიქრობდით, რომ ამ შეხვედრაში გავიმარჯვებდით, მაგრამ რუსებმა თამაში აღარ ისურვეს და კორეის ერთ-ერთი სოლიდური გუნდი შეგვრჩა. თუმცა ეგ არაფერი - როგორც ვთქვი, თურქეთში აქცენტს შეთამაშებაზე ვაკეთებდით. გუნდი თამაშის ხარისხს მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებდა.

**- გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია და თან არც თქვენ გაქვთ უმაღლესი ლიგის გუნდში მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება. არ გაგიჭირდათ?**

- „დილას" მწვრთნელობა ჩემთვის დიდი პატივი და გამოწვევაა. საინტერესო და რთული საქმე მაქვს, თუმცა შემართება არ მაკლია და იმედია, უმაღლეს დონეზე დებიუტი ჩემთვის წარმატებული გამოდგება. გიორგი დევდარიანთან ერთადაც ვმუშაობდი და იქიდან მოყოლებული ვიცნობდი ფეხბურთელებს, ვიცოდი მათი შესაძლებლობები და არც კომუნიკაციის პრობლემა მქონია.

**- „დილაში" რამდენიმე ვეტერანი ფეხბურთელიც გამოჩნდა. ჩანს, გორში ფინანსური ვითარება არცთუ ისე ცუდადაა...**

- ერთის თქმა ნამდვილად შემიძლია - ამ სეზონის ბოლომდე ფეხბურთელებისთვის გადასახდელი ხელფასები უპრობლემოდ გაიცემა. ეს ფული არის, აი, დანარჩენზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**- ვეტერანების დამატების შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რომ წლეულს „დილას" მიზანი ისევ ევროტურნირების საგზურის მოპოვება იქნება?**

- დიახ, გამოცდილი ფეხბურთელებიც ამიტომ დავიმატეთ. მათ გარეშე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლებელი იქნება.

**- ჩავთვალოთ, რომ ჩემპიონატის განახლებამდე ტრანსფერები აღარ იქნება?**

- „დილა" უკვე დაკომპლექტებულია. ისე, ორი ფეხბურთელის დამატება კიდევ გვსურდა, რადგან ორ პოზიციაზე გვიჭირს, მაგრამ... ამის საშუალება აღარ გვაქვს.

**- სეზონის ბოლომდე ხელფასად გასაცემი ფულის მეტი კლუბს აღარ აქვს?**

- ფული რომ ყოფილიყო, პირველი წრის დასრულების შემდეგ „დილას" არც ფეხბურთელთა 80 პროცენტი დატოვებდა და არც ახალი გუნდის შექმნა გახდებოდა საჭირო.

**- ამბიცია კი მაინც გაქვთ...**

- ცხადია, გვაქვს, რადგანაც ვიცით, რომ გუნდი კარგი ფეხბურთელებით დავაკომპლექტეთ და ისიც ვიცით, რა შეგვიძლია. მაგრამ სამეულში მოხვედრა გაგვიჭირდება, რადგან პირველი ექვსეულის ნებისმიერ გუნდს ექნება ევროზონაში მოხვედრის საშუალებაც და ამბიციაც, თუმცა ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. საქართველოს თასისთვისაც ვიბრძოლებთ და სამეულისთვისაც.

**- უმთავრეს კონკურენტად რომელ გუნდებს მიიჩნევთ?**

- „ზესტაფონს", რომელიც ამ სატრანსფერო პერიოდში საკმაოდ გაძლიერდა; „ჩიხურას", რომელსაც ფული აქვს და ბოლნისის „სიონს", რომელიც მუდამ ბრძოლისუნარიანი გუნდია. ისე კი, ჩვენი კონკურენტი იქნება ყველა ის გუნდი, რომელიც ექვსეულში მოხვდება და საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

**- ორ პოზიციაზე გაძლიერება არ გვაწყენდაო, თქვით. რომელ პოზიციებს გულისხმობდით?**

- მოდით, ეს საიდუმლოდ დარჩეს.

**- როცა თქვენ თამაშობდით საქართველოს ჩემპიონატში, ორი-სამი მაღალი კლასის მეკარე თუ იყო. ამ მხრივ, ახლა საქმე შედარებით უკეთაა, კარგი მეკარეები წამოვიდნენ. ეს რისი შედეგია?**

- ალბათ იმის, რომ მეკარეების მწვრთნელები თავიანთ საქმეს კარგად აკეთებენ. ადრე, მაშინაც კი, როცა თავად ვთამაშობდი, გუნდებს მეკარეების მწვრთნელი არ ჰყავდათ, ფიქრობდნენ, რომ საჭირო არ იყო. არადა, მეკარეობა სპეციფიკური საქმეა. ჩემი თაობის ბევრმა მეკარემ სამწვრთნელო საქმეს მიჰყო ხელი და მათი დამსახურებაც არის, რომ დღეს საქართველოში მეკარეების პრობლემა ისეთი აქტუალური აღარ არის, როგორც უწინ იყო.

**კობა ინასარიძე**

მომავალი

# გიორგი ჭანტურია ევროპის 13 მესის შორის



გიორგი ჭანტურია

**UEFA.COM-მა იმ 13 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომელთაც ევროპის ამა თუ იმ რეგიონში ლიონელ მესის ამსგავსებენ. წავიდა ის დრო, როცა ახალგაზრდა ლეო მესის მომავალ დიეგო მარადონას უწოდებდნენ, ახლა მსოფლიო ფეხბურთში სწორება სწორედაც რომ მესიზეა. ლამის ყოველ ახალ ტალანტს „ახალ მესის" უწოდებენ.**

**მაშ ასე, თქვენ წინაშეა ევროპის 13 „ლიონელ მესი" და მათ შორის (ჯერაც) არნემის „ვიტესის" ქართველი ლეგიონერი გიორგი ჭანტურია...**

ბულგარელი მესი: **რუსლან დიმიტროვი**

„სლავიას" ფეხბურთელი... მცველია! მას ბულგარელი მესი ლეოსთან გარეგნული მსგავსების გამო შეერქვა და შერჩა.

ალბანელი მესები: **ჯერდან შაჩირი და ადნან იანუზაი**

არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ალბანეთს სინამდვილეში, თუმცა „ბაიერნისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავები წარმოშობით სწორედ ალბანელები არიან.

რუმინელი მესი: **გაბრიელ ტორიე**

თავიდან მისი მეტსახელი იყო „ჯუჯა" (სიმაღლეში 167 სმ), „ტიმიშოარაში" თამაშისას 16 წლის ტორიეს უკვე რუმინელი მესი შეარქვეს.

ბერძენი მესი: **იანის ფეტფაციდისი**

ამ შემთხვევაში ტექნიკურ მსგავსებაზე მეტად ფეტფაციდისს მესისთან დაბალი ტანი ახლოებს. თავად ფეხბურთელი ბერძნულ მედიას სულ ეწინააღმდეგება, ნუ მეძახით მესის, ის უნიკალურიაო...

ადრიატიკის მესი: **ლორენცო ინსინიე**

„ნაპოლის" შემტევს „პესკარაში" თამაშისას დიდებული შედეგიანობის წყალობით, ადრეატიკის მესი შეარქვეს. თუმცა ინსინიე უფრო ამბიციურია: „მესი დიდი ფეხბურთელია, თუმცა ყველაზე დიდი ფეხბურთელი იყო დიეგო მარადონა. იმედია, მალე მეც გავხდები „ნაპოლის" მარადონა".

შოტლანდიელი მესი: **რაიან გოლდი**

„დანდი იუნაიტედის" აღზრდილმა ერთხელ ისეთივე გოლი გაიტანა, როგორიც მესიმ „ხეტაფეს" კარში. გოლდი თამაშის მანერითაც წააგავს ლეოს.

მაკედონიელი მესი: **ივან ნასტევსკი**

ტანდაბალი, უაღრესად ტექნიკური. მოკლედ, ესეც მესია.

ჩეხი მესი: **ვაცლავ პილარი**

ჩეხი ტალანტი, რომელსაც მოსწონს, როცა მესის ადარებენ, თუმცა ამბობს, რომ ეს მხოლოდ ფიზიკურ კონსტრუქციაში მსგავსებაა - „მესი მხოლოდ ერთია".

გერმანელი მესი: **მარიო გიოტცე**

მიუნხენის „ბაიერნის" ვარსკვლავს ცალკე წარდგენა არ სჭირდება. ერთხელ გიოტცემ ასეთ შედარებაზე უცნაური პასუხი გასცა: „გერმანელი მესი? სჯობს გერმანიის კრიშტიანო რონალდო".

ებრაელი მესი: **გაი ასულინი**

ებრაული ფეხბურთის უდიდესი ტალანტი, რომელსაც მოძრაობების და ფინტების კასკადი მესისას მიუგავს.

ქართველი მესი: **გიორგი ჭანტურია**

20 წლის ქართველი, რომელსაც „ლა მასიას" სკოლა აქვს გავლილი. „ბარსას" ჭაბუკთა გუნდებში მას 11 გოლი აქვს გატანილი.

ხორვატი მესი: **ალენ ჰალილოვიჩი**

17 წლის ფეხბურთელის დამატება თავად „ბარსელონას" სურს. ამბობენ, ხორვატულ ფეხბურთში ასეთი ტალანტი აქამდე არ დაბადებულაო...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჩინოსანი ფეხბურთზე...

## კახა კალაძე:
# მგონია, პრობლემა სწორედ ეს არის...

ქართული ფეხბურთის დღევანდელობასა და მომავალზე დისკუსიები გრძელდება. ამ პრობლემის თაობაზე ცოტა ხნის წინ აზრი გამოთქვა ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა **კახა კალაძემაც**. ჩვენს ფეხბურთში არსებულ მდგომარეობაზე მან „TV-პალიტრასთან" ინტერვიუშიც ისაუბრა:

„მიმაჩნია, რომ დღეს ქართულ ფეხბურთში სრული კატასტროფაა. ეს არის ჩვენი რეალობა. არ გაგვაჩნია არანაირი ინფრასტრუქტურა, სტადიონები, ბაზები... რაც საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული გვქონდა, დავანგრიეთ. არ არსებობს მაღალი დონის ბავშვთა საფეხბურთო სკოლები. საქართველოს ჩემპიონატის დონე და ფეხბურთელების კვალიფიკაცია ძალიან დაბალია. ნიჭიერი ახალგაზრდები კი, ვისაც კარგ კლუბში და მაღალ დონეზე თამაში შეუძლია, 17-18 წლისანი მეზობელ ქვეყნებში - აზერბაიჯანში, უკრაინაში, რუსეთში წასვლაზე ფიქრობენ, რადგან იქ უფრო მაღალ ანაზღაურებას მიიღებენ. ამ ხელფასებით კი ოჯახსა და სანათესაოს არჩენენ. ეს დიდი პრობლემაა. სამწუხაროდ, ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელები, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, მეზობელ ქვეყნებში ვერ ვითარდებიან. შესაძლოა, მიზეზი მენტალიტეტის პრობლემაც იყოს, რაზეც გიორგი დევდარიანი ამბობდა - BMW-ს იყიდიან და მერე თამაში აღარ უნდათო. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ფეხბურთელი შინაგანად როგორია".

> “
> **პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნება კომისია, რომელიც ფეხბურთის განვითარების პროგრამას მოამზადებს**
> ”

საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა საკუთარი კარიერის რამდენიმე ეპიზოდიც გაიხსენა: „თავიდანვე მიზნად დავისახე, რომ თბილისის „დინამო" ტრამპლინი ყოფილიყო და ამ გუნდის მეშვეობით ძლიერ უცხოურ კლუბში წავსულიყავი. კიევის „დინამოშიც" იგივე მიზანი მქონდა - ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშე და იქიდან შევძელი „მილანში" გადასვლა. როცა უცხოეთში თამაშობ და თავის დამკვიდრება გსურს, ადგილობრივ კონკურენტზე ორი თავით მაღლა უნდა იდგე. მარტო უკრაინაში კი არა, ასეა ყველგან, ყველა ევროპულ ქვეყანაში. სხვაგვარად, სამტრედიელი ბიჭი „მილანში" მალდინისა და ნესტას გვერდით როგორ ვითამაშებდი?! ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელები იყვნენ სათადარიგოთა შორის, როცა მე ძირითადში ვთამაშობდი. თუ ჩემს შესაძლებლობებს მათზე უკეთ არ წარმოვაჩენდი, ვინ მათამაშებდა? ეტყობა, ჩვენს მოთამაშეებს სიძნელეები მაშინ ექმნებათ, როცა ბარიერებს აწყდებიან - სწორედ ამ ბარიერების დაძლევა უჭირდათ. არის შემთხვევები, როცა ამაზე უბრალოდ თავს ხრიან. არადა, ამ დროს უფრო მეტი სიძლიერე უნდა გამოიჩინო, უფრო ძლიერიც გახდები და მეტი მოტივაციაც გაგიჩნდება. მე მგონია, რომ პრობლემა უფრო ეს არის".


კახა კალაძე

ცნობილია, რომ პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ბოლო პერიოდში სპორტის სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციისა და კერძო კლუბების ხელმძღვანელებს ესაუბრა. ამ შეხვედრებისას ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობა განიხილეს. კალაძემ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზეც ილაპარაკა.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნება კომისია, რომელიც რამდენიმე კლუბის პრეზიდენტისგან დაკომპლექტდება, მალე დაიწყებს მუშაობას და ფეხბურთის განვითარების პროგრამას მოამზადებს. სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფს თანხას, რომელიც ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას მოხმარდება".

**მერაბ მამულაშვილი**

● რას წერენ ჩვენებურებზე


თემურ ქეცბაია (მარცხნივ)

# ქვიპროსული მედია: თემურ ქეცბაია ჯადოქარი არ არის
## ...მაგრამ მისი დაბრუნება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებაო

16 თებერვალს კვიპროსის ჩემპიონატის 22-ე ტურში ფამაგუსტას „ანორთოსისმა" შინ აელ-თან 0:2 წააგო. „ანორთოსისი" 37 ქულით მე-6 ადგილზეა, მართალია, ექვსეულში **შოთა გრიგალაშვილის** გუნდი მაინც მოხვდება, რადგან მე-7 ადგილოსან „ნეა სალამინას" 9 ქულით უსწრებს. თუმცა აშკარაა, რომ **თემურ ქეცბაიას** ყოფილი გუნდი კრიზისშია.

ამ შეხვედრას ლარნაკაში იქაური სტადიონის დირექტორთან და ერთ-ერთ მწვრთნელთან ერთად დაესწრო საქართველოს ნაკრების თავკაციც, რომელიც, როცა კი დროს გამონახავს, „ანორთოსისის" მატჩებს არ აცდენს.

კვიპროსული მედიის ცნობით, თემური უკმაყოფილო დარჩენილა საყვარელი გუნდის თამაშით. ასევე უკმაყოფილონი იყვნენ ფანებიც, რომელთაც საპროტესტო შეძახილებით დატოვეს სტადიონი. კვიპროსში ბევრს საუბრობენ „ანორთოსისში" ქეცბაიას შესაძლო დაბრუნებაზე. მაგრამ ეს უფრო ფანების სურვილია, ვიდრე რეალობა, რადგან ქეცბაიამ არაერთხელ უარყო „ანორთოსისში" დაბრუნების შესაძლებლობა.

„კლუბის ქომაგთა აბსოლუტურ უმრავლესობას ეიმედება, რომ ერთ დღესაც თემურ ქეცბაია დაბრუნდება კლუბში. მათთვის ქეცბაია მესიაა, - წერს ჟურნალისტი იოანის იოანუ, - მაგრამ ჩვენ, რომც დავუშვათ ამის შესაძლებლობა, მხოლოდ ქეცბაიას დაბრუნება ვერ უშველის ათას პრობლემას, ის ჯადოქარი არ არის. „ანორთოსისში" ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. მაგრამ, სხვა თუ არაფერი, ქეცბაიას დაბრუნება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინტერვიუ

## გია კვარაცხელია
# ასეთი აუტანელი ვითარება არასოდეს ყოფილა

**ახლა, როცა ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაზე დაიწყება მუშაობა, ვფიქრობთ, საინტერესო და აუცილებელიც იქნება ფეხბურთელების აზრის გათვალისწინება - რა უჭირთ, რა ულხინთ, რა აბრკოლებთ და უშლით ხელს? არსებულ მდგომარეობაზე მოსაზრებას ხშირად ვეკითხებით საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებს. მაგრამ იშვიათად გვესმის მოთამაშეთა მოსაზრება. არადა, ქართული ფეხბურთის აბრაკადაბრა უშუალოდ მათ ეხებათ.**

**ვფიქრობ, საინტერესო იქნება გია კვარაცხელიას ინტერვიუ. 34 წლის ცენტრალურმა მცველმა, რომელსაც ყველა ასაკობრივ, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში (7 მატჩი) თამაშის გამოცდილება აქვს, კარიერაში მე-17 კონტრაქტი გააფორმა. სულ კვარაცხელიას 4 ქვეყნის 12 გუნდში უთამაშია - ფოთის „კოლხეთში", თბილისის „დინამოში", „თბილისში", „ლოკომოტივში", ქუთაისის „ტორპედოში", რუსთავის „ოლიმპში" (შემდეგ - „მეტალურგში"), ცხინვალის „სპარტაკში", რიგის „სკონტოში", „კაუნასში", მინსკის „მტზ-რიპოში", ბრესტის „დინამოში", ახლახან კი საჩხერეს „ჩიხურაში" ჩაირიცხა...**

**- სახელმწიფო კომისიის წევრები თქვენი აზრით რომ დაინტერესდნენ, რა პრობლემების მოგვარებას ურჩევდით?**

- პრობლემა უამრავია, მაგრამ წუწუნი რომ დავიწყო, უხერხული იქნება, რადგან ბევრ ფეხბურთელს იმაზე მეტი ანაზღაურება აქვს, ვიდრე საქართველოს რიგით მოქალაქეებს. გაუმართლებელი მგონია ისიც, რომ სახელმწიფოს უცებ მოვთხოვოთ მდგომარეობის გამოსწორება, პრობლემები წლების განმავლობაში გროვდებოდა და ერთ დღეში ვერ გადაწყდება, ამასაც დრო სჭირდება. მაგრამ ადრე თუ გვიან ჩვენს ფეხბურთს ხომ უნდა ეშველოს?! უდიდეს პრობლემებს მოხსნის ელემენტარული სირთულეების მოგვარება და დარწმუნებული ვარ, შედეგსაც მოგვიტანს.

**- „ელემენტარულში" რას გულისხმობთ?**

- მოედნების, სტადიონებისა და ბაზების მოწესრიგებას. ყველა გუნდს საკუთარი ბაზა რომ ჰქონდეს, ფეხბურთელები ნორმალურად მოემზადებიან, გაიზრდებიან, სხვა ქალაქებში და სხვის სტადიონზე სიარული არ მოგვიწევს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მოსაწესრიგებელია გასახდელები და საშხაპეები. მოთამაშეებს მინიმალური პირობები მაინც უნდა შეუქმნან, თამაშის დროს ისინი არ უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ გამოკვებონ ოჯახი. და კიდევ - აუცილებელია, ბავშვთა ფეხბურთს მიეხედოს, გაჭირვებულ ოჯახებს ფეხბურთისკენ გახედვის რომ არ ეშინოდეთ. ამას თუ მიხედავენ, მერე არ იტყვიან, ფეხბურთელები აღარ იზრდებიანო. ელემენტარული პირობები თუ არ იქნა, ვერც გაიზრდებიან. სწორედ ამის შედეგია, რა დღეშიც აღმოვჩნდით, თორემ აზერბაიჯანმა, სომხეთმა და უზბეკეთმა როგორ უნდა გაგვასწრონ? ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, საშუალო დონის ჩემპიონატებს ვგულისხმობ და არა ტოპ-ლიგებს, თუნდაც იმავე აზერბაიჯანსა და ყაზახეთში, ბევრი მოთამაშე ჩვენი ერთი კლუბის ბიუჯეტზე მეტ შემოსავალს იღებს. აბა, როგორ უნდა გავაჩეროთ ფეხბურთელები, რომელთა კონტინგენტიც ჩემპიონატის საერთო დონეს განაპირობებს?

**- თუმცა, საქართველოშიც ბევრი იღებს რამდენიმე ათას ლარს. ასეთი შემოსავალი ხომ რიგითი მოქალაქისთვის საოცნებოა?**

- მეც ამით დავიწყე: კარგად მესმის, რომ დუხჭირ ქვეყანაში ასეთი ხელფასი ბევრის ოცნებაა და, ერთი შეხედვით, ვის ეფეხბურთება? მაგრამ მეორე მხარეა - ფეხბურთის მდგომარეობა სხვა ქვეყნებში არსებულ გარემოს უნდა შევადაროთ. საშუალო ევროპული დონის ლიგებში მინიმალური ხელფასები 6-7 ათასია, ყაზახეთი და აზერბაიჯანი მომყავს ისევ მაგალითად, ასევე პოლონეთში. ფეხბურთი ცალკე სამყაროა, თავისი წესებით და რასაც მოითხოვს, ის უნდა მისცე, თორემ წაიყვანენ მოთამაშეებს და მერე ვიძახოთ, რომ რიგით მოქალაქესთან შედარებით, ქართველი ფეხბურთელები მეტს იღებენო. ფეხბურთი ყველას უყვარს, ის კი ძვირადღირებული სიამოვნებაა და შესაბამისი პირობებია საჭირო.

**- დღეს ქართული ფეხბურთი რა დონეზეა?**

- გადაუჭარბებლად ვამბობ, რომ ასეთი აუტანელი ვითარება და დაბალი დონე არასოდეს ყოფილა. მახსოვს, ბავშვობაში ხობში მაგარი საცურაო აუზი იყო და მითხრეს, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სალნიკოვი სავარჯიშოდ აქ ჩამოდიოდაო. გუნდებს ელემენტარული პირობები ჰქონდათ, ნორმალურ მოედნებზე ვარჯიშობდნენ და მოწესრიგებულ სტადიონებზე თამაშობდნენ. სათამაშო ფორმები და ტურის მატჩებზე წასვლა მაინც არ უჭირდათ. თამაშს რომ ვიწყებდი, მაშინ აზერბაიჯანსა და ყაზახეთში გადასვლა არავის სურდა. ბადრი კვარაცხელია რომ წავიდა, მაშინ შევიტყვე, რომ თურმე, იქ ჩემპიონატს ატარებდნენ. ახლა ტოშაკი, ფოგთსი, სიომინი, ტონი ადამსი, იზმაილოვი, მპენზა ჩაიყვანეს და 16 წლის ქართველ ბავშვებსაც იქით უჭირავთ თვალი. ჩვენი საქმე კი უკან-უკან წავიდა, ძველი ინფრასტრუქტურა განადგურდა, ახალი ააშენეს, მაგრამ არასაკმარისია, ბევრი სტადიონი დაინგრა, სკოლები გაასხვისეს და ბავშვები სად გაიზრდებიან? ფეხბურთის აღორძინება კი მხოლოდ დიდი ფულით არის შესაძლებელი, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

**- მაგრამ ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ფეხბურთს მილიონები დაახარჯოს...**


გია კვარაცხელია

- სხვათა შორის, საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა პრემიერ ღარიბაშვილისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრის შემდეგ: სახელმწიფო პროგრამის ამუშავებით, შესაძლებელი გახდება 4 ათასი სამუშაო ადგილის შექმნაო. ამდენი ადამიანის უკან ხომ ოჯახები და 20 ათასამდე ადამიანი დგას? გასაგებია, რომ ჩვენთან ფეხბურთი ვერასოდეს იქნება ისეთივე წარმატებული ბიზნესი, როგორც წამყვან ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ აწყობილი საფეხბურთო სისტემა ბიუჯეტში თანხას შეიტანს და ნაკლებს გამოიტანს. დღეს მდიდარი ქართული კლუბი მხოლოდ „დინამოა", ალბათ, „ზესტაფონიც", საჩხერის „ჩიხურას" პლუსი ისაა, რომ ფინანსური მხარე მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული აქვს. მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. მოვიპოვებთ საქართველოს ჩემპიონობას, ევროსაგზურს და რა მერე? გავდივართ ევროპაში და ვერაფერს ვაღწევთ. ფეხბურთის აღორძინებას საკმაო დრო დასჭირდება, მაგრამ სხვაგვარად არაფერი გამოვა - ფულიც აუცილებელია და დროც.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რომა-სამპდორია. გამოხმაურება

# რომას სკუდეტოსი ისევ სჯერა



მატია დესტროს გოლს ჟერვინიო და ალესანდრო ფლორენცი ულოცავენ

სერია A-ს 24-ე ტურის უკანასკნელი შეხვედრა გუშინ გვიან ღამით გაიმართა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ ამბიციური გუნდები: „ვერონა" და „პარმა" წარსდგნენ. ვენეტოელთა და ემილიელთა დაპირისპირება სატურნირო თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ორივე გუნდი ევროსაგზურისთვის იბრძვის. კვირას საღამოს კი თავისი მატჩი „რომამ" გამართა, რომლის შესახებაც ტურის მიმოხილვაში არაფერი გვითქვამს...

**რუდი გარსიას ფრანჩესკო ტოტი** აკლდა, ამიტომ ცენტრფორვარდის პოზიციაზე **მატია დესტრო** გაამწესა, ფლანგებიდან კი ახალგაზრდა ფორვარდს **ჟერვინიო** და **ალესანდრო ფლორენცი** მიახმარა. ფრანგ სპეციალისტს არ უნანია, რადგან დესტრომ დუბლი შეასრულა და ლომის წილი დაიდო მისი გუნდის გამარჯვებაში. რომაელთა მეტოქე „სამპდორია" იყო, გუნდი, რომელიც **სინიშა მიხაილოვიჩის** თავკაცობით მოლონიერდა და სატურნირო ცხრილშიც ზემოთ აინაცვლა. სინიშა პირველი გახლდათ, ვინც მიმდინარე სეზონში 4-2-3-1 ტაქტიკას დაეყრდნო და მხოლოდ შემდეგ მიბაძა მას **კლარენს ზეედორფმა**. კერკეტმა „სამპდორიამ" სამი უპასუხო გოლი გაუშვა მეტოქისგან, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ უბრძოლველად დანებდა. გენუელებს საგოლე მომენტებიც ჰქონდათ და მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, შესაძლოა, ინტრიგა ბოლომდე შენარჩუნებულიყო.

ნამატჩევს, „რომას" მთავარმა მწვრთნელმა რუდი გარსიამ შემდეგი განაცხადა: *„სათასო პაექრობაში მარცხის შემდეგ, ბევრმა გაგვაკრიტიკა, დღეს კი დავამტკიცეთ, რომ „რომას" მარცხისგან კარგი გაკვეთილის მიღება შეუძლია. ჩვენ დავანახეთ ყველას, რომ დიდებული გუნდი გვყავს - იმავე „ნაპოლის" მთელი ოთხი ქულით ვუსწრებთ და ერთი მატჩით ნაკლები გვაქვს გამართული. ვამაყობ ჩემი შეგირდებით და მჯერა ჩემი გუნდის"*.

პრესასთან **მირალემ პიანიჩმაც** გააკეთა კომენტარი: *„მეტოქემ გაგვიწია წინააღმდეგობა, მატრამ მაინც დამაჯერებლად გავიმარჯვეთ. ეს ჩვენი პასუხი იყო იმ კრიტიკოსების მიმართ, რომლებმაც „ნაპოლისთან" მარცხის შემდეგ შემოგვიტიეს. ჩვენ გვჯერა სკუდეტოსი და ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე"*.

**ლაშა წიკლაური**

● იუვენტუსი


ანტონიო კონტე (მარცხნივ) და ფაბიო კაპელო

# კონტე კაპელოს: მიხედე შენ საქმეს

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ **ფაბიო კაპელო** იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებს გაესაუბრა და **ანტონიო კონტე** მკაცრად გააკრიტიკა. მაესტრომ „იუვენტუსის" დამრიგებელს ურჩია, რომ ემოციები მოთოკოს და სადამსჯელო სანქციების დაწესებაზე თავი შეიკავოს. შეგახსენებთ, რომ „ვერონასთან" დაკარგული ქულების შემდეგ კონტემ შეგირდები უქმე დღეს ავარჯიშა და თანაც, გაორმაგებული დატვირთვით. ზოგადად, ბევრი ამბობს, რომ ანტონიოს ფეხბურთელები მუდმივ სტრესში ჰყავს და კაპელომაც ეს გააპროტესტა. ფაბიოს თქმით, ასეთ დროს მოთამაშეებთან კომუნიკაცია, მათთან საუბარია გამოსავალი და არა სანქციების დაწესება. კონტემ არ დაახანა და კაპელოს შემდეგი უპასუხა:

*„ჯოვანი ტრაპატონი, ნევიო სკალა, მარჩელო ლიპი და სხვა ღვაწლმოსილი მწვრთნელები ხშირად გვაქებენ და ეს უდავოდ სასიამოვნოა, აი, ფაბიო კაპელო კი რატომღაც გადამეკიდა. როგორც ჩანს, მას ჩემი წარმატებები არ აძლევს მოსვენებას. ურჩევნია თავის საქმეზე იფიქროს, რადგან წინ მუნდიალი ელოდება. მის ადგილას, ხმას არ ამოვიღებდი და ჩემს საქმეზე ვიქნებოდი კონცენტრირებული. ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის მისაღებია, მაგრამ სხვის საქმეში ჩარევა არა მგონია სწორი იყოს. ფაბიოს მინდა ვურჩიო, რომ თავის საქმეს მიხედოს, მე კი ჩემსას მოვუვლი"*.

**ლაშა წიკლაური**

● იტალიის ნაკრები

# ვინ შეცვლის მარკეტის?

მას შემდეგ, რაც **მორგან დე სანქტისმა** სანაკრებო კარიერა დაასრულა, იტალიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი მუდმივად შემდეგ მეკარეებს იძახებდა: **ჯანლუიჯი ბუფონი, სალვატორე სირიგუ** და **ფედერიკო მარკეტი**. **ჩეზარე პრანდელი** სწორედ ამათ წაყვანას გეგმავდა ბრაზილიაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ლაციოს" **ედუარდო რეია** ჩაუდგა სათავეში, მარკეტის საქმეები ცუდად წაუვიდა. ფედერიკომ დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, მის მაგივრად კი „ბიანკოჩელესტეს" კარს **ეტრიტ ბერიშა** იცავს. ბუნებრივია, გუნდში ადგილის დაკარგვა მარკეტის სანაკრებო კარიერას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. არადა, ფედერიკო ჯანლუიჯი ბუფონის უპირველეს ალტერნატივად ითვლებოდა.

„გაძეტა დელო სპორტმა" ამ თემას საგანგებო სტატია მიუძღვნა, სადაც ნათქვამია, რომ მარკეტის ეროვნულ გუნდში ან **მატია პერინი** ჩაანაცვლებს, ანაც **ანდრეა კონსილი**. პირველი „ჯენოას", ხოლო მეორე „კალიარის" ღირსებას იცავს - ჯერჯერობით, ჩეზარე პრანდელის კომენტარი არ გაუკეთებია.

**ლაშა წიკლაური**


ფედერიკო მარკეტი ეროვნულ ნაკრებშიც კარგავს ადგილს

## იტალია

### სერია A. XXIV ტური

**ვერონა-ტორინო 1:3**

**გოლები:** 1:0 ტონი (36-პენ.), 1:1 იმობილე (49), 1:2 ჩერჩი (53), 1:3 ელ ქადური (61).

**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - კაჩატორე (66. მარტინიო), მორასი, მარკესი, აგოსტინი - რომულო, დონადელი, ალფრედსონი (78. მარკინიო) - გომესი, იტურბე (79. სალა), ტონი.

**ტორინო (3-5-2):** პადელი - ბოვო, გლიკი, მორეტი - დარმიანი, მაზიელო, ელ ქადური (85. ფარნერუდი), კუერტი, ვივესი - ჩერჩი (79. მეგლორინი), იმობილე (90. ლარონდო).

**გაფრთხილება:** ალფრედსონი - ბოვო, ვივესი, ელ ქადური.

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 8-9(4-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 24 | 20 | 3 | 1 | 59-19 | 63 |
| 2. რომა | 23 | 16 | 6 | 1 | 48-11 | 54 |
| 3. ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 49-27 | 50 |
| 4. ფიორენტინა | 24 | 13 | 5 | 6 | 43-25 | 44 |
| 5. ინტერი | 24 | 10 | 9 | 5 | 42-28 | 39 |
| 6. პარმა | 23 | 9 | 9 | 5 | 36-27 | 36 |
| 7. ტორინო | 24 | 9 | 9 | 6 | 39-31 | 36 |
| 8. ვერონა | 24 | 11 | 3 | 10 | 40-40 | 36 |
| 9. მილანი | 24 | 8 | 8 | 8 | 37-35 | 32 |
| 10. ლაციო | 24 | 8 | 8 | 8 | 30-32 | 32 |
| 11. ჯენოა | 24 | 8 | 7 | 9 | 27-31 | 31 |
| 12. სამპდორია | 24 | 7 | 7 | 10 | 27-35 | 28 |
| 13. უდინეზე | 24 | 8 | 3 | 13 | 28-35 | 27 |
| 14. ატალანტა | 24 | 8 | 3 | 13 | 24-36 | 27 |
| 15. კალიარი | 24 | 5 | 9 | 10 | 22-34 | 24 |
| 16. ბოლონია | 24 | 4 | 9 | 11 | 22-40 | 21 |
| 17. ლივორნო | 24 | 5 | 5 | 13 | 24-42 | 20 |
| 18. კატანია | 24 | 4 | 7 | 13 | 19-41 | 19 |
| 19. კიევო | 24 | 4 | 6 | 14 | 17-35 | 18 |
| 20. სასუოლო | 24 | 4 | 5 | 15 | 23-51 | 17 |

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XXIV ტური

**მალაგა-ვალიადოლიდი 0:1**

**გოლი:** 0:1 ველა (10)

**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ანხელერი, ი. კამაჩო, ფლავიო, ანტუნეში - სერხიო დარდერი, ტისონე - პორტილიო (46. დუდა), იაკოვენკო (62. სამუ), ამრაბატი - ელ ჰამდაუი (71. სანტა კრუსი)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ბრავო - ხოსება სალდუა, ანსოტეგი, ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - ბერგარა, რუბენ პერესი (80. ელუსტონდო) - ველა, კანალესი (63. ჩაბი პრიეტო), გრიზმანი - სეფეროვიჩი (63. სუროტუსა)

**გაფრთხილება:** ანტუნეში, ფლავიო, დუდა -

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-7 (5-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 69-17 | 60 |
| 2. რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 68-24 | 60 |
| 3. ატლეტიკო | 24 | 19 | 3 | 2 | 59-16 | 60 |
| 4. ბილბაო | 24 | 13 | 5 | 6 | 43-30 | 44 |
| 5. ვილიარეალი | 24 | 12 | 4 | 8 | 44-29 | 40 |
| 6. სოსიედადი | 24 | 11 | 7 | 6 | 43-34 | 40 |
| 7. სევილია | 24 | 8 | 8 | 8 | 42-41 | 32 |
| 8. ვალენსია | 24 | 9 | 5 | 10 | 36-35 | 32 |
| 9. ესპანიოლი | 24 | 9 | 5 | 10 | 28-30 | 32 |
| 10. ლევანტე | 24 | 8 | 8 | 8 | 23-30 | 32 |
| 11. სელტა | 24 | 8 | 5 | 11 | 31-35 | 29 |
| 12. გრანადა | 24 | 8 | 3 | 13 | 21-30 | 27 |
| 13. ელჩე | 24 | 6 | 8 | 10 | 22-34 | 26 |
| 14. ოსასუნა | 24 | 7 | 5 | 12 | 21-37 | 26 |
| 15. ხეტაფე | 24 | 7 | 4 | 13 | 22-39 | 25 |
| 16. ალმერია | 24 | 7 | 4 | 13 | 24-42 | 25 |
| 17. მალაგა | 24 | 6 | 6 | 12 | 23-34 | 24 |
| 18. ვალიადოლიდი | 24 | 4 | 9 | 11 | 26-42 | 21 |
| 19. ვალეკანო | 24 | 6 | 2 | 16 | 25-58 | 20 |
| 20. ბეტისი | 24 | 3 | 5 | 16 | 20-53 | 14 |

● ინტერვიუ. ვალტერ მაცარი


ზაფხულში ვალტერ მაცარი ერიკ ტოჰირისგან სიურპრიზებს ელოდება

# ტოზესთან ბევრი საერთო მაქვს

## ერნანესი ძალიან გვჭირდებოდა

**„ინტერმა" ჩავარდნა დასძლია და მიჯრით მოიგო ორი მატჩი, რამაც გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალტერ მაცარი ხასიათზე მოიყვანა და აალაპარაკა. „ნერაძურის" თავკაცმა ჟურნალისტის რამდენიმე საინტერესო კითხვას უპასუხა.**

**- ყველაზე რთული დრო უკან მოიტოვეთ?**

- იმედი მაქვს, თუმცა წინ კიდევ უამრავი ტურია და ფხიზლად გვმართებს ყოფნა. ერთი მოდუნება და ისევ კრიტიკის ქარცეცხლში გავეხვევით. „ინტერი" ჩამოყალიბების სტადიაშია და ეს არასტაბილურობაც აქედან მოდის. მწვრთნელს დრო უნდა მიეცეს, რომ თავისი ხედვა მოედანზე გადაიტანოს.

**- ერნანესის ტრანსფერზე რას იტყვით?**

- ერნანესის ტიპის ფეხბურთელი ძალიან გვაკლდა და ეს პირველი მატჩებზე გამოჩნდა. ბრაზილიელი ბურთს კარგად იჭერს და ცენტრში დიდ ძალას გვმატებს. დრო გვიჩვენენებს, რამდენად გამართლებული იყო მისი გადმოყვანა, მაგრამ ჯერჯერობით, რომ საქმეს კარგად ართმევს თავს, ცხადზე უცხადესია. ზედიზედ ორი მატჩი მოვიგეთ და ამაში ერნანესმა დიდი წვლილი შეიტანა.

**- იქნებ დარწმუნდეს ერიკ ტოჰირი, რომ ტრანსფერები აუცილებელია...**

- ტოჰირი დარწმუნებულია, რომ გაძლიერების გარეშე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი შეუძლებელია, მაგრამ შუა სეზონში, სატრანსფერო ბუმს ნამდვილად ვერ მოაწყობდა. მისტერ ერიკი აკვირდება პროცესებს, სწავლობს ვითარებას და ზაფხულში ალბათ გარკვეულ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს.

**- ამბობენ, რომ რაფაელ ბენიტესი „ინტერში" ჟოზე მოურინიოს აჩრდილს ებრძოდა, თქვენც ასე ხართ?**

- დადებითი პასუხი რომ გაგცეთ, ალბათ გაგიკვირდებათ... ბენიტესზე ვერაფერს გეტყვით, მე კი მოურინიოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, ჩვენი საფეხბურთო ხედვა ბევრ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს. ჟოზეს ამერიკული ტურნეს დროს შევხვდი, ბევრი ვისაუბრეთ და მაშინ მივხვდი, რომ ბევრ საკითხს ერთნაირად ვუყურებთ. იმედი მაქვს, იგივე წარმატებას მივაღწევ „ინტერში", რასაც მან მიაღწია.

**- რამდენად რეალურია, რომ უახლოეს ხუთ წელიწადში „ინტერმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგოს?**

- ამაში გასაოცარს და წარმოუდგენელს ვერაფერს ვხედავ. „ინტერი" უდიდესი ტრადიციების და ისტორიის მქონე გუნდია, რომელიც ყოველთვის უმაღლეს მიზნებს ისახავს. შესაძლოა, დღეს საუკეთესო დროება არ გვიდგას, მაგრამ ხვალ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს; რომ აღარაფერი ვთქვათ ხუთ წელიწადზე.

**ლაშა წიკლაური**

## ამბები

### ჰალკი და სხვები დასაჯეს

დასრულდა გამოძიება საქმისა, რომელიც 2009 წლის 20 დეკემბერს „და ლუზის" გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მოხდა „ბენფიკასა" და „პორტუს" მატჩის შემდეგ. საქმე ისაა, რომ მაშინ ორმა სტიუარდმა „პორტუს" ფეხბურთელები ფიზიკურ შეურაცხყოფაში დაადანაშაულა. ეს მოთამაშეები არიან - **ჰალკი, კრისტიან სეპუნარუ, ჯეიმს როდრიგესი, ელტონი** და **ხორხე ფუსილე**. ამჟამად „დრაკონებში" მხოლოდ უკანასკნელი ორი ირიცხება. სასამართლომ ფეხბურთელები დამნაშავედ ცნო და მათ სხვადასხვა ოდენობის თანხის გადახდა დააკისრა. თითოეული სტიუარდი კი 30 500 ევროს მიიღებს მორალური ზიანის კომპენსაციის სახით. სეპუნარუ 90 ათასს გადაიხდის, ელტონი 60 ათასს, ხოლო ჰალკი, როდრიგესი და ფუსილე - 35 ათასს.

### გუარინი ინტერთან გაახანგრძლივებს

**ფრედი გუარინი** „ინტერთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. 27 წლის კოლუმბიელი „ნერაძურიდან" წასვლასთან ძალიან ახლოს გახლდათ, მაგრამ მისი **მირკო ვუჩინიჩში** გაცვლა ბოლო წამს ჩაიშალა. ახლა კი მილანელებს გუარინის დიდი ხნით დაბევება უნდათ და მის აგენტთან **მარსელო ფერეირასთან** აწარმოებენ მოლაპარაკებას. როგორც ამბობენ, მხარეები კონტრაქტს 2017 წლამდე გააფორმებენ, ხოლო გუარინი წელიწადში 3 მილიონ ევროს და პლუს ბონუსებს მიიღებს.

### ვალენსიას პიატი დააკლდება

ესპანური „ვალენსიას" ერთ-ერთი ლიდერი **პაბლო პიატი** ტრავმის გამო, დაახლოებით 4-5 კვირა იუქმებს. შესაბამისად, 24 წლის არგენტინელი თავის გუნდს ევროპალიგაზე კიევის „დინამოსთან" ვერც ერთ მეთექვსმეტედფინალურ მატჩში ვერ დაეხმარება. გარდა ამისა, „ღამურებს" **ორიელ რომეუ** აკლიათ, რომელიც გამოკვლევებზე ლონდონში ჩავიდა. ექიმები თავის სიტყვას მალე იტყვიან.

**გიორგი პაპაბაძე**

● არგენტინა. პრიმერა დივიზიონი. ტორნეო ფინალი. II ტური

# ესტუდიანტესი გალიდერდა

**გოდოი კრუსი–კილმესი 2:0**
**გოლები:** 1:0 კასტელანი (25), 2:0 კ. აკინო (31)
**გაძევება:** საკარია (58. კილმესი)

**ოლ ბოისი–ესტუდიანტესი 0:1**
**გოლი:** 0:1 კარილიო (65)
**გაძევება:** აუსკი (68. ესტუდიანტესი)

**არსენალი–ველესი 1:3**
**გოლები:** 0:1 მ. სარატე (48), 0:2 მ. სარატე (58), 0:3 ხ. კორეა (64), 1:3 ეჩევერია (85)
**გაძევება:** დ. პერესი (76. არსენალი)

**ტიგრე–ოლიმპო 0:0**
**გაძევება:** მოირაგი (90. ოლიმპო)

**სან ლორენსო–რასინგი 1:0**
**გოლი:** 1:0 ბლანდი (8)

**კოლონი–არ. ხუნიორსი 1:0**
**გოლი:** 1:0 გრასიანი (55)

**ხიმნასია–ნიუელსი 3:0**
**გოლები:** 1:0 გ. დიასი (9), 2:0 ბლენხიო (60), 3:0 ფ. პერეირა (80)

**ლანუსი–ატლ. რაფაელა 0:3**
**გოლები:** 0:1 დ. ვერა (28), 0:2 დ. ვერა (42), 0:3 კანუე (70)

**როსარიო–რივერი 1:1**
**გოლები:** 0:1 ლანსინი (4), 1:1 კ. ლუნა (29)
**გაძევება:** პ. ფერარი (82. როსარიო)

**ბოკა–ბელგრანო 2:3**
**გოლები:** 1:0 ფორლინი (7), 1:1 რიგონი (47), 1:2 ლოლო (65-პენ), 1:3 ს. პერეირა (90), 2:3 ლუსიანო აკოსტა (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტუდიანტესი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. ატლ. რაფაელა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ველესი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ოლიმპო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 5. ბელგრანო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 6. რივერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 7. როსარიო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. რასინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 9. ხიმნასია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 10. გოდოი კრუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 11. არ. ხუნიორსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 12. სან ლორენსო | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 13. კოლონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 14. ტიგრე | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 15. ბოკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16. ოლ ბოისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17. ლანუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 18. ნიუელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 19. არსენალი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20. კილმესი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**ბომბარდირები:** 2 - მ. სარატე (ველეს სარსფილდი), ლოლო (ბელგრანო), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა)


კარლოს ბიანკი და „ბოკა“ კიდევ ერთხელ შერცხვნენ

**ტორნეო** ფინალის მეორე ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი მხოლოდ მაურისიო პელეგრინოს „ესტუდიანტესს“ აქვს მოგროვებული. კვლავ არაფერი ეშველა „ბოკა ხუნიორსს“, რომელმაც შინ „ბელგრანოსთან“ წააგო, „ლანუსმა“ და „ნიუელსმა“ კი ამ ტურში ლიდერები დაასვენეს და შესაბამისი შედეგიც მიიღეს...

**მაურისიო პელეგრინოს** „ესტუდიანტესში“ მისვლის შემდეგ, ეს გუნდი გამოკვეთილი დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი გახდა. ახლაც „სტუდენტებმა“ ჩემპიონატის ორ ტურში მხოლოდ ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ ეს ორი ბურთი საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ გუნდს ამდენივე გამარჯვება მოეპოვებინა.

მორიგ ტურში, **ხუან სებასტიან ვერონმა** და კომპანიამ „ოლ ბოისს“ მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბოლო 22 წუთი კაცნაკლულმა ჩაატარა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **გვიდო კარილიომ** გაიტანა, რის შემდეგაც არბიტრმა მოედნიდან **კარლოს აუსკი** გააძევა, მაგრამ სტუმრებმა დარჩენილ წუთებში გაძლეს და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ.

ორმა ფავორიტმა, „ნიუელსმა“ და „ლანუსმა“ ერთნაირი ანგარიშით, 0:3 წააგო. **ალფრედო ბერტის** და **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდების ამ ფიასკოს ძალიან მარტივი ახსნა აქვს - მწვრთნელებმა, გადატვირთული კალენდრის გამო, ამ ტურში ძირითადი შემადგენლობის წევრების დასვენება გადაწყვიტეს. წინა სეზონში, რეზერვისტებმა „ლანუსს“ არაერთხელ გაუმართლეს, მაგრამ ამჯერად ყველაფერი ცუდად დასრულდა. „ატლეტიკო რაფაელამ“ მეტოქის მდგომარეობით ისარგებლა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. სტუმართა მხრიდან დუბლი ურუგვაელმა **დიეგო ვერამ** შეასრულა, კიდევ ერთი ბურთი კი **კრისტიან კანუემ** გაიტანა.

დიდი ანგარიშით დამარცხდა „ნიუელსიც“, რომელსაც არგენტინის ჩემპიონატში საოცარი, 10-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს. „ლანუსისგან“ განსხვავებით, „ძველი ბიჭების“ შემადგენლობას სარეზერვოს ვერ ვუწოდებთ, რადგან **ბანეგა**, **ჰაინცე**, **მაქსი როდრიგესი** და **კასკო** ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, მაგრამ ასევე სასტარტო 11-ეულში იყო 16 წლის ფორვარდი **ესეკილ პონსეც**, რომელმაც თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა.

## ბიანკის კრიზისი გრძელდება

უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ **კარლოს ბიანკის** ფეხბურთში დაბრუნება დიდი შეცდომა იყო. „პაპა კარლოს“ მეთოდები აშკარად დაუძველდა და ეს ყველაფერი „ბოკა ხუნიორსის“ შედეგებზეც ადეკვატურად აისახება. ამ ტურში, „ბოკამ“ „ბომბონერაზე“ მორიგი მარცხი განიცადა და საკუთარი „ინჩადა“ კიდევ ერთხელ გაანბილა.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი „ესპანიოლის“ ყოფილი მცველის, **ხუან ფორლინის** გოლის წყალობით კი მოიგეს, მაგრამ მეორე ნახევრის სტარტზე საკუთარ კარში ორი ბურთი გაუშვეს. მატჩის უკანასკნელ წუთებზე მაყურებლებმა კიდევ ორი გოლი იხილეს - ჯერ წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **სესარ პერეირამ** იხეირა, რამდენიმე წამში კი ცვლილებაზე გამოსულმა 19 წლის **ლუსიანო აკოსტამ** კარიერაში თავისი პირველი ბურთი გაიტანა.

ალსანიშნავია ისიც, რომ „ბელგრანო“ „ბოკასთვის“ უხერხული მეტოქეა. სულ ამ გუნდებს შორის 31 მატჩი გაიმართა, აქედან 14 „ბოკამ“ მოიგო, 10 კი „ბელგრანომ“. არგენტინის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან გუნდთან ასეთი შედეგით ბევრი გრანდიც კი ვერ დაიკვეხნის.

**ტატო ბაციკაძე**

● ამბები


ედინსონ კავანი

## კავანი და ჩელსი გადაწყდა?

ურუგვაელ **ედინსონ კავანის** ახლაც ძალიან ბევრი მსურველი ჰყავს - „იუვენტუსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, რეალი“... თუმცა ბრიტანულ პრესას თუ ვენდობით, იგი კარიერას ლონდონის „ჩელსიში“ გააგრძელებს. კავანის მეტი სათამაშო დრო უნდა, „პარი სენ-ჟერმენში“ კი ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და პარიზელებიც მზად არიან, ზაფხულში იგი შესაბამის თანხად გაუშვან. ხოლო „ჩელსის“ ხელმძღვანელობისთვის **ჟოზე მოურინიოს** უკვე უთქვამს, რომ კავანი აუცილებლად გვჭირდებაო და „ლურჯები“ ყაბულს არიან ამ ტრანსფერში 50 მილიონი ფუნტი დახარჯონ. ამბობენ იმასაც, მოურინიო მზადაა, **რომელუ ლუკაკუსა** და **დემბა ბას** შეელიოსო.

## რონალდო პსჟ-ს შეუერთდება

მომავალი სეზონიდან **რონალდო** შესაძლოა „პარი სენ ჟერმენის“ სპორტული დირექტორი გახდეს, თუ იგი დედაქალაქელების პრეზიდენტის **ნასერ ალ-ხელაიფის** წინადადებას მიიღებს. „ფენომენმა“ ეს ინფორმაცია თავად დაადასტურა.

*„ასეთ ვარიანტს არ გამოვრიცხავ. პსჟ-ს ხელმძღვანელობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და უკვე ვარ კლუბის კეთილი ნების ელჩი. ასევე ძალიან მიყვარს თვითონ ქალაქი პარიზი. თუმცა ჯერ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საქმეები უნდა მოვილიო ელჩის რანგში“* - განაცხადა ლეგენდარულმა ბრაზილიელმა.

## შრომისმოყვარე უმცროსი ზიდანი

მადრიდის „რეალის“ სამწვრთნელო შტაბის წევრს **ზინედინ ზიდანს** სჯერა, რომ მის ვაჟს **ლუკას** შეუძლია, დიდი ფეხბურთელი დადგეს. უმცროსი ზიდანი ამჟამად „რეალის“ ახალგაზრდული გუნდის მეკარეა.

*„ის უაღრესად შრომისმოყვარეა და აქვს ყველაფერი იმისთვის, რომ ფეხბურთში წარმატებას მიაღწიოს. როდესაც გაქვს შესაბამისი თვისებები, ნამდვილად შეგიძლია იყო წარმატებული. თუმცა ჯერ დავიცადოთ, ის მხოლოდ 16 წლისაა“* - თქვა ზიზუმ.

**გიორგი პაპაბაძე**

● ინგლისი. ასოციაციის თასი. გამოხმაურება

# ალოგიკური გამარჯვება

## არბიტრის უხეში შეცდომის ფონზე

ისევე როგორც რამდენიმე დღის წინ, კვირას „ლივერპული“ უკეთესი გუნდი იყო, ვიდრე „არსენალი“. ვინც აღნიშნული დაპირისპირება სრულად იხილა, არ გვგონია, სხვა აზრზე იყოს. 8 თებერვლის შეხვედრის მსგავსად სტუმარმა განსაკუთრებულად აგრესიულად შეხვედრა და მე-4 წუთისთვის ანგარიში შეიძლებოდა სულაც 2:0 ყოფილიყო. ხელსაყრელი სიტუაცია ორჯერვე **დენიელ სტარიჯმა** გაანიავა. „წითლებს“ სიჩქარეები არც მერე დაუგდიათ, ოღონდ ტემპერატურამ **ლუკაშ ფაბიანსკის** კართან ნელ-ნელა მაინც იკლო. თავის მხრივ „არსენალმა“ პირველივე მომენტი გამოიყენა. **მარტინ შკრტელმა** საჯარიმოში **იაია სანოგოსთან** მაღალ ბურთზე ბრძოლა წააგო. თავდამსხმელმა ბურთი დაუმუშავებლად დასცხო, თუმცა **ლუკას პოდოლსკის** მოარტყა ფეხებში, საიდანაც **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენს** მიუვიდა. უკანასკნელისთვის საბოლოო დარტყმაში ხელი აღარავის შეუშლია. „მეთოფეები“ ტაიმის ბოლომდე კიდევ რამდენჯერმე გადარჩნენ, შესვენების შემდეგ კი სხვაობა სწრაფადვე გაზარდეს. ოქსლეიდ-ჩემბერლენმა **მესუთ იოზილისგან** მიიღო გადაცემა და ცენტრისკენ პოდოლსკის დაუგორა. **ჯო ფლენაგანმა** ცენტრალური მცველები დროულად ვერ დააზღვია. „ლივერპულმა“ ერთადერთი გოლი პენალტიდან გაიტანა. წესი პოდოლსკიმ დაარღვია, ვინც **ლუის სუარესს** ფეხებში მისცხო.

**არსენ ვენგერი** (არსენალი): *„ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია. ასე რომ, მომდევნო ეტაპზე გასვლით ბედნიერები ვართ. მომეწონა ჩემი ფეხბურთელების ენერგიულობა და მიზანმიმართულობა. აშკარაა, რომ დღეს ყოველმა მათგანმა მაქსიმუმი გააკეთა წარმატებისთვის. „ლივერპული“ ძლიერი გუნდია. მან რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოიყენა, თუმცა გოლების გარდა სხვა შანსები ჩვენც გვქონდა. მოვისმინე მოსაზრება, თითქოს „არსენალს“ თებერვალში ტრადიციულად ეწყება ჩავარდნა და ჩვენი წარუმატებლობები ამის ბრალია. მტკიცებას სერიოზულად ვერ მივიღებ. შესაძლოა, გარკვეული პრობლემები გვქონდა, ნამდვილად იყო იმედის გაცრუებებიც, მაგრამ მე ჩავარდნას სხვა რამეს ვუწოდებ“.*

**ბრენდან როჯერსი** (ლივერპული): *„ვფიქრობ, რომ დღეს უფრო ძლიერი გუნდი დამარცხდა. დღევანდელი თამაშით, მინიმუმ, განმეორებით მატჩს მაინც ვიმსახურებდით. შეტევაში უბრალოდ ძალიან ძლიერები ვიყავით, მარტივ სიტუაციებში გაშვებული ბურთები კი ოპტიმიზმს ნამდვილად ვერ შეგვმატებს. „ემირეიტსზე“ სეზონის დასაწყისშიც დავმარცხდით (0:2), მაგრამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მას მერე უზარმაზარი პროგრესი განვიცადეთ და ეს მოედანზეც გვეტყობოდა. დღეს ჩემს გუნდს საკუთარი ძალების ბოლომდე სწამდა. რაკი თასიდან გამოვვარდით, შეგვიძლია მთელი ყურადღება პრემიერლიგაზე გადავიტანოთ. წინ კიდევ 12 ტურია, ასე რომ, მიზნის მისაღწევად ბევრი შრომა გვმართებს“.*

### კოლეგების შეფასება

მატჩის მიმდინარეობისას **ჰოვარდ ვების** მიერ დაშვებულ რამდენიმე შეცდომას მისი ყოფილი კოლეგა **მარკ ჰალსი** გამოეხმაურა და პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრს კარიერაში გარკვეული პაუზის აღება ურჩია. ჰალსის შეფასებით, 2:1-ზე ოქსლეიდ-ჩემბერლენის მიერ სუარესზე თამაშის წესის დარღვევა აშკარა იყო: *„აღნიშნულ ეპიზოდში ჰოვარდი უხეშად შეცდა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მიმდინარე სეზონში ის შორს არის საუკეთესო ფორმისგან. ვები არ ჰგავს იმ ძველ მსაჯს, რომელსაც გულშემატკივარი წლების განმავლობაში ენდობოდა. შესაძლოა, მას მცირე პაუზამაც კი უშველოს, რადგან მეტისმეტად არის გადატვირთული არასაფეხბურთო საქმეებითაც. მას ხშირად იწვევენ სხვადასხვა ღონისძიებაზე და ეს ალბათ ხელს უშლის კონკრეტულ საქმეზე კონცენტრაციაში. ვებმა უნდა ჩაიხედოს სარკეში და გამოუტყდეს საკუთარ თავს, ამ ეტაპზე რომელი საქმიანობაა მისთვის პრიორიტეტული. უმჯობესი იქნება, დაივიწყოს ყველაფერი, რაც ფეხბურთთან არ არის დაკავშირებული“.*

იმავე აზრზეა კიდევ ერთი ავტორიტეტული ვეტერანი არბიტრი **გრემ პოლიც**: *„ლივერპულს“ მეორედაც ეკუთვნოდა პენალტი, რადგან წესის დარღვევა თვალში საცემი იყო. ვები კი ამ ეპიზოდში ისეთ პოზიციაში იდგა, რომ შეუძლებელი იყო, ვერ დაენახა. სუარესის ვარდნა აშკარად თეატრალური გახლდათ, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რაც ზემოთ ვთქვი. უმრავლესობისგან განსხვავებით მშვენივრად მესმის, თუ რამხელა ზეწოლის ქვეშ უწევს ასეთი დონის შეხვედრის მსაჯს მუშაობა, მაგრამ გამოცდილი არბიტრი ამას უნდა გაუმკლავდეს“.*

**ლევან ბიბილაშვილი**


ლუკას პოდოლსკი და იაია სანოგო 2:0-ის შემდეგ

● ვარსკვლავი. ედენ აზარი

# ბელგიელი უკმაყოფილოა


ედენ აზარს „სიტისთან“ მეორედ თამაში აღარ ნაუვიდა

შაბათს „ჩელსიმ“ ასოციაციის თასის 1/4-ფინალის საგზური „მანჩესტერ სიტის“ დაუთმო, რამაც დედაქალაქელებს გული დასწყვიტათ. პრემიერლიგის 24-ე ტურისგან განსხვავებით „ეტიჰადზე“ მასპინძელმა უმაღლეს დონეზე ითამაშა, რისი უარყოფა **ჟოზე მოურინიოსაც** კი არ უცდია. უკმაყოფილო დარჩა **ედენ აზარიც**. ბელგიელმა მატჩის შეფასება ორშაბათს „ჩელსის“ ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში სცადა.

- იმედი გვქონდა, რომ „ეტიჰადზე“ იმავე დონეზე შევძლებდით თამაშს, როგორც ეს ჩემპიონატში მოვახერხეთ, თუმცა რეალურად სულ სხვაგვარი თამაში ვიხილეთ. გუნდურად ბევრად უფრო სუსტად გამოვიყურებოდით. ვერ ვბრწყინავდით ვერც ინდივიდუალურად. პირადად მე რაც შემეხება, კარგად ნამდვილად არ მითამაშია. ეს ფეხბურთია და მსგავსი რამეები ხდება. შეუძლებელია, ყოველთვის ერთსა და იმავე დონეზე ასპარეზობა. ვერ გეტყვით, შესაძლოა, იმის ბრალიც იყო, რომ თავდაჯერება გვაკლდა. მასპინძელმა ორივე ტაიმი ერთნაირად კონცენტრირებულმა ითამაშა და ორივე გოლი დაიმსახურა. შეხვედრის განმავლობაში ბევრი მომენტი არ შექმნილა, თუმცა „სიტიმ“ თავისი შანსები იდეალურად გამოიყენა, რაზეც ჩვენ ვერა და ვერ მოვახერხეთ ღირსეული პასუხი. გამოსავალი ის არის, რომ ვარჯიში ძველებურად უნდა განვაგრძოთ. უქმეებზე უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის „ევერტონთან“. ამიერიდან ყურადღება მთლიანად ამ თამაშზე უნდა გადავიტანოთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის შეჯამება

# ორმაგი ბრძოლა ბომბარდირობისთვის

## დორტმუნდი და შალკე აზოზოქრდნენ, მაგრამ მხოლოდ ბაიერს თუ შეიწირავენ



„შალკეს" თავკაცი იენს კელერი და გოლეადორი კლაას-იან ჰუნტელაარი კარგ ხასიათზე არიან

**მიუნხენის „ბაიერნსა" და ლევერკუზენის „ბაიერს" შორის განსხვავება მარტო ერთ ასოში რომ არ არის, ეს ისედაც ცხადია. დორტმუნდის „ბორუსია" და „შალკე" ფორმაში რომ შევიდნენ, ამასაც ყველა ხედავს, თუმცა „ბაიერნამდე" მანძილი ფაქტობრივად მიუწვდომელია, „ბაიერის" მეორე ადგილიდან ჩამოგდება კი უკვე მხოლოდ დროის ამბავი გვგონია.**

4:0 ფრანკფურტის „აინტრახტთან", მხოლოდ ერთქულიანი ჩამორჩენა მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან" - დორტმუნდის „ბორუსია" ისევ აბობოქრდა თუ **იურგენ კლოპის** შეგირდები ასე გააგრძელებენ, თითქმის ჩაგდებულად მონათლულ სეზონს მათთვის აბსოლუტურად მისაღებ, მეორე ადგილზე დაასრულებენ. თუკი „ბაიერნის" პირველობას წყალი არ გაუვა, გერმანიაში მეორე გუნდი უდავოდ „დორტმუნდია". „ბორუსიას" 51 გოლი აქვს გატანილი, რაც ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მეორე შედეგია - რა თქმა უნდა, „ბაიერნის" (57 გოლი) შემდეგ და „დორტმუნდს" ორი გოლეადორი ჰყავს...

**რობერტ ლევანდოვსკი** და **პიერ-ემერიკ ობამეიანგი** - ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდებას ორივე ერთად უმიზნებს! ჯერჯერობით, საუკეთესო 25 წლის პოლონელია, რომელმაც „აინტრახტთან" პენალტი გაიტანა, დარტყმის სიჩქარე კი 121 კმ/სთ იყო. ლევანდოვსკის ანგარიშზე 14 გოლია, რითაც ბერლინელ **ადრიან რამოსთან** ერთად ბომბარდირთა დავაში პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. სხვათა შორის, ზაფხულში ლევანდოვსკი „ბაიერნში" გადადის და „დორტმუნდში" მის შემცვლელად სწორედ რამოსი განიხილება.

რაც შეეხება ობამეიანგს: 24 წლის გაბონელს, რომელიც სულაც არაა ცენტრფორვარდი (გარემარბია), მის ანგარიშზე უკვე 13 გოლია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბომბარდირობისთვის სეზონის ბოლომდე იბრძოლებს.

*„მიხარია, რომ ობა ამდენი გოლის გატანას ახერხებს. ეს კარგია როგორც გუნდისთვის, ასევე მისთვის და ჩემთვისაც,"* - აცხადებს ლევანდოვსკი და იქვე დასძენს, ერთად იმდენ გოლს გავიტანთ, ამ სეზონში სხვა ვერც ერთი წყვილი რომ ვერ მოახერხებსო. ეს ალბათ ასეც იქნება, მაგრამ ბუნდესლიგის ისტორიას ახლო წარსულში ახსოვს ისეთი წყვილი, რომლის შედეგის გამეორებას ან, მით უმეტეს, გაუმჯობესებას, ლევანდოვსკი და ობამეიანგი უკვე ნამდვილად ველარ მოახერხებენ: 2008/2009 წლების სეზონში „ვოლფსბურგის" ფორვარდებმა, **გრაფიტემ** და **ედინ ჯეკომ** ჯამში 54 გოლი გაიტანეს...

### იოიჩის საოცნებო დებიუტი

„აინტრახტთან" შეხვედრაში კლოპმა გუნდის ახალწვეული **მილოშ იოიჩი** მოედანზე 78-ე წუთზე შეუშვა და 21 წლის სერბმა ნახევარმცველმა ბუნდესლიგაში ბურთთან პირველივე შეხება გოლით დააგვირგვინა! ესეც რომ არ იყოს, იოიჩს გოლის გასატანად სულ რაღაც 17 წამი (!) ეყო.

*„ეს ჩემ ცხოვრებაში უბედნიერესი დღე და საუკეთესო მომენტია. ყველაზე ლამაზ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ბუნდესლიგაში და თანაც ისეთ გუნდში, როგორიც დორტმუნდის „ბორუსიაა" ასეთი დებიუტი მექნებოდა,"* - უბედნიერესი იყო იოიჩი.

*„შევიდა და ეგრევე გაიტანა - დაუჯერებელია! ამაზე უკეთესი და იღბლიანი დებიუტი არ არსებობს. მილოში ძალიან კარგი ფეხბურთელია და იმედია, ასე გააგრძელებს,"* - ეს კი თავად კლოპის სიტყვებია.

### XXI ტურის გმირი
### დომი კუმბელა (ბრაუნშვაიგი)



ბოლო დროს თითქმის აღარავინ საუბრობდა იმ კაცზე, ვინც „ბრაუნშვაიგი" 19 გოლით პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანა. 29 წლის ფორვარდ დომი კუმბელას ნოემბრის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში აღარ ეთამაშა, ბოლო გოლი კი მე-11 ტურში ჰქონდა გატანილი. გაუბედურებულ „ჰამბურგთან" მატჩმა კუმბელას, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო: სასტარტოში არც ამჯერად ყოფილა, მოედანზე მხოლოდ 46-ე წუთზე შეუშვეს და დომიმ ჰეთთრიკი შეასრულა! ვიკრის რანგში ერთ შეხვედრაში სამი გოლი ბუნდესლიგის ეგიდით ბოლოს მიროსლავ კლოზეს (2004 წელს, „ვერდერის" ფორმით) ჰქონდა გატანილი, სულ კი, ბუნდესლიგის ისტორიაში ეს ახლა უკვე 7 მოთამაშეს აქვს მოხერხებული.

### კლოპმა ჰიტცფელდის რეკორდი გაიმეორა

თავად დორტმუნდელთა თავკაცი კი ახლა უკვე ოფიციალურად გახდა „დორტმუნდის" ლეგენდარული მწვრთნელი - „აინტრახტთან" მოპოვებული გამარჯვებით 46 წლის კლოპმა **ოტმარ ჰიტცფელდის** რეკორდი გაიმეორა.

აქამდე „დორტმუნდის" ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი სწორედ ჰიტცფელდი გახლდათ, რომელიც დღეს 65 წლისაა და შვეიცარიის ნაკრებში მუშაობს. მისი ხელმძღვანელობით „ბორუსიას" 208 მატჩიდან 111 აქვს მოგებული. „აინტრახტთან" მოგების შემდეგ კი კლოპის დორტმუნდულ ერაშიც 111 გამარჯვებაა და თანაც, 191 მატჩში, რითაც იურგენი ოტმარს უკვე სჯობნის კიდეც.

მოგებული მატჩების რაოდენობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ტიტულები? გერმანიაში მოგებული ტიტულების მიხედვით კლოპი დორტმუნდში ჰიტცფელდზე წარმატებულია: ოტმარის დარად, ბუნდესლიგა „ბორუსიას" იურგენმაც ორჯერ მოაგებინა, სამაგიეროდ, კლოპის ხელში „დორტმუნდმა" გერმანიის თასიც მოიგო, რაც ჰიტცფელდმა ვერ შეძლო.

საერთაშორისო ასპარეზზე კი ჰიტცფელდის უპირატესობა უდიდესია: ოტმარის ხელმძღვანელობით „ბორუსიამ" 1997 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო, კლოპმა კი ჯერ მხოლოდ ფინალში გაყვანა მოახერხა. ასე რომ, თუ კლოპის ხელში „დორტმუნდი" ჩემპიონთა ლიგასაც მოიგებს, იურგენი უკვე ყველანაირად ჰიტცფელდზე წინ იქნება!

სიმბოლური ნაკრები




### შალკე აღმავლობის გზაზე

აღმავლობის გზაზეა „შალკეც" - ლევერკუზენში გამარჯვების (2:1) შემდეგ გელზენკირხენულ კლუბს მეორე წრის ოთხივე შეხვედრა მოგებული აქვს, რაც სეზონის მეორე ნახევარში „შალკეს" გარდა გერმანიაში მხოლოდ „ბაიერნმა" მოახერხა.

შესაბამისად, „შალკე" პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს უმიზნებს. მართალია, **იენს კელერის** გუნდი ჯერ კიდევ მეოთხე ადგილზეა, მაგრამ მეორეადგილოსან „ლევერკუზენს" უკვე მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება, მესამე „დორტმუნდს" კი - ორით. ამავდროულად, „შალკე" უახლოეს მდევარ „ვოლფსბურგს" ოთხი ქულით უსწრებს.

**გოტფრიდ ლენცი**

#### სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები
„კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშ. შეფ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 14 | 2.08 |
| 2. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 19 | 2.56 |
| 3. მარკო როისი | დორტმუნდი | 20 | 2.63 |
| 4. ტონი კროოსი | ბაიერნი | 19 | 2.63 |
| 5. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 15 | 2.65 |
| 6. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 21 | 2.67 |
| 7. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | გლადბახი | 21 | 2.67 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | დორტმუნდი | 19 | 2.68 |
| 9. იომერ თოფრაქი | ლევერკუზენი | 18 | 2.78 |
| 10. რონ-რობერტ ცილერი | ჰანოვერი | 21 | 2.83 |

#### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 21 | 14 | 9 | 23 |
| 2. ადრიან რამოსი | ჰერტა | 21 | 14 | 5 | 19 |
| 3. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 20 | 10 | 8 | 18 |
| 4. მარკო როისი | დორტმუნდი | 20 | 8 | 9 | 17 |
| 5. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 14 | 7 | 10 | 17 |
| 6. პიერ-ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 20 | 13 | 2 | 15 |
| 7. ჯეფერსონ ფარფანი | შალკე | 16 | 8 | 7 | 15 |
| 8. საბოლჩ ჰუსტი | ჰანოვერი | 18 | 6 | 9 | 15 |
| 9. მაქს კრუზე | გლადბახი | 21 | 8 | 7 | 15 |
| 10. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 19 | 12 | 3 | 15 |

ჰამბურგი

# სლომკა მხსნელი?

## მირკო მეორე ბუნდესლიგაზე არ ფიქრობს



ჰამბურგში მირკო სლომკა ნარადგინეს

გუშინ „ჰამბურგმა" გათავისუფლებული **ბერტ ვან მარვეიკის** შემცვლელი ოფიციალურად წარადგინა: კრიზისში მყოფი ჩრდილოგერმანული კლუბის მთავარ მწვრთნელად 46 წლის **მირკო სლომკა** დაინიშნა, რომელსაც პირველ რიგში ერთადერთი მისია დაეკისრა: მან „ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან უნდა იხსნას.

დღევანდელი გადასახედიდან ეს მისია შეუსრულებელი ჩანს, მაგრამ თავად სლომკა საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი: *„ჰამბურგს" აქვს ძლიერი მხარეები და ჩვენ სწორედ ამ რესურსის გამოყენება უნდა ვცადოთ. „ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას არ იმსახურებს და მე მჯერა, რომ „ჰამბურგზე" გაისადაც ვიტყვით, ერთადერთი გუნდია, რომელიც ელიტიდან არასდროს გავარდნილაო. მეორე ბუნდესლიგაზე საერთოდ არ ვფიქრობ, თუმცა ვიცი, რომ საშიშროება მართლაც სერიოზულია,"* - განაცხადა სლომკამ პრესკონფერენციაზე.

მირკო სლომკას დებიუტი ბუნდესლიგის მომდევნო ტურში შედგება: შაბათს „ჰამბურგი" დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობს. აქვე გეტყვით, რომ „ჰამბურგის" ლიდერი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** „ბრაუნშვაიგთან" დაშავდა და როგორც გაირკვა, მინიმუმ სამი კვირა დაისვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოლანდიელი გამთამაშებელი „დორტმუნდთან", „ვერდერთან" და „აინტრახტთან" მატჩებს გამოტოვებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ფულჰემი



ფელიქს მაგათი

# მაგათი მონსტრი არ არის

„ფულჰემში" **ფელიქს მაგათის** დანიშვნის შემდეგ ინგლისურმა და გერმანულმა პრესამ აჟიოტაჟი ატეხა და კიდევ ერთხელ გაიხსენა, თუ რამდენად მძიმე ვარჯიშები აქვს 60 წლის გერმანელს. გაზეთებს **ლუის ჰოლტბიმ** უპასუხა, ვისაც „შალკეში" „რკინის ფელიქსთან" უკვე უმუშავია: *„მაგათის ნამდვილად არ მეშინია. მთელი ეს კამპანია, ათასგვარი ხმები დიდწილად გადაჭარბებულია. გაზეთებში ჰერ ფელიქსს მონსტრად წარმოაჩენენ, რაც ნამდვილად არ შეეფერება სიმართლეს. დიახ, ის ზომაზე მკაცრია და ფეხბურთელებისგან ყოველ ვარჯიშზე ბოლომდე დახარჯვას ითხოვს, მაგრამ ეს თამაშის მისეული წესია. რაკი ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ გუნდს მაგათი სჭირდება, ესე იგი ის იზიარებს მწვრთნელის შეხედულებებს. მასთან მუშაობა და მიზნების მიღწევა ნამდვილად შეიძლება"*.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. | მატჩების წინ



„პარი სენ-ჟერმენის" ფეხბურთელები „ბაი არენაზე" ვარჯიშისას

# მარადიული კითხვა: როგორ გავაჩეროთ მესი

## ჩემპიონთა ლიგა გერმანიასა და ინგლისში განახლდება

**ერთხელ, როცა ანტონიო კონტეს ჰკითხეს, როგორ გავაჩეროთ ლეო მესიო, „იუვენტუსის" თავკაცმა ამაზე ნახევრად ხუმრობით უპასუხა, მხოლოდ იარაღითო. წუხელ ეს კითხვა „მანჩესტერ სიტის" თავკაცსაც დაუსვეს, მაგრამ პელეგრინის პასუხის გაგებამდე თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს...**

2-თვიანი პაუზა დასრულდა და მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული და ძლიერი საკლუბო ტურნირიც განახლდება - დღეს ჩემპიონთა ლიგის 22-ე გათამაშებაში (მას მერე, რაც ჩემპიონთა თასი ლიგად გადაკეთდა) გადამწყვეტი ფაზა, პლეი ოფები იწყება. მერვედფინალურ სტადიას ორი ქალაქი გახსნის: გერმანული ლევერკუზენი და ინგლისური მანჩესტერი. ამ ეტაპზე აღარ არსებობს უინტერესო დაპირისპირება, თუმცა, ცხადია, „ეტიჰადზე" გასამართი მატჩი უდიდეს ინტერესს იწვევს: „ნისლიან ალბიონს" ლიგის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი „ბარსელონა" სტუმრობს.

### სიტი-ბარსელონა: დებიუტანტი გრანდის წინააღმდეგ

ამ დაპირისპირებას 1/8 ფინალის ერთ-ერთ მთავარ ჯახად მიიჩნევენ და მართებულადაც. „მანჩესტერ სიტის" და „ბარსელონას", ორივეს სერიოზული ამბიცია ამოძრავებს წლევანდელ ლიგაზე. თუმცა ისტორია გვამცნობს, რომ ინგლისური კლუბი დებიუტანტია - ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში პირველად გავიდა! მაშინ, როცა „ბარსელონა" 4-ჯერ ფლობდა ევროპის საკლუბო ფეხბურთის უპირველეს ტროფეის.

ლიგის შეხვედრას ორივე გუნდი ამაღლებული განწყობით ხვდება, „სიტიმ" ასოციაციის თასიდან (სხვათა შორის, იქაც მერვედფინალური სტადია იყო) „ჩელსი" გააგდო - 2:0, ხოლო „ბარსელონამ" მადრიდულ „რაიო ვალეკანოს" კიდევ ერთხელ ჩაუტარა ფეხბურთის გაკვეთილი - 6:0.

„სიტიმ" ღირსეულად განვლო D ჯგუფი: 15 ქულა დააგროვა (მეტი, ვიდრე „ბარსამ") და მხოლოდ „ბაიერნს" ჩამორჩა, რომლის დამარცხებაც შეძლო. H ჯგუფში **ტატა მარტინოს** გუნდს 13 ქულა ეყო პირველი ადგილის მოსაპოვებლად და პლეი ოფში საპასუხო შეხვედრის შინ გამართვის დასაბევებლად.

„სიტი" განსაკუთრებით კარგად თამაშობს „ეტიჰადზე", სადაც ამ სეზონში 20 შეხვედრიდან მხოლოდ 2-ვერ მოიგო. დიდებულ ფორმაშია ივუარელი **იაია ტურე,** რომელიც „ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელია. *„ბარსელონაში" ჩემი როლი ლიმიტირებული იყო შუახაზში, არ შეიძლებოდა წამითაც დამეკარგა კონცენტრაცია. ინგლისის პირველობა უფრო ღიაა და მე შემიძლია, როგორც დაცვაში ჩასვლა, ისე წინ გაჭრა",* - განუცხადა უეფას ოფიციალურ საიტს ტურემ.

მიუხედავად ამისა, „ბარსა" მაინც ფავორიტია - კატალონიურმა გუნდმა ლიგის ბოლო 6 გათამაშებაში მინიმუმ ნახევარფინალს მაინც უწია.

**მანუელ პელეგრინის** ალბათ არ ეყოლება არგენტინელი **სერხიო აგუერო,** ხოლო ბრაზილიელი **ფერნანდინიოს** შანსი ითამაშოს, უფრო დიდია. ჩილელ სპეციალისტს არც **ჯეიმს მილნერი** ეყოლება, მან ჯგუფურ ეტაპზე 3 გაფრთხილება „შეაგროვა".

ტატა მარტინოს სერიოზული საფიქრალი ამ მხრივ არა აქვს, რადგან ტრავმირებული **ჯონათან დოს სანტოსი** ისედაც არ ითვლება ძირითადის ფეხბურთელად.

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი): *„ამ სეზონში მანჩესტერს ფაქტობრივად ერთი კლუბი ჰყავს. ასე რომ, ქალაქის პრესტიჟის დაცვა ჩვენ მოგვიწევს. როგორ უნდა გავაჩეროთ მესი? უნდა ვითამაშოთ ჩვენი თამაში. მესი ტოპფეხბურთელია, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ „ბარსელონა" მხოლოდ მესია".*

**ხერარდო მარტინო** (ბარსელონა): *„არანაირ პრიორიტეტებს არ ვსახავთ. უნდა შევძლოთ ბურთზე კონტროლის მოპოვება, რადგან ეს საქმე კარგად გამოგვდის. თუკი ამასობაში გოლის გატანასაც შევძლებთ, დიდებული იქნება. თუ აქცენტს შემტევებზე გადავიტანთ, მაშინ მეტი სირბილი მოგვიწევს, თუ ნახევარდაცვაზე, მაშინ ბურთი უმეტესად ჩვენი უნდა იყოს. აქ, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი, როგორ მოვიქცევით ხვალ. „მანჩესტერ სიტი" ძალიან მომწონს. ამ გუნდს შეუძლია მრავალნაირად შეუტიოს, ფლანგებიდან თუ ცენტრიდან, საჰაერო ორთაბრძოლებით გავიდეს ფონს, ან პასებით. „სიტი" კარგია საჯარიმოებისა და კუთხურების შესრულებისასაც, ამ გუნდს ბევრი გოლი გააქვს. რომ დავიცვათ თავი, ბურთი უნდა წავართვათ მეტოქეს. „სიტი" ძალიან ჰგავს „ბარსელონას", თუმცა არ ვიტყოდი, რომ მინი „ბარსელონაა". ნეიმარი მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ჩვენთვის, მაგრამ ხვალ გადავწყვეტ, ითამაშებს ის პირველი წუთებიდან, თუ მერე ჩაერთვება თამაშში. 6 წელია, ნახევარფინალში მაინც გავდივართ. ასე რომ, თუ გავვარდებით, ფანები ამას ვერაფრით გვაპატიებენ".*



ლიონელ მესის შეჩერება ურთულესია

**18.02. მანჩესტერი ეტიჰადი — 23:45**

**სიტი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაზე | |
|---|---|
| +5=0-1 | +4=1-1 |

არბიტრი: იონას ერიქსონი (შვედეთი)

**ბარსელონა**

სავარაუდო შემადგენლობები

სიტი: პარტი; კომპანი, დემიკელისი, საბალეტა, კლიში; ტურე, რ. გარსია, ხ. ნავასი, დ. სილვა, ნასრი; ნეგრედო

ბარსელონა: პედრო, ა. სანჩესი; მესი; ფაბრეგასი, ჩავი; ბუსკეტსი; ალბა, დ. ალვეში; პიკე, ბარტრა; ვალდესი

**დისკვალიფიკაცია:** ჯეიმს მილნერი - **ტრავმა:** ფერნანდინიო (?), სერხიო აგუერო (?) - ჯონათან დოს სანტოსი, კარლეს პუიოლი

**18.02. ლევერკუზენი ბაი არენა — 23:45**

**ლევერკუზენი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაზე | |
|---|---|
| +3=1-2 | +4=1-1 |

არბიტრი: ვიქტორ კაშაი (უნგრეთი)

**პსჟ**

სავარაუდო შემადგენლობები

ლევერკუზენი: ლენო; თოფრაქი, სპაჰიჩი, ბიონიში, ჰილბერტი; ბენდერი; ჰეგელერი, როლფესი; კასტრო, სემი; კისლინგი

პსჟ: იბრაჰიმოვიჩი; ლუკასი, პასტორე, ვერატი; მოტა, მატუიდი; მაქსველი, ვან დერ ვილი; ტ. სილვა, ალექსი; სირიგუ

**დისკვალიფიკაცია:** ემრე ჩანი - **ტრავმა:** შტეფან რაინარტცი (?), რობი კრუსი, ერენ დერდიოკი - ედინსონ კავანი, კრისტოფ ჟალე (?), ადრიენ რაბიო

### ლევერკუზენი-პსჟ: პსჟ კავანის გარეშეც ფავორიტია

„პარი სენ-ჟერმენმა" შარშან **კარლო ანჩელოტის** ხელმძღვანელობით მიაღწია ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს. პარიზული კლუბი ახლა იგივეს გამეორებას **ლორან ბლანთან** ერთად შეეცდება და შემდეგ ვინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ პსჟ-ს ტოპ-კლასის ფორვარდი **ედინსონ კავანი** აკლია ტრავმის გამო, ფრანგული კლუბი გერმანულთან წყვილის ფავორიტად მიიჩნევა.

ლორან ბლანის გუნდმა ღირსეულად განვლო ჯგუფური ეტაპი, C ჯგუფი ისე მოიგო, მხოლოდ ერთი მარცხი იგემა. თანაც, პსჟ-მ „ბენფიკასთან" მას მერე წააგო, რაც პლეი ოფის საგზური გაინაღდა.

პსჟ პირველ მერვედფინალურ მატჩს შესაშურ ფორმაში ხვდება - ზამთრის პაუზის შემდეგ 10-დან მხოლოდ ერთი მარცხი იწვნია. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ბრწყინვალე ფორმაშია. არ დაგვავიწყდეს, რომ შვედი 8 გოლით ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირებში მეორე ადგილზეა და მხოლოდ **კრიშტიანო რონალდოს** ჩამორჩება.

ბლანს მხოლოდ კავანის არყოფნა უნდა აღარდებდეს, ურუგვაელმა, რომელმაც პსჟ-ს მაისურით ჯამში 20 გოლი გაიტანა „ნაპოლიდან" გადასვლის მერე, გასულ თვეში „ბორდოსთან" მატჩში ბარძაყი დაიზიანა.

მცველი **კრისტოფ ჟალეც** ტრავმირებულია, თუმცა ის უკვე ახლოსაა გამოჯანმრთელებასთან. დიდი ალბათობით, ჟალე პსჟ-ს მაინც ვერ დაეხმარება.

**სამი ჰიიპიას** გუნდს პრობლემები უფრო მნიშვნელოვანი აქვს: დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს ნახევარმცველი **ემრე ჩანი. შტეფან რაინარტცის** თამაში საეჭვოა, ფორვარდები **ერენ დერდიოკი** (ფეხი) და **რობი კრუსი** (მუხლი) ნამდვილად ვერ ითამაშებენ.

ჰიიპიას გუნდმა პლეი ოფამდე A ჯგუფში მე-2 ადგილის დაკავებით („მანჩესტერ იუნაიტედის" შემდეგ) მიაღწია.

**სამი ჰიიპია** (ლევერკუზენი): *„ჩემი გუნდი 100%-ით დაიხარჯება, რათა ორრაუნდიან ბრძოლაში ძალიან მაღალი ხარისხის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „პარი სენ-ჟერმენს" მოუგოს. ზლატანი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს შორისაა, მაგრამ მათ სხვებიც ჰყავთ საშიშები".*

**ლორან ბლანი** (პსჟ): *„როგორც ყველა გერმანული კლუბი, „ლევერკუზენიც" ძალზე ათლეტურია. უნდა ვუფრთხილდეთ „ლევერკუზენის" ჯარიმებსა და კუთხურებს. ჩვენი მიზანი, ბურთის ხელში ჩაგდება და მატჩზე კონტროლის დაწესება იქნება. „ლევერკუზენის" მცველები ზლატან იბრაჰიმოვიჩს უფრთხიან, მაგრამ ჩვენ სხვებიც გვყავს. გუნდში ბრწყინვალე, საჩემპიონთალიგო განწყობაა. აქ, შესანიშნავ სტადიონზე, დიდებულ მოედანზე მოგვიწევს თამაში. შეიძლება, მეტოქემ ისედაც დაგვითმოს ბურთი, რადგან „ლევერკუზენი" კონტრშეტევებში მაგარია. ამიტომ, როცა ბურთს დავკარგავთ, უმალ უნდა დავიკავოთ დაცვაში ადგილები".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ამბები

### ლესკოტის ბოლო სიტყვა

„მანჩესტერ სიტის" 31 წლის ცენტრალურმა მცველმა **ჟოლეონ ლესკოტმა** დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს და მხოლოდ ამის მერე იფიქრებს მომავალზე: *„უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში „სიტიში" თამაში დიდი სიამოვნება იყო და გული მწყდება, რომ ეს ეტაპი სრულდება. თამაშის შანსი იშვიათად მეძლევა, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი საქმის კეთება ჯერ კიდევ შემიძლია".* **მანუელ პელეგრინის** ხელში ვეტერანი ინგლისელი ღრმა სათადარიგოდ იქცა. მიმდინარე სეზონში პრემიერლიგაში მან მხოლოდ 6-ჯერ ითამაშა ძირითადში.

### იუნაიტედს დიეგო ეწვია

„არსენალთან" „ემირეიტსზე" უგოლოდ დასრულებული შეხვედრის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი" რამდენიმე დღით დუბაიში გაემგზავრა შეკრებაზე, საიდანაც უკან დაბრუნებას მხოლოდ ხუთშაბათს გეგმავს. დუბაიში „იუნაიტედს" ბაზაზე საპატიო სტუმარი **დიეგო მარადონა** ეწვია. ცხადია, ფეხბურთელებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ლეგენდარულ არგენტინელთან ფოტოები გადაიღეს.

### გრანდები ფრანგისთვის იბრძოლებენ

„მანჩესტერ სიტისა" და საფრანგეთის ნაკრების 28 წლის მარცხენა მცველი **გაელ კლიში** ლიგა 1-ის წამყვანი კლუბების „პარი სენ-ჟერმენისა" და „მონაკოს" სამიზნეში მოექცა. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელი უკმაყოფილოა, რომ **ალექსანდარ კოლაროვის** ჩრდილში უწევს ყოფნა და არ გამორიცხავს, რომ ზაფხულზე ახალი სამსახური მოძებნოს.

### კარდიფმა ლიდერი დაკარგა

პრემიერლიგის აუტსაიდერ „კარდიფს" ნახევარდაცვის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **გარი მედელი** რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. 26 წლის ჩილელმა საყრდენმა ასოციაციის თასზე „უიგანთან" (1:2) პირველი ტაიმის მიწურულს კუნთი გაიწყვიტა. *„მსგავსი დაზიანება ნიშნავს, რომ ხანგრძლივი პაუზა დამჭირდება. იმედია, დროულად დავუბრუნდები მინდორს,"* – დაწერა ფეხბურთელმა სოციალურ ქსელში.

### ბალდინის წყალი შეუდგა

ბრიტანული წყაროების მტკიცებით, შესაძლოა, „ტოტენჰემმა" ტექნიკური დირექტორი **ფრანკო ბალდინი** კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან. მიზეზი 53 წლის იტალიელის მიერ წარმოებული სუსტი საკადრო პოლიტიკაა, რაც ჩრდილოლონდონურ კლუბს ბოლო წლებში ძალიან ძვირი დაუჯდა. გამორიცხული არ არის, აპენინელს სეზონის დასრულებაც კი არ აცალონ.

### ლივერპულელების საერთო სამიზნე

ზაფხულზე „ლივერპული" და „ევერტონი" „ლევანტეს" 27 წლის კოსტარიკელი გოლკიპერის **კეილორ ნავასის** შეძენას შეეცდებიან. მერსისაიდელებს ფეხბურთელი სათადარიგო სკამისთვის სჭირდებათ, რადგან მიუხედავად კვალიფიკაციისა, ნავასს **სიმონ მინიოლესა** და **ტიმ ჰოვარდთან** კონკურენცია გაუჭირდება. პრიმერა დივიზიონის წარმომადგენელი კოსტა რიკის ნაკრების ძირითად მეკარეს 10 მილიონ ევროდ აფასებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ნეიმარი

# მესის ფინალში შევხვდები, რომელსაც ჩვენ მოვიგებთ

## ნეიმარის ახდენილი და ასახდენი ოცნებები



მუნდიალი 2014-ის მთავარი ფავორიტები, ბევრის აზრით, მასპინძლები არიან. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სელესაოს ნორჩი ტალანტი, 22 წლის ნეიმარია, ანუ ნეიმარ და სილვა სანტოს ჟუნიორი, რომლისაც ტორსიდას განსაკუთრებით ეიმედება. ამბიციები არც თავად „სანტოსის" ყოფილ და „ბარსელონას" ამჟამინდელ ვარსკვლავს აკლია...

**- უკვე 6 თვეზე მეტია, „ბარსელონაში" ხართ, ესპანური გუნდის ნეიმარი „სანტოსის" ნეიმარისგან ბევრად განსხვავდება? შეიცვალეთ როგორც ფეხბურთელი?**

- არა, იგივე ვარ... თუმცა, ცხადია, უფრო გამოცდილი, რადგან ახალ გარემოში, ქალაქში, ქვეყანაში მოვხვდი. ბევრი რამ ვისწავლე, ახალ კულტურას გავეცანი და ეს ძალიან კარგია.

**- ესპანურად უკვე ლაპარაკობთ?**

- ცოტათი. ძალიან ჰგავს პორტუგალიურს, მაგრამ ოდნავ უფრო რთულია.

**- ხომ არ გაგიკვირდათ, რომ ახალ კლუბს ასე მალე და ასე კარგად შეეწყვეთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ გამიკვირდა. მადლობა ღმერთს, გამიმართლა და აქ ადამიანთა ბრწყინვალე ჯგუფი დამხვდა. აბსოლუტურად ყველამ ძალიან თბილად მიმიღო. უშუალოდ ფეხბურთელებმა კი ფაქტობრივად ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ კვლავ გამარჯვებაზე დაგეშილნი არიან და ყველაფერი ასე კარგად ამიტომ მიდის.

**- ბრაზილია ყველაზე მეტად რის გამო გენატრებათ?**

- ყოველთვის მენატრება ჩემი სახლი, ოჯახი და მეგობრები. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალიან ბედნიერი ვარ, ამ ცვლილებით და სიახლეების შეცნობით. ბავშვობის ოცნება ამიხდა, ევროპულ კლუბში თამაშზე ვოცნებობდი და ის, რომ ეს გუნდი „ბარსელონაა", მეამაყება. ქალაქშიც აბსოლუტურად ყველაფერი მომწონს: კლიმატი, ხალხი... აქაურობა ძალიან ჰგავს ბრაზილიას და ეს მეხმარება. აქ პლაჟიც კი არის!

**- ქომაგები თუ ჰგავნან „სანტოსის" გულშემატკივრებს? და ქუჩაში თუ შეგიძლიათ ისე სიარული რომ პრობლემა არ შეგექმნათ?**

- აქაურებიც დიდი ვნებით გულშემატკივრობენ და ფანატები არიან, ისევე როგორც „სანტოსში". დიახ, ქუჩაში თავისუფლად დავდივარ, პრობლემების გარეშე. ზოგიერთი ადამიანი მცნობს, მაგრამ ეს ნორმალურია.

**- კონფედერაციის თასის ბრაზილია-ესპანეთის ფინალამდე „ბარსელონაში" თქვენი გადასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო. ასე რომ, მომავალი თანაგუნდელების წინააღმდეგ გიწევდათ თამაში და შეგრძნება ხომ არ გქონდათ, რომ ერთგვარ გამოცდაზე იყავით?**

- მომავალი თანაკლუბელების წინააღმდეგ თამაში მართლაც ცოტა უცნაური შეგრძნება იყო. ახლა ზოგჯერ ვიხსენებთ ხოლმე ამ მატჩს. კონფედერაციის თასის მოგება ძალიან სასიხარულო გახლდათ.

**- შეგიძლიათ გვითხრათ, რას ამბობთ ხოლმე კლუბში, როდესაც იმ მატჩს იხსენებთ?**

- ვხუმრობთ ხოლმე, მაგრამ ეს ხუმრობები ჩვენ შორის რჩება.

**- როგორ ფიქრობთ, ესპანეთი შურისძიებისთვის ემზადება? ბრაზილია და ესპანეთი უკვე მერვედფინალშიც კი შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს.**

- არა, არ ვფიქრობ, რომ ესპანელები შურისძიებისთვის ემზადებიან. უბრალოდ, მუნდიალზე ყველა გამარჯვებისთვის ემზადება, მეტოქის მიუხედავად. ვფიქრობ, ძალიან დაძაბული და საინტერესო მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება, თუმცა მჯერა, ჩვენ ბრწყინვალე შანსი გვაქვს მისი მოგების. სწორედ ამაზე ვმუშაობთ და იმედია, ამ ოცნებას ავიხდენთ.

**- ისევ კონფედერაციის თასს თუ დავუბრუნდებით, „მარაკანაზე" საოცარი გარემო იყო. როდესაც ყველა ერთხმად მღეროდა ჰიმნს, რას გრძნობდით?**

- ეს ფანტასტიკური მომენტი იყო. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას კიდევ არაერთი ასეთი მომენტი იქნება და კიდევ უფრო ემოციური, ვიდრე კონფედერაციის თასის დროს.

**- როგორ შეიცვალა სელესაო ლუიშ ფელიპე სკოლარის მოსვლის შემდეგ?**

- არც ვიცი, რამე შეიცვალა თუ არა რადიკალურად. ვფიქრობ, ნაკრებს აქვს თავისი სტილი და ხასიათი. ჩვენ დრო გვჭირდება, რომ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, რადგან შემდეგ გუნდურად მივაღწიოთ წარმატებას. კონფედერაციის თასზე ეს ძალიან კარგად გამოგვივიდა. მაშინ მართლაც ერთ მუშტად ვიყავით შეკრულნი, მინდორზეც და მის მიღმაც. ეს ძალიან დაგვეხმარა ტიტულის მოგებაში. უფრო მოტივირებულები და შემართულები ვიყავით.

**- რა არის თქვენი აზრით სკოლარის, როგორც მწვრთნელის, ყველაზე ძლიერი მხარე?**

- ის ნორმალური, მოკრძალებული ადამიანია, ერთ-ერთი ჩვენგანი. მას შეუძლია ხუმრობაც და შეუძლია იყოს მკაცრიც, როდესაც ეს საჭიროა. იგი კარგი ადამიანია, რომელიც ბევრს მუშაობს და მუდამ მოგება უნდა. სწორედ ამ თვისებების გამო მიაღწია წარმატებებს.

**- იაზრებთ, რომ უკვე სულ რაღაც 3 თვეში, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადოთ?**

- ერთი შეხედვით იქამდე დიდი დროა, მაგრამ მეორე მხრივ, მსოფლიოს ჩემპიონატი კარს მოგვადგა. ის ფაქტი, რომ მუნდიალი ბრაზილიაში იმართება, ორმაგად სასიხარულოა და მეამაყება. ცოტა ვნერვიულობ კიდეც, მაგრამ იმედი მაქვს, იქამდე დავმშვიდდები.

**- რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე სამშობლოში თამაში?**

- ეს უნიკალური შესაძლებლობაა. ძალიან კმაყოფილები ვართ და გვიხარია, რომ სხვა ერების წარმომადგენლები ჩამოვლენ და ჩვენ ქვეყანასა და კულტურას გაიცნობენ. ვიცი, რომ ბრაზილია ყველას სიამოვნებით მიიღებს.

**- ფინალური ეტაპის წილისწყრას უყურეთ?**

- დიახ, ბარსელონაში. საკმაოდ რთული ჯგუფი შეგვხვდა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ პირველ ეტაპს უპრობლემოდ დავძლევთ. ვინ მიმაჩნია ჩვენს მთავარ მეტოქედ? სიმართლე ითქვას, დღესდღეობით გუნდებს შორის დიდი სხვაობა აღარ არის და ნებისმიერ მეტოქესთან მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ. ყველა მეტოქე ძლიერია და სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად, კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ.

**- თქვენ ლიონელ მესიზე ყოველთვის აღფრთოვანებით საუბრობდით. რას იტყვით ახლა, როდესაც იგი შესაძლოა თქვენი მთავარი კონკურენტი იყოს?**

- (იცინის) მასთან ბრაზილიისა და არგენტინის შესაძლო ფინალზეც მილაპარაკია, რომელსაც, რასაკვირველია, ბრაზილია მოიგებს. მე ყოველთვის მისი დიდი ფანი ვიყავი და ახლა მით უმეტეს, როდესაც გავიცანი. გამიმართლა, რომ ყოველ დღე მესისთან ერთად ვმუშაობ და მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ.

**- ახლა, როდესაც თანაგუნდელები ხართ და იგი უკეთ გაიცანით, რას იტყვით, გაგაოცათ?**

- მან მართლაც ძალიან გამაოცა, როგორც ფეხბურთელმა. როდესაც მესის თამაშს ტელევიზიით ვუყურებდი, ვერც კი ვიაზრებდი და წარმოვიდგენდი თუ როგორი ძლიერია იგი.

**- ბრაზილიის ნაკრების ფანებს თქვენი ძალიან ეიმედებათ, რას ეტყვით მათ?**

- შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ 23 მეომარი გამარჯვებისთვის იბრძოლებს, რადგან საერთო მიზანს მიაღწიოს. გამარჯვება მხოლოდ ფეხბურთელებს კი არ გვინდა, მთლიანად ბრაზილიას უნდა. იმედია, გულშემატკივრები ბოლომდე გაგვამხნევებენ და ჩვენ ნამდვილად 100%-ით დავიხარჯებით.

**- დაბოლოს, გვინდა, რომ ეს წინადადება დაასრულოთ: 2014 წელს ნეიმარი იქნება...**

- (ცოტა ხანი ფიქრობს, შემდეგ იცინის) მსოფლიოს ჩემპიონი!

მოამზადა **გიორგი კაკაბაძემ**

სკანდალი

# ჟირუს ბოდიში არ უშველის

ინგლისურმა პრესამ თებერვლის დასაწყისში „არსენალის" 27 წლის ფრანგი თავდამსხმელი **ოლივიე ჟირუ** მეუღლის ღალატში ამხილა. „სანის" მტკიცებით, ფეხბურთელმა „კრისტალ პალასთან" მატჩის წინა ღამე მოდელ **სილია კეისთან** გაატარა, რისთვისაც მან „ტვიტერზე" საჯაროდ მოიბოდიშა. „ბოდიშს ვიხდი ყველასთან, მეუღლესთან, მეგობრებთან, მწვრთნელთან, თანაგუნდელებთან და გულშემატკივრებთან. აუცილებლად ვიბრძოლებ, რათა მათგან პატიება მივიღო," - აცხადებს ჟირუ. სკანდალს **არსენ ვენგერიც** გამოეხმაურა და თქვა: „ვადასტურებ, რომ ოლივიეს სანქცია აუცილებლად დაეკისრება, თუმცა ჩემგან ტყუილად ელოდებით ვრცელ კომენტარს. ეს ფეხბურთელის პირადი ცხოვრებაა". ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კლუბი მოთამაშეს არაპროფესიული საქციელისთვის 280 ათასი ევროთი უპირებდა ჯიბის შეთხელებას, თუმცა ჯერჯერობით ამას არავინ ადასტურებს.

**ლევან ბიბილაშვილი**






ეროვნული ბიბლიოთეკა

● სოჭი 2014

თენგიზ გაჩეჩილაძე სოჭიდან




# ოლიმპიური დეკადის გადასახედიდან

ოლიმპიური დეკადა სრულად ჩამთავრდა და გარკვეულწილად შეგვიძლია შევაჯამოთ კიდეც ჩავლილი 10 დღე, მაგრამ არა სპორტული თვალსაზრისით. ჯერ ერთი ეს იმიტომ, რომ ჩვენი სპორტსმენები მხოლოდ ოლიმპიადის მე-12 დღიდან ერთვებიან შეჯიბრებებში და მეორეც იმიტომ, რომ „ლელო" ოლიმპიადას ფართო კუთხით აშუქებს და მკითხველს თავად ეძლევა ანალიზის და დასკვნების გამოტანის დიდი შესაძლებლობა. რაკი თამაშების ეპიცენტრში ვიმყოფებით, საჭიროდ მხოლოდ ის მიგვაჩნია, უფრო ყურადღება გავამახვილოთ თამაშებისადმი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებაზე, რასაც აქ მეტ-ნაკლებად „ლელოს" „ცხელი ხაზის" მეშვეობითაც ვგრძნობთ.

პირდაპირ ვიტყვით, რომ საზოგადოების გამოძახილი არაერთგვაროვანია, ასეც იყო მოსალოდნელი. ამაში უცნაური არაფერია. ოლიმპიური კომფორტის ხარვეზებზე წერას ნაკლებად გვიწონებენ. მაგალითად, გვირეკავენ და გვეუბნებიან: „მერე რა მოხდა, ყველაფერი ხდება"; „რას ქექავთ ნაკლოვანებებს, აბა, როგორ გინდათ ასეთი გრანდიოზული ღონისძიება უნაკლოდ ჩატარდეს?"; „რა გეცეკვებ-გეციგავებ-გეგუნდავებათ, უბედურებო!"; „რას ჩაჰკირკიტებთ ტუალეტებს, საქმე გამოგელიათ? (სხვათა შორის, პირადად ჩემს პუბლიკაციებში სიტყვა „ტუალეტი" ერთხელაც არ მიხსენებია, ვილაც სადმე რალაცას ამოიკითხავს და ჩვენზე ამისამართებს); „სირცხვილი თქვენ, რატომ არ გამოხვედით ალლუმზე ჩოხებით, ოლიმპიადის დახურვისას მაინც გამოასწორეთ შეცდომა და კარგად გაიჭიმეთ პუტინის წინ". არის ასეთიც: „შეახსენეთ სპორტსმენებს, რომ ძველ კოლხურ მიწაზე არიან და აუცილებლად მოიგებენ მედლებს" და ასეთიც — „ყოჩაღ, სეოკ-ის ხელმძღვანელებო, რომ უარი არ თქვით ოლიმპიადაში მონაწილეობაზე" და ა. შ.

მოსაწონი არაფერიაო, ჩვენ არ დაგვიწერია და არც დავწერთ. აქვე გეტყვით, ამ ოლიმპიური თამაშების ნაკლოვანებებზე მთელი მსოფლიო და თვით რუსეთის მასმედიაც ამახვილებს ყურადღებას, ტელეარხებიც აჩვენებენ. აი, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, რუსეთის რპი აჩვენებს, ლიფტის კარს მიწოლით როგორ აღებენ სტუმრები...



ორგანიზაციული თვალსაზრისით, რაც ჩვენ ვნახეთ, შეჯიბრებები მეტწილად მაღალ დონეზე, მართალია, ხელოვნური ელფერით, მაგრამ მაინც საზეიმოდ ტარდება. უნაკლოდ და გამართულად მუშაობს ტრანსპორტი, არანაირი წუნი არ დაედება კვებას (სხვა საქმეა, რომ სასტუმროში უფასო საუზმის შემდეგ იმავე სასადილოში უკვე სადილ-ვახშამზე ყველაფერი უსაშველოდ ძვირია. მაგალითისთვის: 250-გრამიანი „კოკა-კოლა" ღირს 100 რუბლი, მინიმუმ 5 ლარი; 0.5-ლიტრიანი - 10 ლარი). რაც შეეხება მომსახურე პერსონალთან, „ვოლონტიორებთან" და წესრიგის დამცველებთან ურთიერთობას, ბარე ორი, სამი და მეტი ოლიმპიადა დაჭირდება საერთო დონის ამაღლებას, ვერც ღიმილს გამოწერ რეცეპტით. თუმცა ბევრი შეგვხვედრია გულლიაც, ბუნებრივად ღიმილიანიც, სტუმრის მოყვარეც და ყურადღებიანიც.

გვესმის, რომ რამდენი მკითხველიცაა, იმდენი გემოვნებაა. ყველას საამებლად და მოსაწონად ვერ დაწერ, მაშინ აღარ იქნები ობიექტური და ეს აღარც ჟურნალისტიკა იქნება. განსაჯეთ, მაგრამ თავს ნურავინ მოგვახვევს აზრს, ისე ვწეროთ, როგორც მავანის გულს მოეფინება, ეს შეუძლებელია.

და კიდევ თხოვნაა, ჩვენი ძალზე არაორდინალური სამუშაო პირობებიც გაითვალისწინეთ. ჩვენ აქ კურორტზე ნამდვილად არ ვართ...

## ოლიმპიური პარკი გამოცოცხლდა

შედარებაც არ შეიძლება ოლიმპიადის პირველი დღეების შთაბეჭდილებებთან და იმასთან, რაც გუშინ ოლიმპიურ პარკში ვიხილეთ. ეს ადგილი ოლიმპიადების ეპიცენტრია ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ტარდება თამაშები. სოჭის ოლიმპიადის პარკი ახლა ისე გამოიყურება, როგორც შეეფერება ტრადიციას. თუმცა ყველა ცდილობს, რაღაც ახალი შემატოს უკვე აპრობირებულ-დამკვიდრებულს და უფრო გაამრავალფეროვნოს იგი, რისთვისაც არც რუსებს დაუკლიათ ხელი.

ამ თამაშების მასპინძლები ოლიმპიადის შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებენ რუსეთის, როგორც დიადი ქვეყნის მსოფლიოს თვალში კიდევ უფრო განსადიდებლად. ეს ყველგან იგრძნობა - სლოგანებში, სპორტულ ბაზებზე წარწერილ შეგონებებში, საცნობარო ლიტერატურაში თუ მეგაფონით ხელში მოფარფატე გოგონების პატრიოტულ-პათეტიკურ მოწოდებებში.

გრანდიოზული საგამოფენო დარბაზი დაუთმიათ რუსეთის სპორტის ზამთრის სახეობების ისტორიისთვის, სადაც ექსპონატებს შორის შეხვდებით, ყველაფერს პეტრე პირველის დროინდელი კუსტარული ციგურებიდან მოყოლებული, უახლესი სპორტული ინვენტარის ჩათვლით.

პარკში, გვიან მაინც გამოჩნდნენ მსოფლიო ბრენდების წამყვანი ფირმები, კონცერტებს მართავენ ფოლკლორული კოლექტივები, ხალხს ართობენ აკრობატები და ოლიმპიადის მოსიარულე თილისმები...



## იძულებითი დაბოლოება

ზემო ინფორმაციის ბოლო სტრიქონთან სამი წერტილი იმიტომ დავსვი, რომ ზარი შემოვიდა „ლელოს" ცხელ ხაზზე" და მონიტორზე მასალის აკრეფა შევწყვიტე. თემაც აღარ გავაგრძელე, რადგან იმ ზარმა უკვე მთლიანად ახალ ფიქრებზე გადამრთო. მავანმა ხომ არ იცოდა, რა მასალას ვწერდი და გაგულისებულმა მითხრა, - მანდედან რომ მაგარი ხარ სხვის კრიტიკაში, რატომ აქ ვერ ხედავთ თავზე საყრელ ნაკლოვანებებსო და... ტელეფონი გათიშა.

მინდა მოკრძალებით ვუთხრა ამ ბატონს, ვინც მიცნობს, დაგიდასტურებთ, როგორი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი ვარ პირადად და ეს არ არის გუშინდელი ამბავი - 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული. თუ ნაკლოვანებებში სპორტს გულისხმობთ, მაშინ უნდა იცოდეთ ისიც, რომ „ლელო" მთელი თავისი არსებობის 80-წლიან ისტორიაში ყოველთვის დაუნდობლად ამხელს და ასაჯაროებს, რისი დაფარვაც საქმეს ავნებს. თუ ჩემდამი თქვენს შენიშვნაში არა სპორტის, არამედ ცხოვრების სხვა სფეროებს გულისხმობდით, მაშინ, მაპატიეთ და, მისამართი შეგეშალათ...

**შეკითხვა „ლელოს" ცხელ ხაზზე**

**შეკითხვა:** მაინტერესებს ჟურნალისტები წახვიდოდით თუ არა ოლიმპიადაზე სოჭში, საქართველოს სპორტულ დელეგაციას, ბოიკოტი რომ გამოეცხადებინა ამ თამაშებისთვის?

**თემურ შენგელია,** თბილისი (ვაზისუბანი)

**პასუხი:** ბატონო თემურ, ბოიკოტი საბოლოო ჯამში სპორტსმენების შეჯიბრებებში არგამოსვლას უკავშირდება. სპორტსმენების ნებას კი გამოხატავს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ჩვენმა სეოკ-მა სპორტსმენების სასარგებლოდ მიიღო ამჟამად სოჭში მიმდინარე ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, ეს სხვა თემაა. ჩვენ ყოველგვარი ზეწოლისგან თავისუფლები ვართ და ვისაც აკრედიტაცია აქვს მიღებული, თამაშებზე წასვლა-არწასვლის საკითხი პირადად მისი და რედაქციის გადასაწყვეტია და სხვა არავისი. ასე რომ, ვერანაირი ბოიკოტი ჩვენზე ვერ იმოქმედებდა. ოლიმპიადებზე აკრედიტაცია ეძლევათ ისეთი ქვეყნების ჟურნალისტებსაც კი, რომელთა წარმომადგენლები საერთოდ არ მონაწილეობენ თამაშებში.

პირადად მე, ჩემთვის ამ მე-12 ოლიმპიადაზე აუცილებლად წავიდოდი, თუნდაც იმიტომ, რომ არასასურველი დამოკიდებულებაა ჩვენსა და თამაშების მასპინძელ ქვეყანას შორის, თამაშები კი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან სულ რაღაც სამ კილომეტრში ტარდება. და კიდევ, გაგონილს ყოველთვის ნანახი სჯობს...

*სოჭის ოლიმპიადაზე „ლელოს" ცხელი ხაზის ტელეფონია: +7938 43 99 565.*

● ჭადრაკი


ბაადურ ჯობავა

## ჯობავა დაწინაურდა

მინსკში მოჭადრაკეთა დავით ბრონშტეინის მემორიალზე რეიტინგფავორიტია **ბაადურ ჯობავა** (2706), რომელიც უძლიერეს მეტოქეებთან პაექრობისას მეორე ტურიდან მეწინავეებს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა, გუშინ კი თავად გადაინაცვლა გათამაშების ცხრილის სათავეში: მე-7 ტურში ქართველმა დიდოსტატმა, რომელსაც 5 ქულა ჰქონდა, რუსი დანიილ დუბოვი დაამარცხა. ჩვენებური ახლა 10 მოჭადრაკეს ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებს.

7 ტურის შემდეგ ჯობავას 6 ქულა აქვს, ხოლო ტივიაკოვმა, დუბოვმა, შიმანოვმა და ოლექსიენკომ 5.5-5.5 ქულას მოუყარეს თავი. მე-8 ტურში ინტერესს იწვევს შემდეგი პაექრობები: ტივიაკოვი-ჯობავა, დუბოვი-შიმანოვი, აკოპიანი-ოლექსიენკო. მემორიალი ხვალ დასრულდება.

ვაჟა დანელია

## ქალები დღეს იწყებენ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 მანდილოსანი წრიული სისტემით შეხვდება ერთმანეთს. ესენი არიან (წილისყრით): **ნინო ხომერიკი** (2047), **სოფიო გვეტაძე** (2334), **სოფიო გურამიშვილი** (2400), **სოფიო ნიკოლაძე** (2201), **ანა კუჭავა** (2149), **ინგა ხურცილავა** (2232), **ლელა ჯავახიშვილი** (2430), **ბელა ხოტენაშვილი** (2527), **ნანი უნაფქოშვილი** (2061), **ნინო ხურციძე** (2456), **ნინო ბაციაშვილი** (2428) და **მერი არაბიძე** (2374). ჩემპიონატში არ ასპარეზობენ **ნანა ძაგნიძე** და **სალომე მელია**, რომელთა ნაცვლად შეჯიბრებაში გურამიშვილი და ხომერიკი დაუშვეს. თითოეულ მოჭადრაკეს ეძლევა 90 წუთი 40 სვლისთვის და შემდეგ 30 წუთი პარტიის ბოლომდე ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ჩემპიონი ქალთა ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატი გახდება, ხოლო პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი 2014 წლის ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდებიან.

ასპარეზობის საპრიზო ფონდია 17.500 ლარი, საიდანაც გამარჯვებული 5.500 ლარით დაჯილდოვდება, მეორე-მეხუთე ადგილოსნები, შესაბამისად, 4.500-3.500-2.500 და 1.500 ლარს მიიღებენ.

**დღეს პირველ ტურში ითამაშებენ:** ხომერიკი-არაბიძე, გვეტაძე-ბაციაშვილი, გურამიშვილი-ხურციძე, ნიკოლაძე-უნაფქოშვილი, კუჭავა-ხოტენაშვილი, ხურცილავა-ჯავახიშვილი.

ვაჟა დანელია

## შანსი დაკარგეს

რეშტაში (ირანი) ხაზარის მე-12 საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში მე-8 ტურის წინ ქართველ საერთაშორისო ოსტატებს - **ივერი ჭილაძესა და ბაჩანა მორჩიაშვილს** 5-5 ქულით საპრიზო სამეულში მოხვედრის რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ გუშინ ორივე ჩვენებურმა ეს შესაძლებლობა გაანიავა - ჭილაძემ თეთრი ფიგურებით მორტეზა აშგარისთან წააგო, ხოლო მორჩიაშვილი შავებით მეჰდი ჰუსეინიპურს (ორივე-ირანი) დანებდა.

ლიდერობა განიმტკიცეს სიპკე ერნსტმა (ჰოლანდია) და აზერ მირზოევმა (აზებაიჯანი), რომლებმაც შავი ფიგურებით მასპინძლებს - მოჰსენ შარბაფისა და მასუდ მოსადეხპურს სძლიეს. ორივეს ბოლო ტურის წინ 7-7 ქულა აქვს. შვიდმა მოჭადრაკემ 6-6 ქულას მოუყარა თავი.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნობა



# ნახტომი კავკასიიდან

საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლატვიის 100-მდე ათლეტი მონაწილეობდა „კავკასიის თასის" ლია გათამაშებაში, რომელსაც თბილისის მძლეოსნობის სასახლემ უმასპინძლა. დამოუკიდებელი საქართველოს „სპორტის დედოფლის" ისტორიაში მსგავსი შეჯიბრება პირველად გაიმართა. ეს ასპარეზობა ერთგვარი რეპეტიცია იყო ევროპის მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატისთვის (III ლიგა), რომელიც ჩვენს დედაქალაქში წლეულს 21-22 ივნისს ჩატარდება.

განახლებულ სასახლეში მედლების 16 კომპლექტი გათამაშდა, საიდანაც საქართველოს სპორტსმენებმა 10 ოქროს, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

— ჩვენი ფედერაციისა და პირადად მისი პრეზიდენტის ალექსი ახვლედიანის ინიციატივით კარგ შეჯიბრებას ჩაეყარა საფუძველი, — გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვასილ ბერიშვილმა**. — მსგავს შეჯიბრებას ზაფხულშიც გავმართავთ ევროპის ჩემპიონატამდე. მაშინ საასპარეზოდ მეტი ქვეყნის წარმომადგენლები გვეწვევიან. უკვე გვაქვს თანხმობა უკრაინის, ბელარუსისა და მოლდოვის ფედერაციებისგან, რომ არაფერი ვთქვათ კავკასიის თასის გათამაშებაში ამჟამად მონაწილე გუნდებზე. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება, მომზადებული შევხვდეთ ევროპის პირველობას და იქ ისეთი შედეგები ვაჩვენოთ, რომ მესამე ლიგიდან უმაღლეს ეშელონში გადავინაცვლოთ. ამ დღეებში 14 მძლეოსნისგან შემდგარი ჩვენი გუნდი თურქეთში გაემგზავრება და ბალკანეთის ქვეყნების ლია ჩემპიონატში იასპარეზებს. იმედია, ჩვენი გოგო-ბიჭები იქიდანაც ხელდამშვენებული დაბრუნდებიან.

**სოლტან ბაბაევი**, აზერბაიჯანის დამსახურებული მწვრთნელი: ჩემი ჭაბუკობისას, მახსოვს, რეგულარულად ტარდებოდა მძლეოსნობაში ამიერკავკასიის ჩემპიონატები, რომლებშიც საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდოვის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. იგი ხელს უწყობდა როგორც სპორტსმენთა ოსტატობის დახვეწას, ისე მათ შორის მეგობრობის განმტკიცებას. ამიტომ მივესალმები საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის, კერძოდ, მისი თავკაცის ინიციატივას ამიერკავკასიის თასის გათამაშების შესახებ. იმედია, რომ შეჯიბრებას გაგრძელება ექნება...

ახლა კი ამიერკავკასიის თასის პირველი გათამაშების ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობთ, მანამდე კი შევნიშნავთ, რომ საერთო ჩათვლაში მოგროვებული ქულებით ქალებში **მაიკო გოგოლაძემ** (1030 ქულა), ვაჟებში კი **ლაშა თორლვაიძემ** (1082) გაიმარჯვა. ორივე სპორტსმენი ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია**

### კვარცხლბეკი

**ქალები. 60 მ.** 1. ვალერია ბალიანინა (აზერბაიჯანი, 7,83), 2. აშკენ ჰოვანესიანი (სომხეთი, 7,93), 3. ელენა პეხტირევა (აზერბაიჯანი, 7,94). **400 მ.** 1. მარიამ მარტინენკო (საქართველო, 1.00,06), 2. გაიანე ჩილოიანი (1.01,18), 3. ლილიტ არუთუნიანი (ორივე-სომხეთი, 1.02,96). **800 მ.** 1. შაფა მამმადოვა (აზერბაიჯანი, 2.16,10), 2. თინათინ პაპუაშვილი (საქართველო, 2.17,12), ანა კარშანიანი (სომხეთი, 2.21,67). **60 მ/თ.** 1. ეკატერინა სოკოლოვა (აზერბაიჯანი, 8,95), 2. მაიკო გოგოლაძე (8.98), 3. ნინო კობაიძე (ორივე-საქართველო, 10,27). **სიგრძე.** 1. მაიკო გოგოლაძე (საქართველო, 6,20), 2. სატენიკ ჰოვანესიანი (სომხეთი, 6,00), 3. ეკატერინა არიევა (აზერბაიჯანი, 5,36). **სიმაღლე.** 1. ეკატერინა ბირიუკოვა (აზერბაიჯანი, 163), 2. ვიქტორია შიშლოვა (160), 3. მარიამ მნითური (ორივე-საქართველო, 155). **სამხტომი.** 1. სატენიკ ჰოვანესიანი (სომხეთი, 12,64), 2. თათია პაიკიძე (საქართველო, 12,24).

**კაცები. 60 მ.** 1. ირაკლი აშორტია (საქართველო, 6,99), 2. ვალენტინ ბულიცევი (აზერბაიჯანი, 7,12), 3. დენის ჟვანია (საქართველო, 7,18). **400 მ.** 1. ნიკა კარტავცევი (საქართველო, 49,74), 2. იბრაგიმ აჰმედოვი (აზერბაიჯანი, 50,77), 3. ნარეკ გუკასიანი (სომხეთი, 51,00). **800 მ.** 1. ტიგრან მკრტიჩიანი (სომხეთი, 1.55,98), 2. თენგიზ ლვინჯილია (საქართველო, 1.56,52), 3. ვუგარ ნოვრუზოვი (აზერბაიჯანი, 1.57,43). **60 მ/თ.** 1. დავით ილარიანი (საქართველო, 8,07), 2. კრისტაპს სიეტინსი (ლატვია, 8,21), 3. რაგიბ მამადოვი (აზერბაიჯანი, 8,23). **სიგრძე.** 1. ბოლესლავ სხირტლაძე (საქართველო, 7,63), 2. არსენ სარგისიანი (7,58), 3. ვარდან პახლევანიანი (ორივე-სომხეთი, 7,54). **სიმაღლე.** 1. ზურაბ გოგოჭური (საქართველო, 207), 2. აზერ აჰმადოვი (აზერბაიჯანი, 204), 3. კარაპეტ სუკიასინი (სომხეთი, 194). **სამხტომი.** 1. ლაშა თორლვაიძე (საქართველო, 16,32), 2. ლევონ აგასიანი (სომხეთი, 15,92), 3. ნაზიმ ბაბაევი (აზერბაიჯანი 15,76). **ბირთვი.** 1. ბენიკ აბრამიანი (საქართველო, 16,08), 2. ტოფიგ მამადოვი (15,72), 3. რასიმ ბაბაევი (ორივე-აზერბაიჯანი, 13,74). **1500 მ.** 1. დავით ხარაზიშვილი (საქართველო, 4.07,20), 2. ერვანდ მკრტიჩიანი (სომხეთი, 4.08,06), 3. გიგლა ზილბერშტეინი (საქართველო, 4.10,03).

## ძიუდო. გერმანიის ტურნირი

# დიუსელდორფის შეივსრო

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** ნუხანდელ ვარჯიშზე დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 21-23 თებერვალს დიუსელდორფში გამოვა „დიდ პრიზზე". **ლუხუმ ჩხვიმიანი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **ლაშა შავდათუაშვილი** (73), **უშანგი მარგიანი** (81), **ბექა ლვინიაშვილი**, **ზვიად გოგოჭური** (ორივე – 90), **ნოდარ მეტრეველი**, **იოსებ მსხალაძე** (100), **ადამ ოქრუაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (+100) – მწვრთნელის გადაწყვეტილებით, აი, ესენი იჭიდავებენ გერმანიაში. ამათგან ქარდავას, შავდათუაშვილის, მსხალაძის, მეტრეველის, ოქრუაშვილისა და მატიაშვილის წასვლა ადრევე იყო ცნობილი. ვფიქრობთ, ყველაზე საინტერესო ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ შავდათუაშვილის ფაქტორია, რომელიც პირველად იჭიდავებს ახალ წონაში.

როგორც ვხედავთ, მწვრთნელს მჩატე წონებში მხოლოდ თითო კაცი მიჰყავს, სადაც ძირითადად ახალგაზრდებს ეყრდნობა, და მარტო მძიმეებს აორებს. უზნაძე ამჯერად ასვენებს გუნდის ლიდერებს - ევროპის ჩემპიონ **ამირან პაპინაშვილს** (60), ამავე ტიტულის მფლობელებსა და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსნებს, **ავთანდილ ჭრიკიშვილსა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანს** (90) – მათ ერთი თვის შემდეგ თბილისში გასამართი „დიდი პრიზისთვის" ინახავს, რომელიც საევროპოდ მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იქნება. იმავე ტურნირზე იასპარეზებენ **ნუგზარ ტატალაშვილი** და **ზებედა რეხვიაშვილიც** (ორივე – 73).

როგორც ვხედავთ, მწვრთნელი ბოლომდე ენდო ნაკრების დებიუტანტებს – ჩხვიმიანსა და მარგიანს, რომლებსაც პარიზში ურიგოდ არ უჭიდავიათ, ორ-ორი შეხვედრა მოიგეს. იმედია, მათთვის ეს შეჯიბრება მორიგი დიდი სკოლა იქნება.

დიუსელდორფის ტურნირი სამ დღეზეა გადანაწილებული და სტარტს 21 თებერვალს აიღებს, როცა ვაჟებიდან 60-66, ქალებიდან კი 48, 52 და 57-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ. შაბათს საჭიდაოდ 73 და 81-კილოგრამიანი ვაჟები, ქალებიდან კი 63-70-იანები გავლენ, კვირას კი დანარჩენები იბრძოლებენ მედლებისთვის.

ჩვენი ნაკრები ოთხშაბათ საღამოს გაფრინდება გერმანიაში, სადაც ტურნირის შემდეგ იქვე ერთობლივ ვარჯიშებშიც მიიღებს მონაწილეობას.

**ირაკლი თავაძე**

## ძიუდო. მეტოქე

# ზაიზენბახერი ისევ გაუშვეს

გამართლდა მოარული ხმები, რაზეც ცოტა ხნის წინ „ლელო" გაკვრით წერდა - ჩვენი ძველი ნაცნობი, ავსტრიელი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს. ორი დღის წინ იქაური ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, სპორტიდან სულ ახლახან წასულმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ელნურ მამადლიმ** განაცხადა: *„ჩვენ არ ვეთანხმებით პეტერ ზაიზენბახერს. შესაბამისად, მასთან ხელშეკრულება არ გაგრძელდება".*

ავსტრიელი ორგზის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ზაიზენბახერი იქაურ ნაკრებში დაახლოებით ერთი წლის წინ დაინიშნა და პირველი, რაც გააკეთა, გუნდიდან... მომავალი მსოფლიოს ჩემპიონ **ელხან მამადოვის** (100) მოკვეთა დააპირა, აქაოდა, გუნდს ვაახალგაზრდავებ და 30 წლის სპორტსმენი რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად არ მჭირდებაო... არადა, ამ თითქოს ბებერმა მამადოვმა წონა შეიცვალა - 90-დან 100-ში ავიდა და ამ სიტყვებიდან 8 თვეში იმავე რიო დე ჟანეიროში მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო! საგულისხმოა, რომ მამადოვმაც გააცდინა ზაიზენბახერის მიერ დაგეგმილი რამდენიმე მოსამზადებელი ეტაპი, როგორც 2011-ში - **ირაკლი ცირეკიძემ**, ვინც მსოფლიოს მაშინდელ პირველობაზე ჩვენი გუნდის ერთადერთი მედალოსანი გახდა.

ზაიზენბახერის ქართულსა და აზერბაიჯანულ კარიერაში პარალელიზმის მომენტი სხვაც ბევრია. მაგალითად, ვერც ჩვენი იქაური კოლეგები მიხვდნენ, რატომ გამოატოვებინა მწვრთნელმა მათ ნაკრებს შარშან, ნოემბრის ბოლოს ტოკიოში გამართული ძიგორო კანოს მემორიალი, ან რატომ გამოვიდნენ თებერვლის დასაწყისში პარიზის „დიდ მუზარადზე" შესუსტებული შემადგენლობით... სამაგიეროდ, იცოცხლეთ, იქაურებიც თვეობით დაჰყავდა ერთობლივ შეკრებებზე იაპონიაში, რომელიც გამორჩეულად უყვარს ავსტრიელს. მისი გადაწყვეტილებები იქაურებისთვის იმთავითვე უცხო იყო და იქაურ მედიაში ძალიან მალევე გაჩნდა მყვირალა სათაურები შეშფოთებული აქცენტებით.



პეტერ ზაიზენბახერი

ელნურ მამადლიმ ზაიზენბახერის ყველაზე რეალური შემცვლელიც დაასახელა - **გაჯიალა გაჯიახმედოვი**. თურმე ამჟამად ყველაზე რეალური მისი კანდიდატურაა. მამადლის არ დაუსახელებია, სად გააგრძელებს კარიერას ავსტრიელი, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, ის უკვე მიიწვიეს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. არაბული სამყაროს ეს ლიდერი ქვეყანა ახლა იწყებს ძიუდოს განვითარებას და უკვე გვარიან სკანდალშიც გაეხვია, როცა ერთი წლის წინ მოლდოვის ლამის მთელი ეროვნული ნაკრები, ფაქტობრივად, იყიდა მწვრთნელ **ვასილ კოლცასთან** ერთად. თუმცა მაშინ ისინი დისკვალიფიკაციას გადაურჩნენ, რადგან, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს გარიგება მოლდოვური ფედერაციის თანხმობით მომხდარა, ოღონდ - ჩუმად, მოლდოვური სპორტის მესვეურთაგან დაფარულად. ზაიზენბახერი მართლა თუ მიდის არაბეთში, ესე იგი, ისინი კოლცას უშვებენ თანამდებობიდან. თუმცა ავსტრიელის უკან ჯერ კიდევ საქართველოში მუშაობისას გამოიკვეთა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარიუს ვიზერის** აჩრდილი. კულუარული ხმებით, სწორედ მან გაუხერხა აზერბაიჯანში მუშაობაც, სადაც ასევე გარანტირებული ჰქონდა მაღალი ხელფასი ანუ თბილი სკამი... დაგვეთანხმებით, ასეთი მფარველის მეშვეობით არც კოლცას გვერდზე გაწევა და საამიროებში, ფულის ამ ნამდვილ ორმოში მოხვედრაა ძნელი. მით უფრო, კოლცას საქმეები იქ მთლად კარგად ვერ წავიდა – მართალია, მისმა გაწვრთნილმა გუნდმა სოლიდურ ტურნირებში რამდენიმე მედალი კი მოიპოვა, მაგრამ დოპინგზე ჩავარდა მათი ლიდერი, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **სერგიუ ტომა** (81).

მთელ ამ ამბავში ჩვენთვის საინტერესო სხვა გარემოებაა – რატომ ვუთმინეთ ზაიზენბახერს იმდენი, როცა აზერბაიჯანელებმა სულ რაღაც ერთ წელიწადში მოარჯულეს? ნუთუ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი მორალი იქ მეტად აქვთ განვითარებული? ერთიც საინტერესოა - აზერბაიჯანში წასვლის შემდეგ სწორედ ზაიზენბახერმა წაიყვანა ბაქოში ქართველ ძიუდოისტთა მთელი ჯგუფი ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ბეთქილ შუკვანის** თავკაცობით. არ ვიტყვი, რომ მას საქართველოს ნაკრებში არაფერი გაუკეთებია - ჩვენი ბიჭების ფიზიკური კონდიციები ნამდვილად აამაღლა, მაგრამ ამ ნაბიჯით ბოლო ტორი მაინც ჩამოგვკრა! იმათ გასაგონად, ვინც შუკვანთან დაკავშირებით გვიმტკიცებდა, ადამიანი თავის არჩევანში თავისუფალია და ვერსად წასვლას ვერ დაუშლიო, ერთსაც შევნიშნავთ: ვნახოთ, ზაიზენბახერი აზერბაიჯანელებსაც თუ გაუბედავს იმავეს და იქიდანაც მოხვევს ხელს ადგილობრივ ფალავნებს არაბეთში გასალალად. მაშინ მართლაც ვიტყვი, რომ თურმე კაცის დაკავება არ შეიძლება.

**ირაკლი თავაძე**

● ტრანსფერი


დავით უგრეხელიძე

# რომელი? - კრნომელი

## უგრეხელიძე და ოთხი რვიანი

**დავით უგრეხელიძე** კარიერას სლოვენიაში აგრძელებს. იგი ბოლო წლებში საქართველოში გამოდიოდა, „არმიასთან" ერთად ჩემპიონიც გახდა, ხოლო მიმდინარე სუპერლიგის პირველ წრეში „შსს აკადემიას" ღირსებას იცავდა, იანვრიდან კი სლოვენიაშია და იქურ „კრნომელში" თამაშობს. იმასაც შეგახსენებთ, რომ სლოვენიაში დათოს კარგად იცნობენ, სხვადასხვა დროს გამოდიოდა „კოპერში", „ზლატოროგში", „სლოვანში"...

„კრნომელი" ამჟამად სლოვენიის ჩემპიონატის მეორე ლიგაშია და რვიანებში ტრიალებს: 8-8 მოგება-წაგება და მე-8 ადგილი. დავით უგრეხელიძემ ამ გუნდში სადებიუტო მატჩიც ჩაატარა - პირველადგილოსან „სენჩურთან" 72:104 დათმო.

დათო მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, თუმცა საკმარისად, 25 წუთი ითამაშა. კიდევ ერთი რვიანი უნდა დავწეროთ: 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი - ასეთი იყო 30 წლის ქართველი ცენტრის მონაგარი.

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველი ამერიკაში

# ათიანის ათიანი

მორიგი ორი მატჩი გამართა **დუდა სანაძის** „სან დიეგომ" ამერიკის კოლეჯების ლიგაში.

პირველ შეხვედრაში დიეგოელები „სენტ მერის" ესტუმრნენ და 57:69 დამარცხდნენ. მეტოქემ მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ ბოლო წუთებზე გადაწყვიტა.

დუდა სასტარტო ხუთეულში იყო და სწორედ იმდენი ჩააგდო, რა ნომერიც ზურგზე აწერია: 10 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი. მან მოედანზე 31 წუთი გაატარა.

მომდევნო მატჩი „სან დიეგომ" „პასიფიკ ტაიგერსთან" ჩაატარა და სტუმრად 70:55 აჯობა. ამ შეხვედრის განაცხადში სტუმრების მწვრთნელმა მხოლოდ 9 კალათბურთელი შეიყვანა. მათ შორის არ იყო დუდა სანაძე.

„სან დიეგოს" 15 ტურის შემდეგ 5 მოგება აქვს და დასავლეთ სანაპიროს დივიზიონში მერვე ადგილზეა.

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველი უკრაინაში

# დონეცკის ქიმიური რეაქცია

უკრაინის ჩემპიონატში ლიდერთა მატჩი გაიმართა. ერთმანეთის პირისპირ **გიორგი ცინცაძის** „დონეცკი" და „ხიმიკი" წარდგნენ. ამ შეხვედრამდე დონეცკელებს ერთი მოგებით მეტი ჰქონდათ და წარმატების შემთხვევაში კარგ ფორასაც მიიღებდნენ, მაგრამ...

მეორე პერიოდი ბოლოს მასპინძელი ქიმიკოსები 54:35-ს დაწინაურდნენ. ეს უპირატესობა კი ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ და 97:76 გაიმარჯვეს.

გიორგი ცინცაძემ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 19 წუთში 7 ქულა, 4 მოხსნა და 2


გიორგი ცინცაძე

პასი დააგროვა. მან 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან 1 სამიანი ჩააგდო.

სადღეისოდ დონეცკელებს 18-დან 15 მატჩი აქვთ მოგებული და მეორე ადგილზე არიან. „ხიმიკი" კი 15 გამარჯვებითა და 2 მარცხით პირველია. ცინცაძის გუნდი უკრაინის ჩემპიონატში მორიგ შეხვედრას 19 თებერვალს ჩაატარებს - „კიევს" მიიღებს.

ვაჟა სიმონიშვილი

● ჩოგბურთი


ანა ტატიშვილი

# ტატიშვილი წყვილებში პირველია

**მიდლენდში** (აშშ) დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 100.000 დოლარი). წყვილთა პაექრობაში თბილისელი **ანა ტატიშვილი** ამერიკელ ჰიტა ვატსონთან ერთად მე-4 ნომრად იყო განთესილი (საგულისხმოა, რომ ერთეულებში ჩვენებური სწორედ მეწყვილესთან დამარცხდა). პირველ წრეში მათ ასია მუჰამადი და ტეილორ თაუსენდი (ორივე-აშშ) დაამარცხეს — 6:4, 7:5, შემდეგ ლიკა დეკმეიერი (ლატვია) და ნიკოლა ფრანკოვა (ჩეხეთი) ჩამოიშორეს გზიდან — 6:2, 5:7, 10:6, ნახევარფინალში ნიკოლ მელიჩარსა და ნატალი პლუშკოვას (ორივე-აშშ) აჯობეს — 6:1, 6:4 და ფინალში მე-2 ნომრად განთესილ შარონ ფიგმანსა (კანადა) და მარია სანჩესს (აშშ) დაუპირისპირდნენ. პირველი სეტი ანამ და ჰიტამ 7:5 მოიგეს, მეორე ხელი ასეთივე ანგარიშით დათმეს, ტაიბრეიკებში კი 10:6 გაიმარჯვეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. საგულისხმოა, რომ ანას მეწყვილე ვატსონმა ერთეულთა ასპარეზობაშიც მიაღწია წარმატებას — გადამწყვეტ პაექრობაში რუს კსენია პერვაკს აჯობა — 6:4, 6:0.

ვაჟა დანელია

# ფინალი შაფათავამაც მოიგო

**თბილისელი** ჩოგბურთელი **სოფიო შაფათავა** ერთი კვირის წინათ გრენობლის 25.000-იანი ტურნირის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა წყვილებში, ამ უქმეებზე კი ტალინში მიაღწია წარმატებას, ოღონდ 15.000-იან შეჯიბრებაში, აქაც წყვილებში. ჩვენებური სლოვენიელ მაშა ზეპ-პესკირიჩთან იყო შეამხანაგებული. ქართველმა ჩოგბურთელმა ზედიზედ სამი წრის გავლის შემდეგ ფინალში აგნეს ბუკტას (უნგრეთი) და ვიქტორია ტომოვას (ბულგარეთი) ტანდემი დაჯაბნა — 6:4, 7:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა. შაფათავა ამჟამად რუსეთის დედაქალაქში იმყოფება და 25.000-იან ტურნირში ჩაებმება. ერთეულებში მე-5 ნომრადაა განთესილი და სტარტზე მელის სეზერს (თურქეთი) შეხვდება. წყვილებში უკრაინელ ანასტასია ვასილიევასთან ერთად რეიტინგფავორიტია და პირველ წრეში ანეტ კონტავეიტისა (ესტონეთი) და პოლინა ლეიკინას (რუსეთი) დუეტს გამოცდის.


სოფიო შაფათავა

ვაჟა დანელია

# მეორე ადგილს დასჯერდა

**ანტალიაში** წარმატებით ითამაშა 10.000-იანი ტურნირის ერთეულებში **სოფიო ქვაცაბაიამ.** მე-2 წრეში მან მე-2 ნომრად განთესილ იანა სიზიკოვას (რუსეთი) აჯობა — 2:6, 6:4, 6:4, შემდეგ გერმანელი ქრისტინა შაკოვეცი გაუყენა მის გზას — 6:4, 6:2, ნახევარფინალში რუმინელი ირინა მარია ბარა დაამარცხა — 6:4, 6:3, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი მის თანამემამულე პატრისია მარია ტიგთან დათმო — 3:6, 2:6 და მეორე ადგილს დასჯერდა.

გუშინ ანტალიაში ახალი 10.000-იანი ტურნირი დაიწყო. ასპარეზობის მე-2 ნომერია **ეკატერინე გორგოძე** (რეიტინგფავორიტია რუსი იანა სიზიკოვა), რომელიც ესენ კოკჩეს (თურქეთი) გაუწევს მეტოქეობას, სოფიო ქვაცაბაია კი მე-4 ნომერ იულია სტამატოვასთან (ბულგარეთი) გაარკვევს ურთიერთობას. ორივე ჩვენებური წყვილებშიც მოსინჯავს ძალებს. გორგოძე რუმინელ დიანა ბუზეანთან ერთად ამერიკელებს — დანიელ ჯაუდასა და დანიელ ჯინესს შეხვდება. ქვაცაბაია პია კონიგთან (ავსტრია) ერთად მესამე ნომერია და მასაც ამერიკელები ჰყავს მეტოქედ — რიზე მალიკა და სიმონს სიანა.

■ ■ ■

გასული კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციამ (WTA) ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა. **ერთეულებში** ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 114 (115). **ანა ტატიშვილი** (554 ქულა), 206 (207). **სოფიო შაფათავა** (288). 314 (316). **ოქსანა კალაშნიკოვა** (149), 404 (407), **ეკატერინე გორგოძე** (100), 451 (451). **მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (81), 805 (833). **სოფიო ქვაცაბაია** (22), 1186 (1184). **მარიამ ბოლქვაძე** (5), 1236 (1233). **თამარ ჭალაგანიძე** (3). **წყვილები.** 49 (53). კალაშნიკოვა (1677 ქულა), 74 (82). ტატიშვილი (1175), 167 (178). შაფათავა (414), 448 (457). გორგოძე (110), 545 (548). ქვაცაბაია (77), 773 (779). ჩახნაშვილი-რანცინგერი (33), 1266 (1266). ჭალაგანიძე (4), 1297 (1298). ბოლქვაძე (3).

ვაჟა დანელია

● U-13

# თბილისი აკადემიისაა

**შაბათს** დასრულდა თბილისის 13-წლამდელთა ჩემპიონატი. ტურნირი თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს „აკადემია" და „ჰიუნდაი" შეხვდნენ. საჩემპიონო მატჩი ძალიან საინტერესო გამოდგა და აკადემიელთა გამარჯვებით დამთავრდა - 79:76.

**ლაშა თოიძისა** და **ნიკო ჩერქეზიშვილის** განვრთნილმა „ჰიუნდაიმ" მატჩი კარგად დაიწყო - 10:0 დაწინაურდა და თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ლიდერობდა. ჰიუნდაელთა უპირატესობა ხან 10 ქულას მცირედით გადააჭარბებდა, ხანაც 6-7 ქულამდე შემცირდებოდა. საავტომობილო კომპანიის გუნდს, ბიძინა ფეიქრიშვილი წინამძღოლობდა, რომლის შემჩერებელიც აკადემიელთაგან ვერავინ აღმოჩნდა.

ფეიქრიშვილმა საბოლოოდ 52 ქულა დააგროვა. ის მესამე მეოთხედის შუა პერიოდიდან, 4 პერსონალურით თამაშობდა და ისე ჩაამთავრა მატჩი, მოედნიდან



არ გავარდნილა. სამაგიეროდ ჯარიმებით დაიხუნძლნენ მისი თანაგუნდელები და ბოლო მეოთხედში მოედნიდან 5 პერსონალურის გამო 5 ჰიუნდაელი გავიდა.

აკადემიელებში **მიხეილ ზურაბაშვილი** და **რატი ანდრონიკაშვილი** გამოირჩეოდნენ, რომელთა მონდომებით ბოლო მეოთხედში „აკადემიამ" ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა და დაწინაურდა კიდეც. მატჩის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა - „აკადემიამ", რომელიც მთელი თამაში მდევრის როლში იყო, უკანასკნელ წუთზე 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და გამარჯვებამდეც მივიდა.

შეჯიბრება მესამე ადგილზე დაასრულა „შსს-მართვემ". ტურნირის ბომბარდირი 168 ქულით ამ გუნდის წევრი **ნიკა ნიკოლაიშვილი** გახდა. მაყურებელთა სიმპათიის პრიზი ასევე მართველ **გაბრიელ გორგაძეს** ერგო. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ კი „ჰიუნდაის" ლიდერი **ბიძინა ფეიქრიშვილი** დასახელდა.

საჩემპიონო თასი კი „აკადემიას" კაპიტან **ლევან წურწუმიას** გადაეცა.

**ფინალი**

| ჰიუნდაი-აკადემია | 76:79 |
|---|---|

19:15, 21:13, 17:23, 19:28

**ჰიუნდაი:** ფეიქრიშვილი (52), ქავთარაძე (10), მახვილაძე (2), გოგაძე (4), ბიჩინაშვილი (4), თანანაშვილი (4), გიგიბერია, კვიტაიშვილი, ჭიჭინაძე, გაგნიძე, ბუბაშვილი.

**აკადემია:** ზურაბაშვილი (31), წურწუმია (11), ანდრონიკაშვილი (26), მიქელაძე (11), ცხვირავაშვილი, კოპალეიშვილი, ქროული, ცომაშვილი, დოლიძე, ლაზვიაშვილი

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მასი უკვე პლეი ოფშია, ოთხი ისევ იბრძვის

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურილა დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პლეი ოფში გააღწია ქართველ მორაგბეთა ერთმა გუნდმა, A ჯგუფის ლიდერმა, პარიზულმა „მასიმ". კიდევ ოთხი კი გადამწყვეტ ეტაპზე მონაწილეობის უფლების მოპოვებისთვის იბრძვის.**



შეტევაში სიმონ მაისურაძე. უკანა პლანზე გიორგი მჭედლიშვილი

**შალვა სუთიაშვილის, დავით დადუნაშვილის, ელიზბარ ყუფარაძის, დავით აშვეთიასა და არჩილ კობაურის** „მასიმ" მე-14 ტურში შინ დაამარცხა **რეზო გიგაურისა და თენგიზ გელანტიას** „მონლუსონი" - 48:12. აღსანიშნავია, რომ მონლუსონელები ასევე პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვიან, თუმცა შესანიშნავ ფორმაში მყოფ ლიდერთან ვერას გახდნენ.

სუთიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი 45-ე წუთზე შეცვალეს, 69-ე წუთზე დატოვეს მოედანი გიგაურმა და ყუფარაძემ, იმავდროულად თამაშში ჩაერთნენ გელანტია და აშვეთია. ყუფარაძე მატჩის საუკეთესო მოთამაშეთა შორის დასახელდა.

აუტსაიდერმა, **ირაკლი ნინიძის** „დიჟონმა" შინ მინიმალური სხვაობით წააგო „ბობინისთან" - 20:21. **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერის" დაპირისპირება შინ **შოთა საყვარელიძის** „სენ ჟან დანჟელისთან" გადაიდო.

**A ჯგუფი**

ლილი-ნევერი 31:6, მასი-მონლუსონი 48:12, კონიაკი-ვანი 22:19, დიჟონი-ბობინი 20:21, სენ ნაზერი-სენ ჟან დანჟელი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მასი - 56 ქულა, 2. ნევერი - 51, 3. ლილი - 48, 4. ვანი - 38, 5. მონლუსონი - 29, 6. ბობინი - 26, 7. სენ ნაზერი - 25, 8. კონიაკი - 25, 9. სენ ჟან დანჟელი - 17, 10. დიჟონი - 11.

**XV ტური**

ნევერი-მასი, ვანი-ლილი, კონიაკი-სენ ნაზერი, მონლუსონი-დიჟონი, ბობინი-სენ ჟან დანჟელი

B ჯგუფში კვლავ ლიდერობს **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონი", რომელმაც შინ დაამარცხა „ლა სეინი" - 23:14. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს. ლიდერთა შორისაა და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის **საბა ქართველიშვილის** „შამბერი", რომელმაც შინ დაამარცხა „ლა ვულე" - 37:22. ქართველიშვილი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

მძიმე ბრძოლა გადახდა შინ **მერაბ კვირიკაშვილის** „ვიენს" აუტსაიდერ, **გიორგი კუთარაშვილის** „ანესისთან". მასპინძლებმა 9:6 გაიმარჯვეს. კვირიკაშვილმა სამი საჯარიმო გაიტანა (9 ქულა). კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს.

**გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონმა", რომელიც სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარშია, სტუმრად წააგო „ექსთან" - 3:41.

**B ჯგუფი**

რომანი-ობენა 12:12, ექსი-შალონი 41:3, მაკონი-ლა სეინი 23:14, შამბერი-ლა ვულე 37:22, ვიენი-ანესი 9:6.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მაკონი - 48 ქულა, 2. ობენა - 44, 3. ექსი - 43, 4. შამბერი - 39, 5. რომანი - 39, 6. ლა სეინი - 36, 7. ლა ვულე - 29, 8. შალონი - 19, 9. ვიენი - 17, 10. ანესი - 9.

**XV ტური**

ობენა-ექსი, ლა სეინი-რომანი, მაკონი-ვიენი, ლა ვულე-ანესი, შალონი-შამბერი.

C ჯგუფში **თედო ზიბზიბაძის, გიორგი გაბელიასა და ნიკოლოზ მალალდაძის** „პერიგომ" შინ მიიღო პლეი ოფისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „ლანჟონი" და 19:12 დაამარცხა. გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი ლელო მასპინძლებმა მას შემდეგ გაიტანეს, რაც ზიბზიბაძემ მეტოქის გადაცემა ჩაჭრა და თანაგუნდელს სალელოვე გადაცემა გაუკეთა.

ზიბზიბაძემ სრულად ითამაშა, გაბელია და მალალდაძე განაცხადში არ იყვნენ.

**C ჯგუფი**

პერიგო-ლანჟონი 19:12, მონტობანი-ენდაი 40:0, როდეზი-ლავორი 19:8, სენ ჟან დე ლუზი-ტულე 24:24, ლიმოჟი-ლორმონი 31:27.

1. მონტობანი - 66 ქულა, 2. ლანჟონი - 40, 3. პერიგო - 33, 4. სენ ჟან დე ლუზი - 33, 5. როდეზი - 31, 6. ლიმოჟი - 30, 7. ტულე - 27, 8. ლორმონი - 27, 9. ლავორი - 23, 10. ენდაი - 13.

**XV ტური**

ტულე-როდეზი, ლანჟონი-სენ ჟან დე ლუზი, პერიგო-ლიმოჟი, ლავორი-მონტობანი, ენდაი-ლორმონი.

D ჯგუფში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად „ლურდთან" **სიმონ მაისურაძის, ლაშა მალაღურაძის, ბექა ურჯუკაშვილის, გიორგი მჭედლიშვილისა და ლადო გუნიავას** „ბაგნერემ". ჩვენებურთა გუნდმა უმძიმეს ბრძოლაში მასპინძლები მინიმალური სხვაობით 13:12 დაამარცხა და ახლა 36 ქულით მე-4 ადგილზეა. „ბაგნერეს" შესანიშნავი შანსი გაუჩნდა მომდევნო ეტაპზე მონინავეთა შორის ითამაშოს.

**მიხეილ გაჩეჩილაძის** „აჟეტმოს" კი არ გაუმართლა. ჩვენებურის გუნდის მეტოქე საშინაო მატჩში D ჯგუფის ლიდერი „ტიროსი" იყო. მასპინძლები 19:27 დამარცხდნენ. „აჟეტმო" ახლა 17 ქულით ბოლო ადგილზეა.

**D ჯგუფი**

ლურიდი-ბაგნერე 12:13, ლანამეზანი-ოლორონი 16:13, აჟეტმო-ტიროსი 19:27, მოლეონი-ბლანიაკი 21:11, კასტანე-ვალანსი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტიროსი - 51 ქულა, 2. ოლორონი - 45, 3. ლანამეზანი - 39, 4. ბაგნერე - 36, 5. კასტანე - 35, 6. ვალანსი - 33, 7. ბლანიაკი - 31, 8. ლურდი - 18, 9. მოლეონი - 18, 10. აჟეტმო - 17.

**XV ტური**

ოლორონი-ლურდი, ვალანსი-ლანამეზანი, კასტანე-მოლეონი, ბაგნერე-აჟეტმო, ტიროსი-ბლანიაკი.

ბესიკ ჯანგავაძე



მოლის სათავეში დავით დადუნაშვილი

ერთა თასი



# გორგოძე და ზირაქაშვილი დაბრუნდნენ

**საქართველოს ნაკრები შაბათს ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში, რომელიც იმავდროულად 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, ეროვნულ სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსნები" გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს თასის საგზურს გაინაღდებენ.**

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც გუშინ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" დაიწყო, 27 მორაგბეს უხმო. პირველ ხაზში ერთი ცვლილებაა. გამოძახებულთა შორის არ არის **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი). ტრავმა მოირჩინა და რუსებთან სათამაშოდ მოემზადება **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი).

ერთი ცვლილებაა მესამე ხაზშიც. ასევე ტრავმით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა **მამუკა გორგოძე** (მონპელიე). „ბორჯღალოსნებს" ამჯერად **შალვა სუთიაშვილი** (მასი) დააკლდებათ.

ცვლილებები არ შეხებია უკანა ხაზს. მცირე ტრავმები აწუხებდათ შუამარბებს **მერაბ შარიქაძეს** (ბურგ ან ბრესი) და **თედო ზიბზიბაძეს** (პერიგო). თუმცა ამჯერად მწყობრში არიან და რუსებთან საბრძოლველად ემზადებიან.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), ჯაბა ბრეგვაძე (ტულუზი), შალვა მამუკაშვილი (არმია), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

**მეორე ხაზი:** ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ნემსაძე (ტარბი).

**მესამე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), გიორგი თხილაიშვილი (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე).

**№12-13:** თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), დავით კაჭარავა (ენისეი).

**№11-14:** გიორგი შკინინი (არმია), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი).

**№15:** მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

**რუსეთის ნაკრები**

ვასილი არტემევი, იგორ გალინოვსკი, ვიქტორ გრესევი, ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, ვლადიმირ რუდენკო, ანტონ რიაბოვი, ალექსანდრ ხუდიაკოვი (ყველა-კრასნი იარი), პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, ინოკენტი ზიკოვი, სტანისლავ სელსკი, ანდრეი ტემნოვი (ყველა-ენისეი), ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსეი ვოლკოვი, მაგომედ დაუდოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, ალექსანდრ იანუშკინი, სერგეი იანუშკინი (ყველა-ვვა), ანდრეი იგრეცოვი, სერგეი სუგრობოვი (ორივე-სალვა), პაველ კვერნაძე (ფილი), კირილ კულემინი, ანდრეი ოსტრიკოვი (ორივე-სეილ შარქსი), იური კუშნარიოვი (ყუბანი), სერგეი სეკისოვი (სტრელა-არგო).

**ერთა თასი**

**22 თებერვალი**

საქართველო-რუსეთი
ბელგია-პორტუგალია
რუმინეთი-ესპანეთი

ბესიკ ჯანგავაძე



67 წლისა, უეცრად გარდაიცვალა დარბაისელი თბილისელი კაცი, რაგბის დიდი ქომაგი, მოამაგე და მეცენატი ნოდარ ჩაჩანიძე. საქართველოში რაგბის შემოსვლა განსვენებულის სიჭაბუკეს დაემთხვა, მაგრამ ჩვენი ნოდარი ოვალური ბურთით გვიანლა დაინტერესდა - მას შემდეგ, რაც ვაჟი პეტრე „შევარდენში" ჩაეწერა.

მას აქეთ ჩაჩანიძე-უფროსი მორაგბეთა ჭირსა და ლხინს იზიარებდა: რთულ, გარდამავალ ხანაში ეხმარებოდა მოთამაშეებს, კლუბებსა და ნაკრებებს. მათ საკუთარი ხარჯით დაყვებოდა ლაშქრობებში და ქართული რაგბის ვიდეო-მატიანეს ქმნიდა.

ნოდარი აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო სტრუქტურებიდან საქართველოს გამოყოფასა და საერთაშორისო აღიარებაში. მისი დამსახურებაცაა, რომ საბჭოეთის ბოლო ნაკრებში ჩვენი ბიჭები ბლომად მოხვდნენ და მალევე ბევრი გამარჯვებით გაგვახარეს.

ნოდარმა სწორედ რომ რაგბიში იპოვა ის ღირებულებანი, რომელსაც თავადვე ერთგულობდა. ამიტომაც ბოლომდე დარჩა ჩვენს წრეში. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია მორაგბეთა ერთბაშად რამდენიმე თაობისათვის.

*ქართული რაგბის თემი*

| ბიათლონი | |
|---|---|
| მას-სტარტი. 12.5 კმ. ქალები | |
| 1. დარია დომრაჩევა (ბლრ) | 35:25.6 (0+0+0+1) |
| 2. გაბრ. სოუკალოვა (ჩეხ) | +20.2 (0+0+0+1) |
| 3. ტირილ ეკჰოფი (ნორ) | +27.3 (0+1+0+0) |

| ბობსლეი | |
|---|---|
| ორადგილიანი. კაცები | |
| 1. რუსეთი I | 3:45.39 |
| 2. შვეიცარია I | +0.66 |
| 3. აშშ I | +0.88 |

| ფიგურული სრიალი | |
|---|---|
| სპორტული ცეკვები | |
| 1. მერილ დევისი/ჩარლი უაიტი (აშშ) | 195.52 |
| 2. ტესა ვირტუ/სკოტ მოირი (კან) | 190.99 |
| 3. ელენა ილინიხინა/ნ. კაცალაპოვი (რუს) | 183.48 |

| ფრისტაილი | |
|---|---|
| აკრობატიკა. კაცები | |
| 1. ანტონ კუშნირი (ბლრ) | 134.50 |
| 2. დევიდ მორისი (ავსტრა) | 110.41 |
| 3. ზონგიან ჟია (ჩინ) | 95.06 |

| ტრამპლინიდან ხტომა | |
|---|---|
| გუნდური. K-125. კაცები | |
| 1. გერმანია | 1041.1 |
| 2. ავსტრია | 1038.4 |
| 3. იაპონია | 1024.9 |

## ბიათლონი



დარია დომრაჩევა

# სოჭს გმირი გამოუჩნდა

რაც არ უნდა მოხდეს სოჭის ოლიმპიადის დარჩენილ დღეებში, ზამთრის წლევანდელ თამაშებს უკვე ჰყავს მთავარი გმირი. ეს არის ბელარუსი ბიატლონისტი **დარია დომრაჩევა**, რომელმაც ინდივიდუალურ რბოლასა და გამოდევნების შემდეგ, გუშინ მასსტარტიც მოიგო და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გუშინ, დისტანციაზე ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. პირველივე წრიდან ბელარუსმა „დომინატორმა" შეტევა დაიწყო, მეორე წრეზე დაშორდა პელოტონს, რითაც ჯგუფურ რბოლაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ დარიას კონკურენტი არ ჰყავდა. პირველი სამ სასროლეთზე მან თხუთმეტივე ტყვია მოახვედრა მიზანში. მართალია, მეოთხეზე ერთი სროლა ააცილა, მაგრამ იგივე შეცდომა დაუშვა მისმა უახლოესმა მდევარმა, ჩეხმა **გაბრიელა სოუკალოვამ**, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბელარუსს მესამე ოქროს ვერავინ წაართმევდა. სოუკალოვასთვის ვერცხლის მედალი სერიოზული წარმატება იყო, რადგან წინა ორ რბოლაში ჩეხი მეოთხე მიდიოდა ფინიშთან.

მესამე ადგილისთვის ბრძოლა წარმართეს ნორვეგიელმა **ტირილ ეკჰოფმა** და სათხილამურო რბოლის ყოფილმა წარმომადგენელმა, გერმანელმა **ევი ზაჰენბაჰერ-შტელემ** (ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სათხილამურო რბოლაში). მან სენსაცია შემოგვთავაზა, როცა ოცივე სროლა ზუსტად შეასრულა, მაგრამ საბოლოო ტემპი არ ეყო მესამე ადგილზე გასასვლელად. ბრინჯაო ეკჰოფმა მიიღო ერთი აცილებული სროლის მიუხედავად.

ფინიშის შემდეგ გამოცხადდა, რომ ბელარუსის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ლუკაშენკომ** ქვეყნის გმირის წოდება მიანიჭა დომრაჩევას, გარდა ამისა, ეს ბრწყინვალე სპორტსმენი სამი ოქროს სანაცვლოდ 450 ათას დოლარს მიიღებს.

## ფრისტაილი



# ბელარუსი ყველაზე კარგად დაფრინავს

ანტონ კუშნირი

სოჭის ოლიმპიადაზე ბელარუსი სპორტსმენები ორ სახეობაში აგროვებენ ოქროს - ბიატლონში და ფრისტაილის დისციპლინა აკრობატიკაში. რამდენიმე დღის წინ, აქ ქალებს შორის **ალა ცუპერმა** გაიმარჯვა, ახლა კი მისგან ესტაფეტა **ანტონ კუშნირმა** გადაიბარა.

სხვათა შორის, კუშნირმა ოქრომდე დაახლოებით ისეთი გზა გაიარა, როგორიც ცუპერს ჰქონდა. ის პირველი ცდიდან ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ მეორე კვალიფიკაციიდან გადავიდა TOP 12-ში. ყოველი მომდევნო ცდის შემდეგ, ბელარუსი თავის ხტომებს სულ უფრო სუფთად ასრულებდა, ბოლოს კი შოკში ჩააგდო კონკურენტები, როცა ფანტასტიკური სამმაგი სალტო შეასრულა.

კუშნირის კონკურენტები იძულებულნი გახდნენ გაერისკათ და ბელარუსის ანალოგიური სირთულის ხტომები შეუკვეთეს, მაგრამ ჩინელი ფავორიტები დაეცნენ და ვერცხლის მედალი ავსტრალიელ **დევიდ მორისს** გადაულოცეს.

| დღევანდელი პროგრამა | |
|---|---|
| 18 თებერვალი, სამშაბათი | |
| 09:00 | ქერლინგი. კაცები. პლეი ოფი. ნორვეგია-ბრიტანეთი |
| 10:30 | სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. 1/8 ფინალი |
| 11:00 | სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. 1/4 ფინალი |
| 11:00 | სამთო თხილამურები. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა |
| 11:30 | სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. 1/2 ფინალი |
| **12:00** | **სნოუბორდი. კაცები. სნოუბორდ-კროსი. ფინალი** |
| 12:00 | ჰოკეი. კაცები. 1/8 ფინალი. სლოვენია-ავსტრია |
| 12:00 | ჰოკეი. ქალები. მატჩი მე-7 ადგილისთვის. გერმანია-იაპონია |
| 13:30 | სათხილამურო ორჭიდი. ტრამპლინი. K-125 |
| 13:30 | შორტ-ტრეკი. ქალები. 1000 მ. კვალიფიკაცია |
| 14:15 | შორტ-ტრეკი. კაცები. 500 მ. კვალიფიკაცია |
| **14:30** | **ბიატლონი. კაცები. მას-სტარტი. 15 კმ** |
| **14:30** | **სამთო თხილამურები. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა** |
| **14:54** | **შორტ-ტრეკი. ქალები. ესტაფეტა 3000 მ. ფინალი** |
| **16:00** | **სათხილამურო ორჭიდი. K-125+რბოლა 10 კმ.** |
| 16:30 | ჰოკეი. კაცები. 1/8 ფინალი. რუსეთი-ნორვეგია. |
| 16:30 | ჰოკეი. ქალები. მატჩი მე-5 ადგილისთვის. რუსეთი-ფინეთი |
| **17:00** | **ციგურებით სირბილი. კაცები. 10000 მ.** |
| 17:45 | ფრისტაილი. კაცები. სკი-ჰაფპაიპი. კვალიფიკაცია |
| 19:15 | ბობსლეი. ქალები. ორადგილიანი. I ცდა |
| 20:23 | ბობსლეი. ქალები. ორადგილიანი. II ცდა |
| 21:00 | ჰოკეი. კაცები. 1/8 ფინალი. შვეიცარია-ლატვია. |
| 21:00 | ჰოკეი. კაცები. 1/8 ფინალი. ჩეხეთი-სლოვაკეთი. |
| **21:30** | **ფრისტაილი. კაცები. სკი-ჰაფპაიპი. ფინალი** |

## ფიგურული სრიალი

# ოქრო მსოფლიოს რეკორდით

სპორტულ ცეკვებში პრაქტიკულად წინასწარ იყო ცნობილი, რომ ოქროს მედლებს ჩრდილოამერიკული დუეტები გაითამაშებდნენ. ესენი იყვნენ ბოლო წლების მუდმივი კონკურენტები: ამერიკელები **მერილ დევისი** და **ჩარლი უაიტი** და კანადელები - **ტესა ვირტუ** და **სკოტ მორი**.

მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ დაწინაურდა ამერიკული დუეტი. დევისმა და უაიტმა უშეცდომოდ შეასრულეს მოკლე პროგრამა, სხვა წყვილების მიმართ კი მსაჯებს პრეტენზიები ჰქონდათ, მათ შორის, ვირტუსა და მორის მისამართითაც.

გუშინ, თავისუფალ პროგრამაში ამერიკელთა კონკურენტებმა სიტუაციის გამოსწორება სცადეს: პირადი რეკორდი დაამყარეს ფრანგებმა **ნატალი პეშალამ** და **ფაბიან ბურზამ**, სეზონში საუკეთესო გამოსვლა აჩვენეს ვირტუმ და მოირმა, მაგრამ ოქრო მაინც ამერიკელებს დარჩათ.

დევისმა და უაიტმა მსოფლიოს რეკორდით მოიპოვეს კარიერაში პირველი ოქრო. ახლა, ამერიკულ და კანადურ დუეტებს აბსოლუტური ფრე აქვთ: ორორი ოქრო მსოფლიოს ჩემპიონატებზე და თითო - ოლიმპიადებზე.



მერილ დევისი და ჩარლი უაიტი

## ტრამპლინიდან ხტომა

# გერმანიამ ავსტრია დაამხო

სოჭში გამოსვლა დაასრულეს ტრამპლინიდან მხტომელებმა. მედლების ბოლო კომპლექტი გუნდურ პირველობაში გათამაშდა. ამ ოლიმპიადაზე მესამე ოქროს შანსი ვერ მიიღო ბრწყინვალე პოლონელმა მხტომელმა **კამილ შტოხმა**, რომელსაც პარტნიორებმა ვერ აუბეს მხარი და პოლონეთის ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა.

ოქროსთვის ბრძოლა კი გერმანიასა და ავსტრიას შორის გაიმართა. ავსტრიელებს ამ დისციპლინაში ბოლო ორი ოლიმპიადა ჰქონდათ მოგებული, გარდა ამისა, მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატიდან მოყოლებული დაუმარცხებელნი იყვნენ. გუშინ ისინი ბოლო ორი ნახტომის წინ ლიდერობდნენ, მაგრამ გერმანელების - **ანდრე ველინგერისა** და **ზევერინ ფროინდის** შესანიშნავი გამოსვლით შემდეგ დაკარგეს პირველი ადგილი და მათი ჰეგემონია სწორედ სოჭში დაემხო. ფროინდის ბოლო ცდის შემდეგ დაფიქსირდა გერმანიის მცირე უპირატესობა - 2.7-ქულიანი ჰანდიკაპი.

ფროინდისა და ველინგერის გარდა, ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ **ანდრეას ვანკი** და **მარინუს კრაუსი**. ავსტრიას წარმოადგენდნენ: **მიხაელ ჰეიბოეკი**, **ტომას მორგენშტერნი**, **ტომას დიტჰარტი** და **გრეგორ შლირენცაური**.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 41 წლის იაპონელი **ნორიაკი კასაის** მორიგი წარმატება. ვეტერანმა გრძელ ტრამპლინზე მოპოვებულ ვერცხლს გუნდურის ბრინჯაო დაუმატა და ფინიშის შემდეგ განაცხადა - 2018 წელს, პიონჩანგის ოლიმპიადაზეც მიხილავთო. კასაი იმ დროს 45 წლის იქნება.



გერმანელთა კვარტეტი

## შედეგები

| ჰოკეი | |
|---|---|
| ქალები. 1/2 ფინალი | |
| **აშშ-შვედეთი** | **6:1** |

3:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 კარპენტერი-1 (ბოზეკი-1, სტეკი-1), 2:0 ბელამი-1 (დეკერი-1, ბოზეკი-2), 3:0 კესელი-1 (დეკერი-2, მარვინი-1), 4:0 მ. ლამურე-1 (ჯ. ლამურე-1, ბელამი-1), 5:0 ბოზეკი-1 (კოინი-1), 5:1 ბორგკვისტი-2 (ელიასონი-1, ვინბერგი-4), 6:1 დეკერი.

| | |
|---|---|
| **კანადა-შვეიცარია** | **3:1** |

3:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 სპუნერი-1 (უიკენჰეიზერი-1), 2:0 სპუნერი-2 (უიკენჰეიზერი-2), 3:0 დაუსტი-1 (უეიკფილდი-1), 3:1 ლუცი-1 (ს. ბენცი-1, ლ. ბენცი-1).

| ქერლინგი | |
|---|---|
| კაცები. XII ტური | |
| ნორვეგია-დანია | 3:5 |
| ჩინეთი-ბრიტანეთი | 6:5 |
| შვეიცარია-აშშ | 6:3 |
| გერმანია-რუსეთი | 7:8 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. შვედეთი - 8 მოგება/1 წაგება; 2. კანადა - 7/2; 3. ჩინეთი - 7/2; 4. ნორვეგია - 5/4; 5. ბრიტანეთი - 5/4; 6. დანია - 4/5; 7. რუსეთი - 3/6; 8. შვეიცარია - 3/6; 9. აშშ - 2/7; 10. გერმანია - 1/8.

**1/2 ფინალი. 19 თებერვალი**

შვედეთი-ნორვეგია/ბრიტანეთი

კანადა-ჩინეთი

| ქალები. XI ტური | |
|---|---|
| რუსეთი-ბრიტანეთი | 6:9 |
| ს. კორეა-აშშ | 11:2 |
| იაპონია-ჩინეთი | 8:5 |

| XII ტური | |
|---|---|
| კანადა-ს. კორეა | 9:4 |
| დანია-ბრიტანეთი | 8:7 |
| ჩინეთი-შვეიცარია | 6:10 |
| შვედეთი-იაპონია | 8:4 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. კანადა - 9 მოგება/0 წაგება; 2. შვედეთი - 7/2; 3. შვეიცარია - 5/4; 4. ბრიტანეთი - 5/4; 5. იაპონია - 4/5; 6. ჩინეთი - 4/5; 7. დანია - 4/5; 8. კორეა - 3/6; 9. რუსეთი - 3/6; 10. აშშ - 1/8.

**1/2 ფინალი. 19 თებერვალი**

კანადა-ბრიტანეთი

შვედეთი-შვეიცარია

გვერდი მოამზადა

გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი

# რეკორდების ოლ სტარი



კაირი ირვინგი

ნიუ ორლეანში დასრულდა ვარსკვლავური უქმეები, რომლის ზენიტი იყო ტრადიციული „ყველა ვარსკვლავის მატჩი", რომელმაც უამრავი სტატისტიკური რეკორდი განაახლა. აღმოსავლეთის გუნდმა, რომლის რიგებში საუკეთესო იყო „კლივლენდის" მცველი **კაირი ირვინგი**, შეწყვიტა დასავლეთის სამწლიანი ჰეგემონია. სიმბოლურია ის, რომ ექვსი წლის წინ, ნიუ ორლეანში ასევე იმართებოდა „ვარსკვლავური უქმეები" და მაშინაც „კლივლენდის" მოთამაშე გახდა „ოლ სტარის" MVP.

უნდა ითქვას, რომ ამ თამაშში არ ყოფილა განსაკუთრებული სილამაზის ჩატენვები ან ახალი ფანტასტიკური კომბინაციები. რა თქმა უნდა, ლამაზი და გამორჩეული მომენტები ვნახეთ, მაგრამ აქცენტი კეთდებოდა შეტევების ეფექტურობასა და დაცვის მაქსიმალურ უგულვებელყოფაზე, თუმცა აღმოსავლეთის დაცვა პერიოდულად ეფექტურად მოქმედებდა. ამ ფაქტის ახსნა შეიძლება იმით, რომ აღმოსავლეთის გუნდს **ფრენკ ფოგელი** ხელმძღვანელობდა, რომელსაც საჩვენებელ მატჩშიც არ შეუძლია დაცვითი თამაშის გარეშე. საერთო ჯამში, გუნდურ დაცვაზე, ხისტ მეურვეობაზე, ფიზიკურ დაპირისპირებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ყველაზე მარტივი კომბინაციებიც კი მიზანს აღწევდა. გამონაკლისი მხოლოდ მატჩის ბოლო წუთები აღმოჩნდა.

დასავლეთმა ოდნავ ინერტულად დაიწყო, მაგრამ შემდეგ რიტმი დაიჭირა. **გრიფინმა** და კომპანიამ ტემპი აკრიფა, რასაც მოჰყვა უამრავი ჩატენვა და ლამაზი კომბინაცია. კალათბურთელები არც პერიმეტრიდან ტყორცნებს ივიწყებდნენ. ორივე გუნდმა 100 სამქულიანი ისროლა და 30 ჩააგდო (ერთიც და მეორეც „ყველა ვარსკვლავის მატჩის" რეკორდია). ამ მხრივ თავი გამოიჩინა **კარმელო ენტონიმ**, რომელმაც 8 ზუსტი სამქულიანით **ლებრონ ჯეიმსისა** და **მარკ პრაისის** რეკორდი გადაფარა.

მეორე მეოთხედში აღმოსავლეთმა ვერ შეძლო მეტოქის ტემპის აყოლა - დასავლეთი დაუღალავად აგროვებდა დანკებსა და სამქულიანებს. მხოლოდ მესამე მეოთხედის ბოლოსკენ გადაწყვიტა ფოგელის გუნდმა თამაშისთვის ინტრიგის დაბრუნება და 18-ქულიანი ჩამორჩენა შეამცირა.

მეოთხე მეოთხედში მეტოქეები ქულა ქულაში მიდიოდნენ. ირვინგმა დასკვნით მონაკვეთში 15 ქულა დააგროვა, აღმოსავლთმა კი ბოლო ორ წუთში 10:0 გაქცევა მოაწყო და დაცვას სერიოზულად მოჰკიდა ხელი. დასავლეთმა ამას ვერ უპასუხა. **დურანტსა** და გრიფინს 4-4 ქულა არ ეყოთ **ჩემბერლენის** შედეგიანობის რეკორდამდე, რომელიც 1962 წელს არის დამყარებული, თუმცა გრიფინმა მაინც ჩაწერა თავისი გვარი „ოლ სტარის" ისტორიაში - მან თამაშიდან სარეკორდო 19 ტყორცნა მოათავსა კალათში. ორივე გუნდმა მატჩში 88 შედეგიანი პასი შეასრულა, რამაც განაპირობა კიდეც „ყველა ვარსკვლავის მატჩის" ისტორიაში ყველაზე შედეგიანი თამაში. დაემხო 1988 წლის რეკორდი.

მესამედ ისტორიაში უძვირფასესი მოთამაშის ტიტული მოიპოვა „კლივლენდის" კალათბურთელმა. ირვინგამდე **ლებრონ ჯეიმსი** იყო ორჯერ MVP. კაირი სტატისტიკის მიხედვით ძალიან სასარგებლო იყო. მან თამაშიდან 17-ჯერ ისროლა და 13 ბურთი ჩააგდო, 14 შედეგიანი გადაცემა შეასრულა და 31 ქულა მოათავსა კალათში. მატჩი დასავლეთს რომ მოეგო, შესაძლოა, არჩევანი სხვაგვარი ყოფილიყო, რადგან ამ გუნდში MVP-ის ტიტულის ორი გამოკვეთილი ფავორიტი იყო.

**დასავლეთი-აღმოსავლ. 155:163**

44:42, 45:34, 37:47, 29:40

დ: დურანტი (38+10 მოხსნა+6 პასი), გრიფინი (38+6 მოხსნა), ლავი (13+9 მოხსნა), კარი (12+11 პასი), პოლი (11+13 პასი), დევისი (10), ლილარდი (9), ჰოვარდი (8+11 მოხსნა).

ა: ირვინგი (31+5 მოხსნა+14 პასი), ენტონი (30+5 მოხსნა), ჯეიმსი (22+7 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ჯორჯი (18+5 მოხსნა+5 პასი), უოლი (12+5 მოხსნა), უეიდი (10), ნოა (8+5 მოხსნა+5 პასი).

# კობის ნელი აღდგენა



„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი**, რომელმაც ადრე არაერთხელ გამოხატა ამ სეზონში დაბრუნების სურვილი, კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე უკვე აღარ ჩანდა ძველებურად დამაჯერებელი ამ საკითხზე საუბრის დროს.

*„აღდგენა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ახლა, უბრალოდ, იმაზე ვფიქრობ, უფრო უკეთ ვიგრძნო თავი და დაველოდო მოვლენათა განვითარებას. ვცდილობ საკუთარ ვალდებულებებზე ვიყო კონცენტრირებული და არ ვნუხდე იმის გამო, რაც გარშემო ხდება"*, - ამბობს ბრაიანტი.

გარდა ამისა, კობი ბრაიანტმა მიბაძა **ლებრონ ჯეიმსსა** და **კევინ დურანტს** და ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეების საკუთარი ვერსია გაგვანდო.

*„ჩემი არჩევანი ოთხ კალათბურთელზე შეჩერდა: მეჯიქ ჯონსონი, ლარი ბერდი, მაიკლ ჯორდანი და ბილ რასელი. თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ოთხის არჩევა - სიგიჟეა. ძალიან რთულია არჩევანის გაკეთება"*, - განაცხადა „ლეიკერსის" ლიდერმა.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბრაიტონი-ჰალი | 1:1 |
| **JP Trophy** | |
| სუინდონი-პიტერბრო | 1:1 პენ.3:4 |
| **იტალია** | |
| ვერონა-ტორინო | 1:3 |
| **ესპანეთი** | |
| მალაგა-სოსიედადი | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-კაიზერი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანსი-ჰავრი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| ესტორილი-ბრაგა | 2:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ტრომსიო-ბოდო გლიმტი | 0:3 |
| ცსკა-ვიდეოტონი | 2:1 |
| სეონგნამი-მიალბიუ | 1:0 |
| სარპსბორგი-სანდნესი | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| სერვეტი-ვადუცი | 2:3 |
| **საბერძნეთი** | |
| ერგოტელისი-ოფი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| კონია-ელაზიგი | 2:3 |
| ესკიშეჰირი-შივასი | 2:2 |
| ანტალია-გალათასარაი | 2:2 |
| **უელსი** | |
| რილი-ეირბასი | 2:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| დუნგანონი-კოლრეინი | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| პიასტი-ვისლა | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ბნეი შაჰნინი | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| პისტოია-მილანი | 79:88 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მარსელი** | |
| კავჩიჩი-კოკინაკისი | 6:4, 6:2 |
| **ATP. რიო დე ჟანეირო** | |
| გარსია ლოპესი-კლიჟანი | 4:6, 6:4, 6:7 |
| სოუზა-ბანისი | 5:7, 6:2, 2:6 |
| ვოლანდრი-ლაიოვიჩი | 7:6, 3:6, 0:4 |
| | ვოლანდრის უარი |
| **WTA. დუბაი** | |
| სტივენსი-საფაროვა | 3:6, 5:7 |
| კლეიბანოვა-მაკაროვა | 4:6, 7:6, 4:6 |
| სუარეს ნავარო-პეტროვა | 6:3, 6:2 |
| ვ. უილიამსი-ვესნინა | 6:3, 6:2 |
| კირსტეა-ვინჩი | 6:4, 6:3 |
| **WTA. რიო დე ჟანეირო** | |
| სოლერ ესპინოსა-პიგოსი | 6:0, 6:1 |
| ლარსონი-ვან უიტვანკი | 4:6, 3:6 |
| ტორო ფლორი-ბურნეტი | 5:7, 4:6 |
| კოვინიჩი-ბერტენსი | 5:7, 0:6 |
| პიტერი-პადადი | 4:3 შეწყდა |

ჩოგბურთი

# აზარენკა და მარეი ქვემოთ

გასულ კვირას ჩატარებული ტურნირების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა სიტუაცია ქალთა და მამაკაცთა რეიტინგებში.

WTA-ის კლასიფიკაციაში ჩინელმა **ნა ლიმ** და პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** მეოთხე ადგილამდე ჩამოაქვეითეს. გასულ კვირას, ლიმ დოჰას ტურნირის მესამე წრემდე მიაღწია, რისი წყალობითაც მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მესამე ჩოგანის სტატუსი კი რადვანსკას ერგო. დოჰას ტურნირის გამარჯვებული **სიმონა ჰალეპი** მეათედან მეცხრე ადგილზე გადავიდა.

■ ■ ■

ATP-ის კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა ბრიტანელმა **ენდი მარეიმ**. განახლებულ რეიტინგში ის მეშვიდე ადგილზეა, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ჩოგბურთელისთვის ბოლო ექვსი წლის განმავლობაში.

მარეიმ **ტომაშ ბერდიხს** გაუცვალა ადგილი. ასევე გაცვალეს პოზიციები ესპანელმა **დავიდ ფერერმა** და არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**. ფერერი მეოთხე ადგილზეა, დელ პოტრო - მეხუთეზე.

თანდათან იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს **მარინ ჩილიჩი**, რომელიც დისკვალიფიცირებული იყო: ხორვატმა რვა ადგილი მოიგო და 29-ე ჩოგანია.



მარეი მეშვიდემდე დაეშვა

| ATP | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 14 085 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 10 580 |
| 3(3). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 5 620 |
| 4(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 5 440 |
| 5(4). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 960 |
| 6(7). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 4 950 |
| 7(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 4 795 |
| 8(8). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 305 |
| 9(9). რიშარ გასკე (საფ) | 2 950 |
| 10(10). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 2 885 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 13 000 |
| 2(3). ნა ლი (ჩინ) | 6 690 |
| 3(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 5 705 |
| 4(2). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 5 681 |
| 5(5). მარია შარაპოვა (რუს) | 5 206 |
| 6(6). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4.710 |
| 7(8). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4 535 |
| 8(9). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 4.490 |
| 9(10). სიმონა ჰალეპი (რუმ) | 4 435 |
| 10(7). სარა ერანი (იტა) | 4 390 |

ფორმულა 1

# კამერის ბრალი იყო?

საფრანგეთის სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის ეროვნული აკადემია ატარებს სპეციალურ კვლევას იმის გასარკვევად - შეიძლებოდა თუ არა **მიხაელ შუმახერის** ჩაფხუტზე დამაგრებულ კამერას გამოეწვია ის მძიმე დაზიანება, რომელიც გერმანელმა ლეგენდამ სათხილამურო ტრასაზე დაცემისას მიიღო.



მიხაელ შუმახერი

ბრიტანულ გაზეთ „დეილი მირორს" მოჰყავს გამოძიების დეტალებში ჩახედული ინკოგნიტო წყაროს ციტატა: *„ჩაფხუტი მთლიანად დამსხვრეულია, როგორც მინიმუმ ორ ნაწილად არის გატეხილი. აკადემიამ მიიღო ჩაფხუტის ერთი ნაწილი იმ მასალის შესამოწმებლად, რომლისგანაც ის არის დამზადებული. ყველაფერი ნორმაში იყო. მაშინ რატომ გატყდა ის დაცემისას? და აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ კამერას. ლაბორატორიაში მიმდინარეობს კვლევა იმის გასარკვევად, ხომ არ შეასუსტა კამერამ ჩაფხუტის სტრუქტურა"*.

ამ კამერის მიერ გაკეთებული ჩანაწერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გახდა მომხდარის გარემოებების გამოსაძიებლად. ამ გამოძიებას საფრანგეთის პოლიცია აწარმოებდა და გუშინ პრესკონფერენცია ჩაატარა, რომლის დროსაც ყველა ეჭვი მოხსნა კუროორტ მარიბელის მფლობელებზე და იმ სამთო-სათხილამურო ინვენტარის მწარმოებელზე, რომლითაც შუმახერი სარგებლობდა.

*„ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერანაირი დარღვევა ვინმეს მიმართ*, - განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა **პატრიკ კენსიმ**. - *ინციდენტი ტრასის მიღმა მოხდა. სიგნალიზაცია, დამცავი ბარიერები, ტრასის მონიშვნა შეესაბამებოდა ნორმებს"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**18 თებერვალი. სამშაბათი**

**I არხი**

11:00 ზამთრის ოლიმპიადა. სამთო თხილამურები. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. სოჭი რუსეთი (LIVE).
14:40 ზამთრის ოლიმპიადა. სამთო თხილამურები. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. სოჭი რუსეთი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მანჩესტერ სიტი-ბარსელონა. I მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
12:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ესტორილი-ბრაგა.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ეინდჰოვენი-ჰერაკლესი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. დორტმუნდი-აინტრახტი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. სან ლორენცო-რასინგი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ლევერკუზენი-შალკე.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ლევერკუზენი-პსჟ. I მატჩი (LIVE).
01:45 პორტუგალიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერენვეენი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. რეალი-მაკაბი.
14:30 საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-ნიურნბერგი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-იტალია.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
20:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.
18:30 სპორტ-NEWS.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რიო დე ჟანეირო. ბრაზილია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 1 | 14 | (მზე) |
| ქუთაისი | 6 | 15 | (წვიმა) |
| ბათუმი | 6 | 15 | (მზე) |
| ფოთი | 5 | 14 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 4 | 13 | (წვიმა) |
| გორი | 2 | 11 | (წვიმა) |
| თელავი | -3 | 15 | (მზე) |
| სიღნაღი | 2 | 14 | (მზე) |
| გუდაური | -7 | 4 | (მცირე თოვლი) |
| ბაკურიანი | -7 | 5 | (მზე) |
| ბორჯომი | -1 | 9 | (მზე) |
| მესტია | -5 | 5 | (თოვლჭყაპი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3713 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7301 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8965 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9294 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პლიუშჩენკოსთვის უბრძანებიათ

რუსმა მოციგურავემ **ევგენი პლიუშჩენკომ** განაცხადა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე მას ტრავმის მიუხედავად აიძულეს ყინულზე გასვლა.

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია CNN-ს, სადაც ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ მოუხდა გუნდურ ასპარეზობაში თავისუფალი პროგრამის შესრულება ზურგის ტრავმის მიუხედავად. პლიუშჩენკოს თქმით, მას აიძულეს ყინულზე გასვლა.

შეგახსენებთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები. რუსეთმა მამაკაცთა ინდივიდუალურ ტურნირზე მხოლოდ ერთი ლიცენზია მიიღო. ქვეყნის ფედერაციამ ამ სახეობაში წარადგინა ევგენი პლიუშჩენკო, რომელმაც ოლიმპიადის წინ წააგო რუსეთის ჩემპიონატი **მაქსიმ კოვტუნთან**, მაგრამ ზამთრის თამაშების საგზური დახურული შეჯიბრებისას სპეციალური კომისიის წინაშე მოიპოვა.

სოჭში პლიუშჩენკო მამაკაცთა მოკლე პროგრამის დროს გავიდა მოთელვაზე, მაგრამ მოხსნა თავისი კანდიდატურა ზურგის ტრავმის გამო. ეს დაზიანება მან ერთ-ერთ ვარჯიშზე დაცემისას მიიღო. პლიუშჩენკომ იქვე გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. უფრო ადრე, ის რუსეთის ნაკრებს დაეხმარა გუნდურ პირველობაში.

მოკლე პროგრამაზე უარის თქმის შემდეგ, პლიუშჩენკო დაადანაშაულეს იმაში, რომ 10 თებერვალს, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო მისი შეცვლა, მან ადგილი არ დაუთმო მაქსიმ კოვტუნს. თავად პლიუშჩენკომ განაცხადა, რომ არ შეეძლო ამის ადრე გაკეთება, რადგან დროულად ვერ იპოვნა პირველი სათადარიგო - კოვტუნი, რომლის ტელეფონი გამორთული იყო. მაგრამ ეს ყველაფერი უარყო კოვტუნის მწვრთნელმა **ელენა ბუიანოვამ**.


ევგენი პლიუშჩენკო

„ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენ მოსკოვში ვვარჯიშობდით. იქ გახსნის ცერემონიის შემდეგ გავემგზავრეთ იმის გამო, რომ მაქსიმი სერიოზულად ემზადებოდა სავარაუდო გამოსვლისთვის, - ამბობს მწვრთნელი. - ბოლო დღემდე მონდომებით ვმუშაობდით. ოლიმპიადის შემდეგ გავაგრძელებთ მზადებას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ჩემთვის სხვა რამ არის საინტერესო: ვინ უთხრა სპორტის მინისტრს, რომ კოვტუნის მოძებნა შეუძლებელი იყო? ვის დასჭირდა ასეთი ტყუილი?

სამარცხვინოა ყველაფრის გადაბრალება სპორტსმენზე, რომელსაც შეხება არ აქვს იმასთან, რაც სოჭში ხდება".

და აი, გუშინ გავრცელდა პლიუშჩენკოს ინტერვიუ ტელეკომპანია CNN-თან, რომელშიც მან განაცხადა, რომ აიძულეს ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ყინულზე გასვლა.

„არ შემიძლია დღეს იმის ახსნა, რა მოხდა სინამდვილეში, - განაცხადა მოციგურავემ. - მაგრამ თუ შეეკითხებით ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტს, ის ყველაფერს აგიხსნით".

პლიუშჩენკომ დადებითად უპასუხა შეკითხვას - აიძულეს თუ არა მას ტრავმის მიუხედავად ყინულზე გასვლა.

„სწორედ ასე იყო. მე ვცდილობდი. როცა გუნდურ პირველობაზე გავდიოდით, გვესმოდა, რომ შეგვეძლო ვერცხლის ან ბრინჯაოს მოგება. ჩვენ კი პირველები გავხდით. შემდეგ ფედერაციის წარმომადგენლებმა მკითხეს: „გსურს ოლიმპიადაზე გამოსვლის გაგრძელება? როგორ გრძნობ თავს?" ვუპასუხე, რომ ბოლომდე წესრიგში არ ვიყავი. პრობლემები ჯერ კიდევ გუნდური პირველობის დროს თავისუფალი პროგრამის შესრულებისას გაჩნდა: ვერ შევასრულე ორი სამმაგი ნახტომი, რადგან ტკივილს ვგრძნობდი.

და ავუხსენი ფედერაციას, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ მამაკაცთა ინდივიდუალურ ტურნირზე ვინმე სხვა გავიდოდა. მე მათ ვთხოვე ამის შესახებ. მაგრამ მიპასუხეს: „რაც მოხდა მოხდა", - ამბობს ევგენი პლიუშჩენკო.

**გია თვალაბეიშვილი**







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608